

დამხმარე  
სახელმძღვანელო  
კვდამობეებისათვის



A2+

სახელმძღვანელო

2017



ქვეყნის  
სკოლა

**დამხმარე  
სახელმძღვანელო  
პედაგოგიებისათვის**

სახელმძღვანელო

**A2+**

თბილისი  
2019

# „დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგებისათვის“ A2+ სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ:

ჯგუფის ხელმძღვანელი და მეთოდისტი:  
**ნანა შავთვალაძე**

დარგობრივი ექსპერტი:  
**ზზია სულამანიძე**

ავტორები:  
**ნანა შავთვალაძე**  
**გიული შაბაშვილი**  
**ნანა ფრუიძე**

რედაქტორი:  
**ნანა ფრუიძე**

©(სსიპ) ზურაბ ჟვანიას სახელობის  
სახემწიფო ადმინისტრირების სკოლა



საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების სამინისტრო



დაკაბადონდა და დაიბეჭდა  
შპს „პოლიგრაფი“



ვაზბეგის 24გ, ტელ.: 231 24 72  
E-mail: print@poly.ge www.poly.ge

მეორე გამოცემა

ISBN 978-9941-27-705-4

## I თავი – გაკვეთილის პროცესი

1. 1. სკოლა „იმედი“ .....	5
1. 2. გაკვეთილის გეგმა .....	11
1. 3. კონსტრუქტივისტული გაკვეთილი.....	18

## II თავი – მოსწავლის აზროვნება, ინტელექტი და კოგნიტური განვითარება

2.1. მოსწავლის აზროვნება, შემეცნება და კოგნიცია .....	24
2.2. მრავალმხრივი ინტელექტი .....	30
2.3. კოგნიცია, კოგნიტური განვითარება .....	36

## III თავი – აზროვნება, მოსწავლის აზროვნებისა და განვითარების დონეები

3.1. აზროვნება და ფიქრი .....	43
3.2. აზროვნების დონეები .....	51
3.3. მოსწავლის განვითარების დონეები .....	58
შემაჯამებელი თავი I .....	65
ტესტი I .....	71

## IV თავი – მოსწავლის მოტივაცია და სასკოლო გარემო

4.1. მოსწავლის მოტივაცია.....	77
4.2. ეფექტური კომუნიკაცია .....	83
4.3. სასწავლო გარემო .....	89

## V თავი – სწავლების ფორმები და კლასის მართვა

5.1. სწავლების ფორმები.....	95
5.2. კლასის მართვის სტილი.....	103
5.3. სწავლების მოდელები .....	110

## **VI თავი – შეფასება, პროფესიული განვითარება, ინკლუზიური განათლება**

6.1. სასწავლო პროცესის შეფასება.....	118
6.2. პროფესიული განვითარება.....	126
6.3. ინკლუზიური განათლება.....	133
შემაჯამებელი თავი II .....	140
ტესტი II .....	146
მოსასმენი დიალოგები .....	152
დანართი .....	162

# I ტაპი – გაკვეთილის პროცესი

- 1.1. სკოლა „იმედი“
- 1.2. გაკვეთილის გეგმა
- 1.3. კონსტრუქტივისტული გაკვეთილი

**ბრამატიკა:**

მომავალი დრო

თანდებული: მიერ

კავშირი: ვინც (ის, ვინც)

ჩართული: რა თქმა უნდა

## 1.1. სკოლა „იმედი“



ახალი სიტყვები	
<p><b>ვინ? /რა?</b></p> <p>გამგე</p> <p>მოსწავლე</p> <p>ეთიკა</p> <p>აღზრდა</p> <p>მეთოდი</p> <p>აქტივობა</p> <p>კათედრა</p> <p>პროცესი</p>	<p><b>როგორი?</b></p> <p>პრაქტიკოსი</p> <p>საბუნებისმეტყველო</p> <p>საზოგადოებრივი</p> <p>სახალისო</p>
<p><b>ფონები:</b></p> <p>იყენებს</p> <p>ითვალისწინებს</p> <p>თანამშრომლობს</p> <p>მსჯელობს</p>	<p><b>როგორ?</b></p> <p>თავისუფლად</p> <p>აქტიურად</p>

ფრაზები:	
უფროსი მასწავლებელი პრაქტიკოსი მასწავლებელი იყენებს მეთოდებს ითვალისწინებს ინტერესებს აქტიურად თანამშრომლობს ბევრს მეცადინეობს	თავისუფლად მსჯელობს მუშაობს პროექტზე სასკოლო საგანი სასწავლო კათედრა ფიზიკური აღზრდა სასწავლო პროცესი



## დაიმახსოვრეთ!

	გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
გამოყენება	იყენებდა	გამოიყენა	<b>იყენებს</b>	გამოიყენებს	გამოიყენოს
გათვალისწინება	ითვალისწინებდა	გაითვალისწინა	<b>ითვალისწინებს</b>	გაითვალისწინებს	გაითვალისწინოს
თანამშრომლობა	თანამშრომლობდა	ითანამშრომლა	<b>თანამშრომლობს</b>	ითანამშრომლებს	ითანამშრომლოს
მსჯელობა	მსჯელობდა	იმსჯელა	<b>მსჯელობს</b>	იმსჯელებს	იმსჯელოს
მეცადინეობა	მეცადინეობდა	იმეცადინა	<b>მეცადინეობს</b>	იმეცადინებს	იმეცადინოს

### 1.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

„იმედი“, რომელშიც ხუთასზე მეტი **მოსწავლე** სწავლობს, დღეს ერთ-ერთი წარმატებული და საუკეთესო სკოლაა იმერეთის მთელ რეგიონში. მოსწავლეებისთვის გაკვეთილები **სახალისო** და საინტერესოა. სკოლაში ისინი ყოველდღე **ბევრს მეცადინეობენ**: სხვადასხვა ტექსტს კითხულობენ და ბევრ დავალებას წერენ. მოსწავლეები ასევე საუბრობენ და **თავისუფლად მსჯელობენ** სხვადასხვა თემაზე, იღებენ ინფორმაციას ინტერნეტიდან და კომპიუტერში ამზადებენ პრეზენტაციებს. ხანდახან ბავშვები ერთად **მუშაობენ პროექტებზე**.

მასწავლებლებისთვისაც ძალიან საინტერესო **პროცესია** ამ სკოლაში მუშაობა. გაკვეთილის დროს ისინი **იყენებენ** თანამედროვე **მეთოდებს**, აუცილებლად **ითვალისწინებენ** მოსწავლეების ინტერესებს, **ეთიკას**, ფიქრობენ იმაზე, თუ რა აინტერესებთ და რა უნდათ მათ. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა **აქტივობას** და ტექნიკას: კომპიუტერებს, ვიდეოს, სიმღერებს, ფეისბუქს და ა. შ. სკოლაში 50 მასწავლებელი მუშაობს, აქედან 35 **უფროსი** მასწავლებელია, 15–**პრაქტიკოსი**. ისინი ყოველთვის **აქტიურად თანამშრომლობენ** ერთმანეთთან და მოსწავლეებთან მუშაობის დროს კარგ შედეგებსაც იღებენ.

### ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რა თანამედროვე მეთოდებს იყენებენ სკოლის მასწავლებლები?
2. რა მეთოდებს იყენებენ მასწავლებლები მოსწავლეებთან მუშაობის დროს?
3. რას აკეთებენ ბავშვები სკოლაში და როგორ მეცადინეობენ?
4. როგორ ფიქრობთ, რით განსხვავდება ეს სკოლა სხვა სკოლებისგან?
5. თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა, რომ მოსწავლემ კარგად ისწავლოს?

1.2. გაეცანით ქვემოთ მოყვანილ ინფორმაციას; იმსჯელეთ, რა მოვალეობები აქვთ პრაქტიკოსსა და უფროს მასწავლებელს? რა განსხვავებაა მათ შორის? შეავსეთ ცხრილი:

**პ რ ა ქ ტ ი კ ო ს ი მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი**

მასწავლებელი, რომელიც გეგმავს და ატარებს გაკვეთილებს.



**უ ფ რ ო ს ი მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი**

მასწავლებელი, რომელიც გეგმავს და ატარებს გაკვეთილებს და აქვს სერტიფიკატი.




პ რ ა ქ ტ ი კ ო ს ი მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი	უ ფ რ ო ს ი მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____

1.3. ყურადღებით გაეცანით სკოლის სტრუქტურასა და სასკოლო საგნებს. იმსჯელეთ, რომელი საგნები რომელ კათედრაზე ისწავლება. შეავსეთ ცხრილი:

**სკოლის სტრუქტურა:**

საქართველოში სკოლაში მუშაობს რამდენიმე საგნობრივი კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენების, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ეთიკისა და ფიზიკური აღზრდის კათედრები. კათედრის უფროსია კათედრის გამგე. სხვადასხვა საგნის მასწავლებელი არის სხვადასხვა კათედრის წევრი.





მოსწავლეები საქართველოს სკოლებში სწავლობენ შემდეგ მთავარ საგნებს:

- ქართული ენა და ლიტერატურა
- გერმანული ენა
- მათემატიკა
- ქართული ცეკვა
- ფიზიკა
- მუსიკა
- ჩვენი საქართველო
- სპორტი
- ინგლისური ენა
- რუსული ენა
- ქიმია
- მსოფლიო ისტორია
- სამოქალაქო განათლება
- ბიოლოგია
- საქართველოს ისტორია
- ხელოვნება

საგნობრივი კათედრა	საგანი
ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა	
მათემატიკის კათედრა	

უცხოური ენების კათედრა	
საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა	
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა	
ეთიკისა და ფიზიკური აღზრდის კათედრა	

#### 1.4. დააკავშირეთ სიტყვები:

ნიმუში: თავისუფლად მსჯელობს

<p><b>თავისუფლად</b> აქტიურად ყოველთვის ბევრს იყენებს ამზადებს იღებს</p>	<p>თანამშრომლობს ითვალისწინებს <b>მსჯელობს</b> მეთოდებს მეცადინეობს პრეზენტაციას შედევს</p>
--	---



#### 1.5. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- სანდრო!
- დიახ.
- რომელი \_\_\_\_\_ მოგწონს?
- მე... მე მომწონს \_\_\_\_\_ საგნები.
- მაინც რომელი?
- \_\_\_\_\_ საბუნებისმეტყველო საგანი: \_\_\_\_\_, ქიმია და \_\_\_\_\_, მაგრამ ყველაზე ძალიან მაინც ფიზიკა მომწონს.
- რატომ?

- იმიტომ რომ გაკვეთილები ყოველთვის საინტერესო და \_\_\_\_\_.
- ეს როგორ?
- ძალიან კარგი მასწავლებელი გვყავს ფიზიკაში. ისე საინტერესოდ ლაპარაკობს, ყოველთვის ბევრ რამეზე საუბრობს გაკვეთილის დროს. ჩვენც \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_ სხვადასხვა პრობლემაზე. კლასში ბევრს ვმეცადინებთ. ასე მგონია, რომ ფიზიკა ძალიან ადვილი საგანია.
- ჰმ, საინტერესოა...

## 1.6. წაშალეთ ზედმეტი სიტყვა:

**ნიმუში:** მანქანა, მატარებელი, ავტობუსი, ~~სახლი~~.

1. ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მათემატიკა
2. კარგი მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, პრაქტიკოსი მასწავლებელი
3. მსჯელობა, თანამშრომლობა, ხელფასი, გათვალისწინება
4. საგანი, პროექტი, მეთოდი, მანქანა
5. ქართული ენა და ლიტერატურა, ჩვენი საქართველო, ბანკის კრედიტი, მსოფლიო ისტორია.

## 1.7. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

1. როდესაც მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ისინი
  - ა) ერთად მუშაობენ პროექტებზე
  - ბ) ერთად საუბრობენ კაფეში
  - გ) იყენებენ თანამედროვე მეთოდებს.
2. სერგი დანელია არის უფროსი მასწავლებელი, ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას და
  - ა) ატარებს და გეგმავს გაკვეთილებს
  - ბ) აქვს სერტიფიკატი
  - გ) ატარებს, მაგრამ არ გეგმავს გაკვეთილებს.
3. თანამედროვე გაკვეთილის დროს
  - ა) საუბრობს მხოლოდ მასწავლებელი
  - ბ) მასწავლებელი იყენებს ბავშვებისთვის საინტერესო მეთოდებს
  - გ) მოსწავლეები არ მუშაობენ პროექტებზე.
4. თავისუფლად მსჯელობენ, ნიშნავს
  - ა) თავისუფლად საუბრობენ პრობლემებზე
  - ბ) ფიქრობენ, რომ პრობლემები არ არის მნიშვნელოვანი
  - გ) წერენ წერილებს.
5. მეთოდი ნიშნავს იმას, თუ
  - ა) როგორ საუბრობს მასწავლებელი მოსწავლეებთან
  - ბ) როგორ მუშაობს მასწავლებელი მოსწავლეებთან
  - გ) როგორ ატარებენ დროს მოსწავლეები სახლში.

### 1.8. დააკავშირეთ ფრაზები და სურათები:

1. ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე მოსწავლეები ერთად მეცადინეობენ, მუშაობენ პროექტზე და ამზადებენ პრეზენტაციას.
2. გაკვეთილების შემდეგ მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან.
3. ქიმიის მასწავლებლები მსჯელობენ ექსპერიმენტზე.
4. ისტორიის გაკვეთილისთვის მოსწავლეები იღებენ ინფორმაციას ინტერნეტიდან.



**1.2. გაკვეთილის გეგმა**



ახალი სიტყვები	
<p><b>რა?</b>                      აზროვნება                      უნარ-ჩვევები                      საფუძველი                      მიზანი                      დახასიათება                      თემა                      შეფასება</p>	<p><b>როგორი?</b>                      დამოუკიდებელი                      დეტალური</p>
<p><b>გზნები:</b>                      ეხმარება                      უვითარებს                      გეგმავს                      აღწერს</p>	
ფრაზები:	
<p>ეხმარებიან ერთმანეთს                      დამოუკიდებელი აზროვნება                      შეკითხვების დასმა                      შეფასების ფორმა</p>	<p>შეიძლება ითქვას                      პირველ რიგში                      საშინაო დავალების შემოწმება</p>



## დაიმახსოვრეთ!

	გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
დახმარება	ეხმარებოდა	დაეხმარა	<b>ეხმარება</b>	დაეხმარება	დაეხმაროს
განვითარება	უვითარებდა	განუვითარა	<b>უვითარებს</b>	განუვითარებს	განუვითაროს
დაგეგმვა	გეგმავდა	დაგეგმა	<b>გეგმავს</b>	დაგეგმავს	დაგეგმოს
აღწერა	აღწერდა	აღწერა	<b>აღწერს</b>	აღწერს	აღწეროს

## დაიმახსოვრეთ!



მოსწავლის მიერ  
 მასწავლებლის მიერ

**2.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:**

გაკვეთილის გეგმა **აღწერს** მთელი გაკვეთილის პროცესს. **პირველ რიგში**, აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რა არის კონკრეტული გაკვეთილის **მიზანი**. გეგმაში მასწავლებელი წერს იმას, რაც უნდა გააკეთოს ყოველი გაკვეთილის დროს. ის ითვალისწინებს იმასაც, თუ რა იციან უკვე მისმა მოსწავლეებმა და ახალი რა უნდა ისწავლონ. მასწავლებელი, ასევე, აუცილებლად ფიქრობს იმაზე, თუ რა აქტივობებს გამოიყენებს საკლასო ოთახში და **გეგმავს** იმას, თუ როგორ **განუვითარებს** მოსწავლეებს თავისუფლად მსჯელობისა და **დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევებს**.

მნიშვნელოვანია ასევე შეკითხვების **დასმა** და იმის **შემოწმება**, თუ როგორ გააკეთეს მოსწავლეებმა საშინაო დავალება, როგორ იმეცადინეს. მასწავლებელი ასევე ყოველი აქტივობისთვის ითვალისწინებს დროს და **შეფასების** ფორმას. ხშირად რამდენიმე მასწავლებელი თანამშრომლობს. ისინი ერთად მუშაობენ გაკვეთილის გეგმაზე და ასე **ეხმარებიან** ერთმანეთს. გაკვეთილის გეგმაზე მუშაობის პროცესში მასწავლებელი უსვამს თავის თავს შემდეგ შეკითხვებს: რას გავაკეთებ? როგორ გავაკეთებ? რა მეთოდებს გამოვიყენებ? **შეიძლება ითქვას, რომ** გაკვეთილის გეგმა არის წარმატებული გაკვეთილის **საფუძველი** და თუ მასწავლებელი კარგად **დაგეგმავს** მოსწავლეებთან მუშაობას, ეს **დაეხმარება** მათ დამოუკიდებლად **აზროვნებაში**.

**ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:**

1. თქვენი აზრით, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი გაკვეთილის გეგმაზე მუშაობის დროს?
2. თქვენი აზრით, უნდა იყოს თუ არა გაკვეთილის გეგმაში ყველა აქტივობა დეტალურად ჩამოწერილი?
3. საჭიროა თუ არა ასეთი გეგმა ყოველი გაკვეთილისთვის? რატომ ფიქრობთ ასე?
4. რას ითვალისწინებს და რას არ ითვალისწინებს მასწავლებელი გაკვეთილის გეგმაზე მუშაობის პროცესში?
5. რა მიზანი აქვს გაკვეთილის გეგმას?

**2.2. გაეცანით გაკვეთილის დეტალურ გეგმას და იმსჯელეთ მეწყვილესთან თითოეული მოთხოვნის აუცილებლობისა და საჭიროების შესახებ:**

<b>საგნობრივი კათედრა</b>	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა
<b>საგანი</b>	ქართული ენა და ლიტერატურა
<b>მასწავლებლის სახელი და გვარი</b>	ლია სულამანიძე, პრაქტიკოსი მასწავლებელი
<b>კლასი</b>	V კლასი
<b>მოსწავლეების რაოდენობა</b>	15 მოსწავლე
<b>გაკვეთილის თემა</b>	რებო ინანიშვილის მოთხრობა „გახარებული მზე“
<b>გაკვეთილის მიზანი</b>	მოსწავლეები კითხულობენ მოთხრობას. გადმოსცემენ შინაარსს. დაახასიათებენ პერსონაჟებს. შეაფასებენ მათ საქციელს.
<b>გაკვეთილის პროცესი</b>	<p>აქტივობების <b>დეტალური</b> აღწერა:</p> <p><b>აქტივობა №1</b> საშინაო დავალების შემოწმება;  <b>მოსწავლეების მიერ</b> საშინაო დავალების წაკითხვა.</p> <p><b>აქტივობა №2</b> შემოწმება იმისა, თუ რა იციან მოსწავლეებმა. ზაფხულის აღწერა. შეკითხვების დასმა.</p> <p><b>აქტივობა №3</b> რებო ინანიშვილის მოთხრობა „გახარებული მზე“; ინფორმაცია მოთხრობისა და ავტორის შესახებ.</p>

	<p><b>აქტივობა №4</b> გაკვეთილზე მოთხრობის წაკითხვა</p> <p><b>აქტივობა №5</b> შეკითხვების დასმა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რამდენი პერსონაჟია მოთხრობაში?</li> <li>• ვინ არიან მოთხრობის პერსონაჟები?</li> <li>• რომელი პერსონაჟი მოგწონთ და რატომ?</li> <li>• ბუნების აღწერა</li> <li>• ბიჭის <b>დახასიათება</b></li> <li>• გიგლას მამის დახასიათება</li> </ul> <p><b>აქტივობა №6</b> მოსწავლეების პასუხების ანალიზი. საუბარი თემაზე: მოთხრობის პერსონაჟები</p> <p><b>აქტივობა №7 საშინაო დავალება:</b> მოთხრობის წაკითხვა და პერსონაჟების დახასიათების დაწერა.</p>
<b>შეფასება</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსწავლე დამოუკიდებლად კითხულობს ტექსტს</li> <li>• მოსწავლეს შეუძლია პერსონაჟების დახასიათება</li> <li>• მოსწავლეს შეუძლია კითხვების დასმა</li> <li>• მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად მსჯელობა პრობლემაზე</li> <li>• მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად აზროვნება.</li> </ul>
<b>სასწავლო რესურსები</b>	V კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, კალამი, დაფა, ცარცი.

**2.3. მეწყვილესთან ერთად დაგეგმეთ გაკვეთილი თქვენ მიერ შერჩეული საგნისა და თემის მიხედვით; გაწერეთ აქტივობები და მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები:**

<b>საგნობრივი კათედრა</b>	
<b>საგანი</b>	
<b>მასწავლებლის სახელი და გვარი</b>	
<b>კლასი</b>	
<b>მოსწავლეების რაოდენობა</b>	
<b>გაკვეთილის თემა</b>	
<b>გაკვეთილის მიზანი</b>	
<b>გაკვეთილის პროცესი</b>	
<b>შეფასება</b>	
<b>სასწავლო რესურსები</b>	

## 2.4. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ერთმანეთს	აზროვნება
გამგე	უნარ-ჩვევები
შეიძლება ითქვას, რომ...	

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის \_\_\_\_\_ დღეს ატარებს გაკვეთილს სკოლის ეზოში.
2. პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეები ეხმარებიან \_\_\_\_\_.
3. დამოუკიდებელი \_\_\_\_\_ არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევა.
4. \_\_\_\_\_ გაკვეთილის გეგმა ეხმარება მასწავლებელს წარმატებული გაკვეთილის ჩატარებაში.
5. მოსწავლეებს უვითარდებათ დამოუკიდებელი მსჯელობის \_\_\_\_\_.

## 2.5. დააკავშირეთ სიტყვები:

### ნიმუში: დამოუკიდებელი აზროვნება

<b>დამოუკიდებელი</b>	დასმა
საშინაო	<b>აზროვნება</b>
შეკითხვების	საფუძველი
პერსონაჟის	დავალება
წარმატების	დახასიათება
გაკვეთილის	შემოწმება
დავალების	მიზანი



## 2.6. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ქალბატონო ლანა, პირველ რიგში, დიდი მადლობა საინტერესო ლექციისთვის, თუ შეიძლება, ერთი შეკითხვა მაქვს.
- დიახ, გისმენთ.
- თქვენ საუბრობდით გაკვეთილის გეგმაზე, აუცილებელია თუ არა გეგმაში აქტივობების -----  
\_\_\_\_\_ აღწერა?
- დიდი მადლობა შეკითხვისთვის, აქტივობების დეტალური აღწერა დაეხმარება მასწავლებელს გაკვეთილის პროცესში. ეს არის წარმატებული გაკვეთილის \_\_\_\_\_ კარგი მასწავლებელი ყოველთვის \_\_\_\_\_, როგორ უნდა იმუშაოს მოსწავლეებთან. კარგმა მასწავლებელმა ყოველთვის იცის, როდის რა უნდა გააკეთოს. პირველ რიგში, მასწავლებელმა უნდა იფიქროს იმაზე, თუ რომელი \_\_\_\_\_ რა უნარ-ჩვევას \_\_\_\_\_ მოსწავლეს.



## დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგებისათვის

- ქალბატონო ლანა, მეც მაქვს ერთი შეკითხვა, რა შეიძლება იყოს გაკვეთილის მთავარი მიზანი?
- სასწავლო \_\_\_\_\_ ფიქრისას აუცილებელია შემდეგის გათვალისწინება: გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები: ისწავლიან, იმსჯელებენ, \_\_\_\_\_, გამოიყენებენ, \_\_\_\_\_, აღწერენ და ა. შ. გაკვეთილის მიზანია, მოსწავლეს განუვითაროს დამოუკიდებელი \_\_\_\_\_ და დამოუკიდებელი \_\_\_\_\_ უნარ-ჩვევები.
- ქალბატონო ლანა, რამდენი წელია ასწვლიდით სკოლაში?
- მე სკოლაში ვმუშაობდი 2003 წლიდან 2010 წლამდე, ვიყავი \_\_\_\_\_ და უფროსი მასწავლებელი, ახლა ვმუშაობ განათლების ცენტრში სხვადასხვა პროექტზე.
- დიდი მადლობა.

## 2.7. შემოხაზეთ ყველაზე მისაღები განმარტება:

### 1. დამოუკიდებელი აზროვნება

- ა) მოსწავლეს შეუძლია ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა და ანალიზი
- ბ) მოსწავლეს შეუძლია მასწავლებელთან თავისუფალი საუბარი
- გ) მოსწავლეს შეუძლია სკოლაში დამოუკიდებლად სიარული.

### 2. გაკვეთილის გეგმა

- ა) მასწავლებელი გეგმავს გაკვეთილის აქტივობებს
- ბ) მასწავლებელი აკეთებს პრეზენტაციას
- დ) მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს პრობლემებზე.

### 3. მოსწავლის შეფასება

- ა) რას ითვალისწინებს მოსწავლე გაკვეთილზე
- ბ) რა იცის მოსწავლემ
- გ) რა უნდა გააკეთოს მოსწავლემ სახლში.

### 4. პერსონაჟის დახასიათება

- ა) როგორ საუბრობს მასწავლებელი პერსონაჟის შესახებ
- ბ) რას ითვალისწინებს მასწავლებელი პერსონაჟზე მსჯელობის დროს
- გ) როგორია პერსონაჟი.

### 5. გაკვეთილის მიზანი

- ა) რა უნარ-ჩვევებს განუვითარებს მოსწავლეს გაკვეთილის აქტივობები
- ბ) როგორ თანამშრომლობენ მასწავლებლები ერთმანეთთან
- გ) რაზე საუბრობენ მოსწავლე და მასწავლებლები გაკვეთილის შემდეგ.

## 2.8. მოცემული ფოტოებისა და სიტყვების მიხედვით შეადგინეთ მოკლე ტექსტი:



საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ფიზიკა, ექსპერიმენტი, მოსწავლეები, პროექტი, გაკვეთილი, მიზანი, დამოუკიდებელი, მსჯელობა, გათვალისწინება, დეტალური, დაგეგმვა.




სასწავლო პროცესი, მოსწავლეების ინტერესი, უნარ-ჩვევები, განვითარება, შეფასება, თავისუფლად, თანამშრომლობა, მიზანი, საუბრობს.



საზოგადოებრივი მეცნიერებები, გეოგრაფია, საინტერესო, სახალისო, შეფასება, შეკითხვების დასმა, შემოწმება, საშინაო დავალება.

**1.3. კონსტრუქტივისტული გაკვეთილი**



ახალი სიტყვები	
<p><b>რა?</b></p> <p>გადაჭრა შესაძლებლობა სურვილი გამოცდილება მოტივაცია სწავლება ნაწილი შედეგი</p>	<p><b>როგორი?</b></p> <p>კონსტრუქტივისტული ორიენტირებული</p>
<p><b>ზმნები:</b></p> <p>პასუხობს აკავშირებს სვამს აგებს</p>	
ფრაზები:	
<p>მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება პრობლემის გადაჭრა</p>	<p>პასუხის გაცემა სწავლების ფორმა</p>



**დაიმახსოვრეთ!**

	გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
პასუხი	პასუხობდა	უპასუხა	<b>პასუხობს</b>	უპასუხებს	უპასუხოს
დაკავშირება	აკავშირებდა	დააკავშირა	<b>აკავშირებს</b>	დააკავშირებს	დააკავშიროს
აგება	აგებდა	ააგო	<b>აგებს</b>	ააგებს	ააგოს
დასმა	სვამდა	დასვა	<b>სვამს</b>	დასვამს	დასვას



## დააკვირდით!

ა)

ესაუბრება ახალ თემებზე, პრობლემებზე	ფიქრობენ პრობლემის გადაჭრაზე
შეკითხვებზე პასუხობს ის, ვინც...	შეკითხვებზე პასუხობს ისიც, ვინც...

ბ)

<b>რა?</b>	თემები და პრობლემები
<b>რაზე?</b>	თემებსა და პრობლემებზე

### 3.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

კონსტრუქტივისტული გაკვეთილის დროს მოსწავლე აქტიურად მონაწილეობს სასწავლო პროცესში. პირველ რიგში, ის დამოუკიდებლად აგებს ცოდნას, იღებს ახალ ინფორმაციას და აკავშირებს ძველ ცოდნასთან. მასწავლებელი კი ეხმარება მოსწავლეს და უვითარებს დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებს.

კონსტრუქტივისტულ გაკვეთილს აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწილი:

**შეკითხვების დასმა და პასუხი:** მასწავლებელი ხშირად სვამს შეკითხვებს და უსმენს მოსწავლეების პასუხებს. კონსტრუქტივისტული სწავლების პროცესში მოსწავლეებიც ხშირად სვამენ შეკითხვებს, რომლებზეც მასწავლებლები ყოველთვის პასუხობენ და ასე ასწავლიან მათ.

**მსჯელობა:** კონსტრუქტივისტული გაკვეთილი არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, ამიტომ მნიშვნელოვანია, მოსწავლეს ჰქონდეს დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევები. ამისთვის კი აუცილებელია მსჯელობა, პრობლემის დასმა და პრობლემის გადაჭრა. ასეთ გაკვეთილზე მოსწავლეები ხშირად მსჯელობენ, საუბრობენ და აკეთებენ შეფასებებს.

**მოტივაცია:** თანამედროვე კონსტრუქტივისტული გაკვეთილი არის ყოველთვის საინტერესო და წარმატებული იმიტომ, რომ მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან აქტივობებს, ყოველთვის ესაუბრება მოსწავლეებს ახალ თემებსა და პრობლემებზე, მოსწავლეები კი ფიქრობენ ამ პრობლემების გადაჭრაზე. რა თქმა უნდა, ამ პრობლემის გადაჭრის დროს მასწავლებლის გამოცდილება ყოველთვის ეხმარება მოსწავლეებს. ეს მოსწავლეებისთვის ძალიან საინტერესო პროცესია. მათ აქვთ მოტივაცია და ისინი უფრო მეტი ხალისით სწავლობენ. კონსტრუქტივისტული გაკვეთილის დროს შეკითხვებზე პასუხობს ისიც, ვინც არ არის აქტიური მოსწავლე.

**მეთოდები და აქტივობები:** გაკვეთილი წარმატებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან მეთოდებსა და აქტივობებს. სწავლების თანამედროვე მეთოდები და აქტივობებია: დამოუკიდებელი მუშაობა, ერთად მუშაობა, მსჯელობა, თამაში, ინტერვიუ, კითხვა-პასუხი და ა. შ. თუ მასწავლებელი ერთი გაკვეთილის დროს იყენებს რამდენიმე აქტივობას, ეს მოსწავლეებისთვის ძალიან საინტერესო პროცესია და ისინი ხალისით აკეთებენ რთულ დავალებებსაც კი. თუ დავალება ძალიან რთულია, მასწავლებელი გამოიყენებს თამაშის მეთოდსაც.

**მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება:** კონსტრუქტივისტული გაკვეთილის დროს მასწავლებელი ყოველთვის ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და სურვილებს. მასწავლებელი ყოველთვის ფიქრობს მათზე.


**ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:**

1. როგორ მუშაობს მასწავლებელი კონსტრუქტივისტული გაკვეთილის დროს?
2. მოცემული ტექსტის მიხედვით, რა თვისებები უნდა ჰქონდეს მასწავლებელს?
3. რა უნარ-ჩვევები უვითარდებათ მოსწავლეებს კონსტრუქტივისტული გაკვეთილის დროს?
4. რას ნიშნავს სწავლების მეთოდები?

**გ) ტექსტის მიხედვით შეავსეთ ცხრილი; ინფორმაცია სწორია, არასწორია თუ არაა მოცემული ტექსტში:**


ინფორმაცია	სწორია	არ არის სწორი	არ არის ტექსტში
კონსტრუქტივისტული გაკვეთილის დროს მასწავლებელი ხალისით ეთამაშება მოსწავლეებს.			
კონსტრუქტივისტული გაკვეთილის პროცესში მასწავლებელი აუცილებლად სვამს შეკითხვებს.			
კონსტრუქტივისტული გაკვეთილის დროს ყველა მოსწავლე წარმატებულია და აქვს მაღალი ნიშნები.			
კონსტრუქტივისტულ გაკვეთილზე მოსწავლეები ყოველთვის რთულ დავალებებს აკეთებენ.			
მასწავლებელი ეხმარება მხოლოდ იმ მოსწავლეს, რომელიც არ არის აქტიური გაკვეთილზე.			
მასწავლებელმა ყოველთვის უნდა იფიქროს მოსწავლის ინტერესებზე, შესაძლებლობასა და სურვილებზე.			

**3.2. გაეცანით დიმიტრი უზნაძის ფრაზას; იმჯელეთ, მნიშვნელოვანია თუ არა ეს იდეა თანამედროვე სასწავლო პროცესში თანამედროვე გაკვეთილის დროს?**

 <p><b>დიმიტრი უზნაძე</b> 1886-1950</p> <p>ცნობილი ქართველი ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, პედაგოგი</p>	<p>მასწავლებელმა იცის, რომ ყველა ბავშვი ცნობისმოყვარეა. ყველა ბავშვს უყვარს შეკითხვების დასმა. სწავლის დროს ბავშვები იღებენ პასუხებს კითხვებზე და ასე სწავლობენ, – ამბობდა დიმიტრი უზნაძე.</p>
--	--



## დააკვირდით!



### 3.3. დააკვირეთ სიტყვები:

ნიმუში: კითხვას პასუხობს

კითხვას	აგებს
ცოდნას	აკავშირებს
ინფორმაციას	<b>პასუხობს</b>
პერსონაჟს	გეგმავს
გაკვეთილს	აღწერს

### 3.4. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

გადაჭრა	აქტივობას
შესაძლებლობებს	მონაწილეობს
ორიენტირებული	

1. თანამედროვე გაკვეთილი აუცილებლად უნდა იყოს მოსწავლეზე \_\_\_\_\_.
2. კონსტრუქტივისტულ გაკვეთილზე მასწავლებელი იყენებს რამდენიმე \_\_\_\_\_.
3. პრობლემაზე მსჯელობა და პრობლემის \_\_\_\_\_ მოსწავლეებისთვის ერთ-ერთი საინტერესო აქტივობაა.
4. მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის პროცესში მოსწავლე აქტიურად \_\_\_\_\_.
5. თანამედროვე მასწავლებელი ყოველთვის ითვალისწინებს მოსწავლის \_\_\_\_\_ და ინტერესებს.

**3.5. გახაზეთ სწორი ფორმა:**

**ნიმუში:** მოსწავლეები ყოველ გაკვეთილზე აკავშირებენ/მსჯელობენ/პასუხობენ ძველ და ახალ ინფორმაციას.

1. მოსწავლეები ხშირად სვამენ/ფიქრობენ/იყენებენ შეკითხვებს.
2. კონსტრუქტივისტული გაკვეთილი შედგება/არის/იყენებს სამი ნაწილისაგან.
3. მოსწავლეები თავისუფლად საუბრობენ/იყენებენ/პასუხობენ კითხვებს.
4. გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეები მსჯელობენ/ითვალისწინებენ/იყენებენ სხვადასხვა პრობლემაზე.

**3.6. გაკვეთილის დაგეგმვის დროს ერთმანეთს უკავშირდება გაკვეთილის მიზანი, მეთოდები და შედეგები. შეარჩიეთ თემა და მოყვანილი სამი პარამეტრის მიხედვით დაგეგმეთ კონსტრუქტივისტული გაკვეთილი:**




გაკვეთილის მიზანი



სწავლების მეთოდი  
აქტივობები



გაკვეთილის შედეგი



გაკვეთილის მიზანი	სწავლების მეთოდი	გაკვეთილის შედეგი



## დააკვირდით!

**ეროვნული სასწავლო გეგმა (ესგ)** – სასწავლო პროცესის რეგულაციის ძირითადი დოკუმენტი.



### 3.7. მოისმინეთ დიალოგები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

I.

- ქალბატონო ფატი, როგორი მოსწავლეა ჩემი შვილი?
- გიორგი ძალიან ჭკვიანი ბიჭია, ბევრს მუშაობს და კარგი შედეგებიც აქვს.
- როგორ მიხარია, საშინაო დავალებებს კარგად აკეთებს?
- კი, კი, გაკვეთილზეც ყოველთვის \_\_\_\_\_ ჩემს შეკითხვებს, ყოველთვის თავისუფლად მსჯელობს. გაკვეთილის პროცესში ყოველთვის \_\_\_\_\_.
- დიდი მადლობა, ქალბატონო ფატი.

II.

- ნატალია, როგორ მიდის საქმეები?
- კარგად, მადლობა, ვმუშაობ ხვალინდელი გაკვეთილის გეგმაზე.
- რა თემაზე გაქვს გაკვეთილი?
- ილია ჭაჭავაძის „კაცია-ადამიანი“, პერსონაჟების \_\_\_\_\_. ახლა ვფიქრობ, რა აქტივობებს \_\_\_\_\_ გაკვეთილის დროს.
- კი, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, თუ როგორ \_\_\_\_\_ მოსწავლეები ილია ჭაჭავაძისა და აკაკი წერეთლის პერსონაჟებს.

III.

- ბატონო გოგი, სახლში არ მიდიხართ?
- არა, ცოტა ხანს ვიმუშავებ კიდევ, ხვალ ახალი თემა მაქვს, ხომ იცი, მათემატიკა რთული საგანია.
- კი, ვიცი, მაგრამ თქვენი გაკვეთილები ბავშვებს ძალიან უყვართ.
- მადლობა, მადლობა, ჩემო ნინო, მე ყოველთვის \_\_\_\_\_ ვგეგმავ გაკვეთილს, ახლაც ამას ვაკეთებ. ვფიქრობ, როგორ \_\_\_\_\_ ბავშვებს, რომ საინტერესო იყოს მათთვის, თან \_\_\_\_\_ ვფიქრობ, ხვალ \_\_\_\_\_ ერთ საინტერესო პრობლემაზე და მის \_\_\_\_\_.
- ჰო, კიდევ აუცილებელია საშინაო დავალების შემოწმება. ბევრი საქმე მაქვს, ბევრი.
- კარგი, ნახვამდის.




## II თავი – მოსწავლის აზროვნება, ინტელექტი და კოგნიტური განვითარება

- 2.1. მოსწავლის აზროვნება, შემეცნება და კოგნიცია
- 2.2. მრავალმხრივი ინტელექტი
- 2.3. კოგნიცია, კოგნიტური განვითარება

### გრამატიკა:

- 1. წარსული დრო: **უწყვეტელი**
- 2. ნართანიანი მრავლობითი: **-თა**
- 3. კავშირი: **რაც (ის, რაც)**
- 4. ნაწილაკი: **მართლაც**

## 1. მოსწავლის აზროვნება, შემეცნება და კოგნიცია



ახალი სიტყვები:	
<b>რა?</b>	<b>როგორი?</b>
კოგნიცია	კეთილგანწყობილი
დაგროვება	კოგნიტური
ანალიზი	ერთნაირი
კრიტიკა	კრიტიკული
ნიშანი	თითოეული
ქცევა	შემოქმედებითი
შემეცნება	
განვითარება	
ცოდნა	
შეძენა	
გადაწყვეტილება	
ცნობისმოყვარეობა	
გავლენა	

<p><b>ზმნები:</b>  გამოთქვამს  აგროვებს  აყალიბებს  ახდენს  იძენს</p>	
<b>ფრაზები:</b>	
გადაწყვეტილების მიღება გავლენას ახდენს კრიტიკული აზროვნება	



### დაიმახსოვრეთ!

	გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
მოხდენა	ახდენდა	მოახდინა	<b>ახდენს</b>	მოახდენს	მოახდინოს
გამოთქმა	გამოთქვამდა	გამოთქვა	<b>გამოთქვამს</b>	გამოთქვამს	გამოთქვას
დააგროვება	აგროვებდა	დააგროვა	<b>აგროვებს</b>	დააგროვებს	დააგროვოს
ჩამოაყალიბება	აყალიბებდა	ჩამოაყალიბა	<b>აყალიბებს</b>	ჩამოაყალიბებს	ჩამოაყალიბოს
შეძენა	იძენდა	შეიძინა	<b>იძენს</b>	შეიძენს	შეიძინოს



### დააკვირდით!

პრობლემაზე მსჯელობა  
პროექტზე მუშაობა

#### 1.1. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:

კლასში შეიძლება იყოს 10, 20 ან 30 მოსწავლე. რა თქმა უნდა, ყველა ბავშვი **ერთნაირად** არ სწავლობს და არ აქვს ერთნაირი სურვილი, მოტივაცია და შესაძლებლობები. მასწავლებლის მიზანია, ყველა მოსწავლე იყოს აქტიური და წარმატებული. ასეთი მასწავლებელი სასწავლო პროცესში ყოველთვის არის **კეთილგანწყობილი**, ყოველთვის ითვალისწინებს მოსწავლის აზრსა და **აზროვნების ფორმას, შემეცნების უნარსა და კოგნიტურ განვითარებას**.

#### რა არის შემეცნება?

შემეცნება არის **ცოდნის შეძენისა და ცოდნის დაგროვების** პროცესი. შემეცნების პროცესში მოსწავლე თვითონ აგებს ცოდნას. შემეცნების პროცესი **გავლენას ახდენს** მოსწავლის **ქცევასა** და სწავლის უნარზე.





### რა არის აზროვნება?

ყველა მოსწავლეს აქვს აზროვნებისა და სწავლის უნარი. როცა მოსწავლე აზროვნებს, ის პრობლემის გადაჭრისთვის **გადაწყვეტილებასაც მიიღებს**. აზროვნების შედეგია მოსწავლის ქცევა და სწავლის უნარები.

### რა არის კრიტიკული აზროვნება?

**კრიტიკული** აზროვნების დროს მოსწავლე მისთვის საინტერესო პრობლემაზე თავისუფლად მსჯელობს. ის თავისუფლად **გამოთქვამს** აზრს, იყენებს ცოდნას ცხოვრებაში და დამოუკიდებლად **იღებს** გადაწყვეტილებებს. მოსწავლე ამას აკეთებს მასწავლებლის დახმარებით. შეიძლება ითქვას, რომ კრიტიკული აზროვნება არის **ცნობისმოყვარეობა**.



### რა არის შემოქმედებითი აზროვნება?

შემოქმედებითი აზროვნების პროცესში მოსწავლე **აყალიბებს** ახალ იდეას ან აზრს. შემოქმედებითი აზროვნების განვითარება შეიძლება სასწავლო პროცესში. შემოქმედებითი აზროვნების დროს მოსწავლე **აგროვებს** ცოდნას და **იძენს** გამოცდილებას.

### რა არის კოგნიცია?

**კოგნიცია** (cognition) — ინგლისური სიტყვაა და ქართულად ცოდნას, **ანალიზს**, შემეცნებას ნიშნავს. რაც შეეხება დისონანსს (Dissonance) — ეს სიტყვა ითარგმნება, როგორც შეუსაბამობა. კოგნიცია არის პროცესი, როცა მოსწავლე იღებს ცოდნას, აგებს ახალ ცოდნას, აანალიზებს, იცის, რომელი ინფორმაციაა მნიშვნელოვანი და რომელი არა, უპასუხებს კითხვას „რატომ?“ მოსწავლე იღებს გადაწყვეტილებას.




### უპასუხეთ შეკითხვებს:

- ტექსტის მიხედვით, რა განსხვავებაა აზროვნებასა და კოგნიციას შორის?
- რა არის შემოქმედებითი აზროვნების მთავარი ნიშანი?
- რით განსხვავდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება ერთმანეთისაგან?
- თქვენი აზრით, მასწავლებელმა რატომ უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის აზროვნების, შემეცნებისა და კოგნიტური უნარები?



## დააკვირდით!



### 1.2. შემოხაზეთ სწორი ფორმა:

1. ნინო ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებას ა) გამოთქვამს; ბ) იღებს; გ) აგროვებს.
2. სკოლის დირექტორი მასწავლებლებთან სკოლის პრობლემებზე ა) ლაპარაკობს; ბ) გავლენას ახდენს; გ) მსჯელობს.
3. კონსტრუქტივისტულ გაკვეთილზე მოსწავლე გამოცდილებას ყოველთვის ა) აგროვებს; ბ) იძენს; გ) ახდენს.
4. კრიტიკული აზროვნების დროს მოსწავლე თავის აზრს თავისუფლად ა) იღებს; ბ) ახდენს; გ) აყალიბებს.
5. კონსტრუქტივისტულ გაკვეთილზე მოსწავლე ცოდნას ა) გამოთქვამს; ბ) აყალიბებს; გ) იძენს.

### 1.3. დააკავშირეთ სიტყვები:

ნიმუში: გადაწყვეტილების მიღება

გადაწყვეტილების	აღწერა
პერსონაჟის	მიღება
ცოდნის	ანალიზი
აზრის	გამოთქმა
ინფორმაციის	დაგროვება



### 1.4. მოუსმინეთ დიალოგს და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ბატონო ლადო, თუ შეიძლება, ისაუბრეთ თქვენს სკოლაზე.
- ჩვენს სკოლაში 800 მოსწავლე სწავლობს. ჩვენთან 70 მასწავლებელი მუშაობს. მაგრამ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც \_\_\_\_\_ ერთმანეთის აზრს და ყოველთვის თანამშრომლობენ.

**დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგებისათვის**

- თქვენს სკოლაში ბევრი წარმატებული მოსწავლე სწავლობს და, თქვენი აზრით, რა ახდენს გავლენას მოსწავლეების მოტივაციაზე?
- ჩვენი მასწავლებლები მუშაობენ თანამედროვე მეთოდებით და \_\_\_\_\_ თავიანთ მოსწავლეებზე. სასწავლო პროცესში ისინი ყოველთვის იყენებდნენ მრავალფეროვან აქტივობებს, სხვადასხვა სტრატეგიას, მუდმივად ითვალისწინებდნენ მოსწავლეების შესაძლებლობებსა და სურვილებს, რაც დიდ გავლენას \_\_\_\_\_ მოსწავლეების წარმატებებზე ცხოვრებაში. მასწავლებლები და მოსწავლეები ყოველთვის ერთად მუშაობდნენ სხვადასხვა პროექტზე და ერთად \_\_\_\_\_.
- ითვალისწინებს თუ არა თქვენი სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს?
- კი, კი, რა თქმა უნდა, ჩვენი ერთ-ერთი ასეთი მიზანია მოსწავლეებში \_\_\_\_\_ და \_\_\_\_\_ აზროვნების განვითარება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეს აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი და დამოუკიდებლად იღებს \_\_\_\_\_. შეიძლება ითქვას, ჩვენ ახალგაზრდებს ვამზადებთ ცხოვრებისთვის.
- დიდი მადლობა, ბატონო ლადო, გისურვებთ წარმატებას.
- თქვენც დიდი მადლობა.

**1.5. გადახაზეთ ზედმეტი სიტყვა:**


1. აზროვნება, შემეცნება, კოგნიცია, მსჯელობა
2. მსჯელობა, გადაწყვეტილება, ანალიზი, საუბარი
3. გადაჭრა, შექმნა, მიღება, გადაწყვეტილება
4. მეთოდი, პროდუქტი, სტრატეგია, აქტივობა
5. პროექტზე მუშაობა, საშინაო დავალების გაკეთება, ფულის დაგროვება, შეკითხვებზე პასუხის გაცემა.

**1.6. ჩამოთვლილი აქტივობებიდან რომელი ავითარებს აზროვნების ფორმებსა და კოგნიციას? შეავსეთ ცხრილი:**

ჯგუფური მუშაობა, დამოუკიდებელი მუშაობა, მსჯელობა, თამაში, ინტერვიუ, კითხვა-პასუხი, პროექტზე მუშაობა და ა.შ.

კრიტიკული აზროვნება	შემოქმედებითი აზროვნება	კოგნიცია

**1.7. დააკავშირეთ ტექსტი და სურათები; იმსჯელეთ, თუ რატომ გააკეთეთ ეს არჩევანი:**



I.

ნინო დავლიანიძე მეხუთეკლასელებს ასწავლის მათემატიკას. ის კეთილგანწყობილი მასწავლებელია და ითვალისწინებს მოსწავლეების აზრს, გაკვეთილის დროს ბევრ შეკითხვას უსვამს მოსწავლეებს და აინტერესებს მათი აზრი. მისი მოსწავლეები ხშირად ერთად მუშაობენ პროექტებზე და წარმატებით თანამშრომლობენ. ამით ნინო თავის მოსწავლეებს ეხმარება შემეცნების უნარისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაში.

II.

შემეცნების პროცესი აუცილებლად ახდენს გავლენას მოსწავლის ქცევასა და უნარებზე. თუ პროცესი სწორად მიდის, ასეთ დროს ხდება ცოდნის შექმნა და დაგროვება, მოსწავლეს უვითარდება ერთ-ერთი მთავარი უნარი - იგი თვითონ აგებს ცოდნას გამოცდილებითა და ახალი ინფორმაციით. ამიტომ კარგი მასწავლებელი ყოველთვის ფიქრობს მოსწავლის შემეცნების უნარების განვითარებაზე. ეს კონსტრუქტივისტული გაკვეთილის ერთ-ერთი მთავარი მიზანი უნდა იყოს.

III.

კრიტიკული აზროვნება, პირველ რიგში, არის მოსწავლის ცნობისმოყვარეობა. მოსწავლე, რომელიც იღებს ახალ ინფორმაციას, კრიტიკულად აზროვნებს და ამ ინფორმაციის ანალიზითა და შეფასებით აგებს ახალ ცოდნას. ამ ცოდნას მოსწავლე ცხოვრებაში იყენებს.

**1.8. ეთანხმებით თუ არა ქვემოთ მოყვანილ მოსაზრებას და რატომ? თქვენი აზრით, რა უნარებს ავითარებს კითხვა და რატომ ფიქრობთ ასე?**

ის, ვინც კითხულობს, ფიქრობს.  
 ის, ვინც ფიქრობს, აზროვნებს.  
 ის, ვინც აზროვნებს, მსჯელობს.  
 ის, ვინც მსჯელობს, გადაწყვეტილებასაც იღებს.

**2.2. მრავალმხრივი ინტელექტი**



**ახალი სიტყვები:**

<p><b>რა?</b>                  ერთობლიობა                  ინტელექტი                  საშუალება                  ჟესტი                  კლასი / კლასელი                  მასალა                  საღებავი                  დაკვრა                  გაგება                  ჩვენება                  დაჭირვება</p>	<p><b>როგორი?</b>                  ინტელექტუალური                  მრავალმხრივი</p>
---	---

<p><b>ზმნები:</b>                  უკრავს                  აგებს/იგებს                  სჭირდება                  აჩვენებს</p>	<p><b>როგორ?</b>                  ნაკლებად                  მეტად</p>
--	---

**ფრაზები:**

<p>ლიტერატურული კონკურსი                  გამოცდილების საშუალებით                  მრავალმხრივი ინტელექტი                  მუსიკალური ინტელექტი                  ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტი                  ფიზიკურ-კინესთეტიკური ინტელექტი                  ინტრაპერსონალური ინტელექტი                  ინტერპერსონალური ინტელექტი                  ენობრივ-ლინგვისტური ინტელექტი                  ნატურალისტური ინტელექტი</p>
--



## დაიმახსოვრეთ!

	გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
დაკვრა	უკრავდა	დაუკრა	<b>უკრავს</b>	დაუკრავს	დაუკრას
აგება/გაგება	ა/იგებდა	ა/გაიგო	<b>ა/იგებს</b>	ა/გაიგებს	ა/გაიგოს
დაჭირვება	სჭირდებოდა	დასჭირდა	<b>სჭირდება</b>	დასჭირდება	დასჭირდეს
ჩვენება	აჩვენებდა	აჩვენა	<b>აჩვენებს</b>	აჩვენებს	აჩვენოს

### 2.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

ადამიანის წარმატებული ცხოვრებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს შემეცნებას. მის განვითარებას უნარების **ერთობლიობა სჭირდება**, უნართა ერთობლიობას კი **ინტელექტი** ჰქვია. ადამიანებს სხვადასხვანაირი ინტელექტი აქვთ. ის, ვისაც მაღალი ინტელექტი აქვს, უფრო სწრაფად და კარგად სწავლობს, ვიდრე ის, ვინც **ნაკლებად ინტელექტუალურია**. ინტელექტი გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე. მართლაც, ვისაც მეტი ცოდნა აქვს, ის მეტად ინტელექტუალური და კულტურულია. ინტელექტის განვითარება შეიძლება სწავლისა და გამოცდილების დაგროვების **საშუალებით**.

ჰორვარდ გარდნერის აზრით, ადამიანებს განსხვავებული და **მრავალმხრივი** ინტელექტი აქვთ. ადამიანს შეიძლება განვითარებული ჰქონდეს ერთი ან მეტი, მაგალითად, ორი ან სამი ინტელექტი. რეალობა **აჩვენებს**, რომ ბავშვების შემთხვევაშიც სწორედ ასეა. რა სახის ინტელექტი შეიძლება ჰქონდეთ ბავშვებს?

**მუსიკალური ინტელექტი – თამარს** ყოველთვის უყვარდა მუსიკა. მუსიკალურ სკოლაში დადიოდა და ფორტეპიანოზე ძალიან კარგად **უკრავდა**.

**ლოგიკურ-მათემატიკური და ფიზიკურ-კინესთეტიკური ინტელექტი – ნათია** ყოველთვის კარგად სწავლობდა მათემატიკას, მაგრამ ძალიან ცუდად წერდა. ნათიას დას ანა ჰქვია. იგი ძალიან კარგად წერს, მაგრამ მათემატიკის სწავლა არ უყვარს.

**ინტრაპერსონალური ინტელექტი – გიგა** კლასელებს არ ესაუბრება, გაკვეთილზე არ არის აქტიური, მაგრამ მასწავლებლის კითხვაზე პასუხის გაცემა მისთვის რთული არ არის.

**ინტერპერსონალური ინტელექტი – ლიკა** ყოველთვის კლასელებთან ერთადაა. გაკვეთილზე საკლასო აქტივობების დროს ყოველთვის ეხმარება მეგობრებს.

**მხედველობით-სივრცული ინტელექტი – ალექსანდრეს** ყველაზე მეტად ხელოვნების გაკვეთილი მოსწონს. ხელოვნების ოთახში არის ყველაფერი ის, რაც სამუშაოდ არის საჭირო: ფერადი ფანქრები, **საღებავები**, პლასტილინი და სხვა **მასალა**. მალე გამოფენა იქნება. ალექსანდრე გამოფენისთვის პატარა გოგონას ფიგურას აკეთებს პლასტილინით, რომელსაც ყველას აჩვენებს.

**ენობრივ-ლინგვისტური ინტელექტი – გიორგი** ლექსებს წერს. ის მომავალი პოეტია. მან პირველი ადგილი აიღო სკოლის ლიტერატურულ კონკურსში.

**ნატურალისტური ინტელექტი – ანდრია**ს უყვარს ბუნება. იგი მამასთან ერთად დიდ დროს ატარებს ბუნებაში, სახლში კი პატარა ძაღლი ჰყავს.



ბ) ტექსტის მიხედვით შეავსეთ მოცემული ცხრილი:

ინტელექტი	მოსწავლეს უყვარს და შეუძლია:
ენობრივ-ლინგვისტური ინტელექტი	
ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტი	
მხედველობით - სივრცული ინტელექტი	
მუსიკალური ინტელექტი	
ფიზიკურ-კინესთეტიკური ინტელექტი	
ინტერპერსონალური ინტელექტი	
ინტრაპერსონალური ინტელექტი	
ნატურალისტური ინტელექტი	



**დააკვირდით!**

ა) გამოცდილების  
ცოდნის  
აზროვნების  
მეთოდის  
აქტივობის  
ანალიზის  
ქცევის  
აღზრდის  
შეფასების

სამუალებით


ბ) ის, რაც ოთახში არის.  
ის, რაც სამუშაოდ არის საჭირო.

გ) უნარების ერთობლიობა  
მშობლების აზრი  
მოსწავლეების ინტერესი

↔

უნართა ერთობლიობა  
მშობელთა აზრი  
მოსწავლელთა ინტერესი

დ)



**2.2. წაიკითხეთ, რა აქტივობებს იყენებს ნათია გაკვეთილებზე და დაწერეთ, რომელი ინტელექტია აქტიური ამ დროს:**

ნათია დოლაბერიძე პრაქტიკოსი მასწავლებელია და ბავშვებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. მან კარგად იცის, თუ რა არის ინტელექტი და სწავლების პროცესში მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას კარგად იყენებს.

ნათია დოლაბერიძე გაკვეთილის დროს ახალ მასალას პრეზენტაციის სახით აჩვენებს მოსწავლეებს.

ლაპარაკის დროს იგი კარგად იყენებს ჟესტებს. \_\_\_\_\_

ნათია, აგრეთვე, ხშირად იყენებს ფოტოებს, აჩვენებს ნახატებს, რომ მოსწავლეებმა უფრო კარგად გაიგონ ახალი მასალა. \_\_\_\_\_

გაკვეთილის პროცესში ნათიას მოსწავლეები ხშირად უსმენენ მუსიკას. ეს აქტივობა მოსწავლეებს უკეთესად აზროვნებაში ეხმარება. \_\_\_\_\_

მოსწავლეებს აქვთ დრო ფიქრისა და ანალიზისთვის. ისინი მსჯელობენ და ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ სწავლობენ და როგორ აგებენ ახალ მასალას, რა უნარებს იძენენ გაკვეთილზე. \_\_\_\_\_

გაკვეთილზე მოსწავლეები ხშირად მუშაობენ ჯგუფურად და ეხმარებიან ერთმანეთს ახალი მასალის გაგებაში. \_\_\_\_\_

ხანდახან ნათია ახალ მასალას ბუნებასთან აკავშირებს, გაკვეთილებს ატარებს ეზოში, სადაც მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად საუბრობენ და მსჯელობენ ახალ თემებზე, პერსონაჟებსა და მათ პრობლემებზე.

**2.3. დააკავშირეთ სიტყვები:**

ნიმუში: სასწავლო გარემო

<b>სასწავლო</b>	ინტელექტი
განვითარების	დაკვრა
ინტელექტუალური	აზრი
განსხვავებული	ადამიანი
უნარების	<b>გარემო</b>
ენობრივ-ლინგვისტური	დონე
ფორტეპიანოზე	ერთობლიობა



**2.4. მოუსმინეთ მოსწავლეებს და განსაზღვრეთ, რა ტიპის ინტელექტი აქვს თითოეულ მათგანს. პასუხები დაასაბუთეთ:**

	ლიკა	სანდრო	ნუცა	ლუკა
ინტელექტის ტიპი				

**2.5. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:**

საშუალებით	ქცევა
შემეცნების	ინტელექტი
განვითარებაც	

ფსიქოლოგები ფიქრობენ, რომ ადამიანის ინტელექტუალური აზროვნება და ინტელექტუალური \_\_\_\_\_ დამოკიდებულია \_\_\_\_\_ პროცესსა და ადრე შექმნილ ცოდნაზე. რაც უფრო მეტი იციან მოსწავლეებმა ცხოვრებისა და საკუთარი მიზნების შესახებ, მით უფრო ინტელექტუალურად იქცევიან ისინი. შეიძლება ითქვას, რომ \_\_\_\_\_ არის ის, რისი \_\_\_\_\_ შესაძლებელია სწავლისა და გამოცდილების დაგროვების \_\_\_\_\_.



## 2.6. მოუსმინეთ დიალოგს და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- გამარჯობა, ელისო, შემოდი.
- დილა მშვიდობისა, ქალბატონო ნაზი.
- ელისო, ლევან მაისურაძე შენს კლასშია?
- კი, ჩემი მოსწავლეა, მე-ნა კლასში სწავლობს.
- როგორი მოსწავლეა? გუშინ დედამისი იყო ჩემთან, დიდხანს ვსაუბრობდით.
- შეიძლება ითქვას, რომ ლევანი \_\_\_\_\_ ბავშვია, სხვებს არ ჰგავს, ისე არ \_\_\_\_\_, როგორც სხვა ბავშვები და \_\_\_\_\_ აქტიურია. თავიდან ვფიქრობდი, რომ საშინაო დავალებებს არ აკეთებდა და არ სწავლობდა ახალ მასალას, მაგრამ შემდეგ სასწავლო პროცესში დავინახე, რომ ლევანი ძალიან ჭკვიანი ბიჭია. მას მხოლოდ ჩემი დახმარება \_\_\_\_\_ . ლევანმა ბევრი რამე იცის, უყვარს სწავლა, ახალი ინფორმაციის მიღება. კარგად \_\_\_\_\_ ძველ და ახალ მასალას.
- კარგი ნიშნები ჰყავს?
- კი, ძალიან კარგად სწავლობს და კარგ \_\_\_\_\_ იღებს.
- ესე იგი, უყვარს სწავლა.
- დიახ, უბრალოდ არ შეუძლია ბავშვებთან დიდ ჯგუფში მუშაობა, უფრო \_\_\_\_\_ აზროვნებს, ამიტომ როდესაც ვგეგმავ გაკვეთილს, ყოველთვის \_\_\_\_\_ ლევანის შესაძლებლობებსა და \_\_\_\_\_, მისი მუშაობის ფორმას. მაგალითად, მას უყვარს მუსიკა, კარგად \_\_\_\_\_ ფორტეპიანოზე, ასევე უყვარს ბუნება, შარშან მთელი წელი აკეთებდა ბუნების კუთხეს ჩვენი კლასისთვის, ამიტომ ლევანთან მუშაობის დროს ყოველთვის სხვადასხვა \_\_\_\_\_ ვიყენებ.
- საინტერესოა, დიდი მადლობა, ელისო, ახლავე დაგურეკავ ლევანის მშობელს.
- კარგი, ნახვამდის.

## 2.7. მოსმენილი დიალოგის მიხედვით იმსჯელეთ შემდეგ საკითხებზე; თქვენი პასუხები დაასაბუთეთ:

- როგორი მასწავლებელია ელისო? ისაუბრეთ მის შესახებ.
- სწავლების რა მეთოდებს იყენებს ელისო გაკვეთილზე და ლევანთან მუშაობის პროცესში?
- როგორი მოსწავლეა ლევანი?
- რა ტიპის ინტელექტი აქვს განვითარებული ლევანს?


## 2.8. დააკავშირეთ სიტყვები და მათი განმარტებები:

- ა) ცნობისმოყვარე
- ბ) აქტივობა
- გ) შემეცნება
- დ) კრიტიკული აზროვნება
- ე) გამოცდილება

**განმარტებები**

- ადამიანი თავისუფლად გამოთქვამს აზრს, იყენებს ცოდნას პირად ცხოვრებაში და ზრუნავს საკუთარ თავზე
- მიღებული ცოდნა, უნარები, შესაძლებლობები
- ადამიანი, რომლისთვისაც ყველაფერი საინტერესოა
- ცოდნის შექმნისა და დაგროვების პროცესი
- სხვების დახმარება, სხვებისთვის რაიმეს კეთება, ინტერესების გათვალისწინება.

**2.3. კომპიუტერი განვითარება**



ახალი სიტყვები:	
<p><b>რა?</b>                      ოპერაცია                      გადამუშავება                      სტადია                      დახარისხება</p>	<p><b>როგორი?</b>                      ფორმალური                      კონკრეტული                      განსხვავებული                      გენეტიკური</p>
<p><b>გონები:</b>                      ამუშავებს                      გადაღის                      გამოხატავს                      იზრდება                      შეუძლია</p>	<p><b>როგორ?</b>                      თანმიმდევრობით</p>
ფრაზები:	
<p>უნდა გავითვალისწინოთ                      სენსო-მოტორული სტადია                      ოპერაციამდელი სტადია                      კონკრეტული ოპერაციების სტადია                      ფორმალური ოპერაციების სტადია</p>	




## დაიმახსოვრეთ!

	გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
გადაამუშავება	ამუშავებდა	გადაამუშავა	ამუშავებს	გადაამუშავებს	გადაამუშაოს
გადასვლა	გადადიოდა	გადავიდა	გადადის	გადავა	გადავიდეს
გამოხატვა	გამოხატავდა	გამოხატა	გამოხატავს	გამოხატავს	გამოხატოს
გაზრდა	იზრდებოდა	გაიზარდა	იზრდება	გაიზრდება	გაიზარდოს
შეძლება	შეეძლო	შეძლო	შეუძლია	შეძლებს	შეძლოს



## დააკვირდით!



### 3.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:



ჟან პიაჟე (1896 — 1980) - შვეიცარიელი ფსიქოლოგი. ის იყო ნევშატელის (1926-1929), ჟენევისა (1929-იდან) და ლოზანის (1937-1954) უნივერსიტეტების პროფესორი. ჟან პიაჟეს შემეცნების თეორია მსოფლიოში ცნობილია. მან აჩვენა მსოფლიოს თავისი ხედვა და მათ გაიზარეს პიაჟეს ინტელექტის ოპერაციონალისტური კონცეფცია და გენეტიკური ეპისტემოლოგია.

**დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგებისათვის**

ჟან პიაჟე ამბობს, რომ როდესაც ბავშვი **იზრდება**, მას უკვე აქვს ცოდნა და გამოცდილება ყველაფრის შესასწავლად. ბავშვი მზადაა სხვადასხვა **ოპერაციისათვის**. მაგალითად, დამოუკიდებელი აზროვნება, ინფორმაციის **გადამუშავება და ა.შ.** მისთვის მნიშვნელოვანია ის, რაც მას სჭირდება **კონკრეტულ** დროს. ის ფიქრობს იმაზეც, თუ რას ისწავლის, რას გააკეთებს, როგორ დაგეგმავს და რა გადაწყვეტილებებს მიიღებს. ამ პროცესს **კოგნიტური განვითარება** ჰქვია. კოგნიტური განვითარება არის მოსწავლეების აზროვნება, შემეცნებითი უნარები და ინტელექტუალური შესაძლებლობა.

ბავშვები სხვადასხვა **ოპერაციის** საშუალებით **გადადიან** განვითარების ახალ, უფრო მაღალ **სტადიაზე**. ყველა ბავშვი ერთნაირი **თანმიმდევრობით** გაივლის განვითარების სტადიებს. თითოეულ სტადიაზე ის განსხვავებულად აზროვნებს და იყენებს განსხვავებულ **ოპერაციებს**. პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ:

- ბავშვის ასაკი – უნდა გავიგოთ რამდენი წლის არის ის
- განვითარების რომელ სტადიაზეა ბავშვი
- რა ცოდნას მიიღებს ბავშვი
- როგორ **გადაამუშავებს** ინფორმაციას.

ასევე, აუცილებელია, ვიცოდეთ, რომელი **ოპერაციების** გაკეთება შეუძლია მას. შეუძლია თუ არა ბავშვს გამოცდილების დამოუკიდებლად მიღება. თუ არა – უნდა გავიგოთ, თუ როგორ დავეხმაროთ მას სწავლაში. ამიტომ საჭიროა მოსწავლის თანმიმდევრობით განვითარებაზე ფიქრი.

გვაქვს ბავშვის კოგნიტური განვითარების ოთხი სტადია:


კოგნიტური განვითარების სტადია	ასაკი/წელი	მოსწავლეების ქცევები
<b>სენსო-მოტორული სტადია</b>	2 წლამდე	ცოდნას იღებს, როცა ხედავს ან უსმენს. მოიფიქრებს და დაგეგმავს აქტივობებს, იღებს გადაწყვეტილებებს.
<b>ოპერაციამდელი სტადია</b>	2-დან 7 წლამდე	იწყებს ლაპარაკს, <b>გამოხატავს</b> თავის აზრს, იღებს ინფორმაციას ენის საშუალებით. შეუძლია ასეთი ანგარიში $2+4=6$ , მაგრამ არ შეუძლია განსხვავებული ანგარიში $6-4=2$ .
<b>კონკრეტული ოპერაციების სტადია</b>	7-დან 11 წლამდე	შეუძლია საგნების <b>დახარისხება</b> რამდენიმე ნიშნით. შეუძლია დამოუკიდებლად ფიქრი. ეს არის ლოგიკური აზროვნების პირველი სტადია.
<b>ფორმალური ოპერაციების სტადია</b>	11-12-დან 14-15 წლამდე	შეუძლია ლოგიკური აზროვნება და აქვს თავისი იდეები.

**ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:**

1. რას არის კოგნიტური განვითარების პროცესი?
2. რას გულისხმობს მოსწავლის თანმიმდევრობით განვითარება?
3. რატომ არის საჭირო მოსწავლის თანმიმდევრობითი განვითარებაზე ფიქრი?
4. რა განსხვავებაა კოგნიტური განვითარების თითოეულ სტადიაზე ბავშვის ქცევებში?
5. კოგნიტური განვითარების რომელ სტადიაზე შეუძლია მოსწავლეს დამოუკიდებელი აზროვნება და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება?



## დააკვირდით!



### 3.2. მოუსმინეთ ტექსტს და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

14 წლის თეა:

მე ვარ თეა, 14 წლის. დღეს თბილისში ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა „ქუჩის ბავშვები“. ისინი ცხოვრობენ და მუშაობენ ქუჩაში, მაგრამ ეს მათი \_\_\_\_\_ არაა. არც სკოლაში დადიან. თბილისში, ჩემს სახლთან ახლოს მეტროა. სკოლაში მეტროთი დავდივარ. მეტროში ბევრი ასეთი ბავშვია. ისინი მთელი დღე დადიან მატარებლიდან მატარებელში და \_\_\_\_\_ მიღება უნდათ. მე უკვე ვიცნობ 13 წლის ლალის. ძალიან კარგი, კეთილი და \_\_\_\_\_ გოგოა. მინდა ჩემთან ერთად ცხოვრობდეს სახლში. იმედია, დედა \_\_\_\_\_ ჩემს სურვილს. მე ვფიქრობ, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა საქართველოში და ჩვენ აუცილებლად უნდა ვიფიქროთ ასეთ ადამიანებზე. მართლაც, ყველამ უნდა გავაკეთოთ ის, \_\_\_\_\_ ჩვენთვის მნიშვნელოვანია.

#### პროფესორი:

თქვენ მოისმინეთ თეას საუბარი, როგორც უკვე იცით, თეა 14 წლის გოგოა. თეას აქვს თავისი აზრი და ის ფიქრობს ასეთ საკითხებზე. თეასთვის მართო პრობლემა კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ ის ფიქრობს ამ პრობლემის \_\_\_\_\_. თეა ლაპარაკობს 13 წლის გოგონაზე და კარგად იცის, თუ რა სჭირდება მას. თეა ფიქრობს, რომ ეს ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, მას აქვს ანალიზის კარგი უნარი. ის მსჯელობს \_\_\_\_\_. **ფორმალური** ოპერაციების სტადია - შეიძლება ითქვას, რომ \_\_\_\_\_ განვითარების სწორედ ამ \_\_\_\_\_ ახლა თეა.

### 3.3. დააკავშირეთ სიტყვები:

ნიმუში: ლოგიკური აბროვნება

ლოგიკური	განვითარება
მაღალი	სტადია
თანმიმდევრობით	<b>აბროვნება</b>
ოპერაციების	შეძენა
გამოცდილების	ჩვენება



### 3.4. წაიკითხეთ მაგალითები და განიხილეთ, კოგნიტური განვითარების რომელი სტადიაა გააქტიურებული თითოეული აქტივობის დროს:

ორი წლის სალომემ ჯერ კარგად არ იცის ლაპარაკი. ახლა იგი სამზარეულოშია დედასთან ერთად. დედა სადილს ამზადებს. სალომეს უნდა გაიგოს, რა არის მაგიდაზე, მაგრამ სამზარეულოს მაგიდა მაღალია და სალომემ არ იცის, რა არის იქ. სალომე იღებს პატარა სკამს და დგება მასზე. ახლა უკვე იცის სალომემ, თუ რა არის მაგიდაზე და რას აკეთებს დედა. შეიძლება ითქვას, რომ სალომე ფიქრობს და გეგმავს.

ნიკა 5 წლისაა და უყვარს რიცხვები. დედა ხშირად უსვამდა ნიკას კითხვას, თუ რამდენია  $2+2$ ;  $5+3$  და  $5+5$ . ნიკა ფიქრობდა და ასეთ პასუხს სცემდა დედას:  $2+2 = 4$ ;  $5+3 = 8$  და  $5+5 = 10$ . შემდეგ დედა ნიკას კითხვას უსვამდა, თუ რამდენია  $5 - 3$ , მაგრამ ნიკამ არ იცოდა ამაზე პასუხი. მას შეუძლია მხოლოდ პირველი დავალების გაკეთება.

მე თამარი ვარ და 11 წლის ვარ. მყავს ძმა – ლუკა, 3 წლის. ნინო, მარი და ეკა ჩემი მეგობრები არიან. ლუკა იცნობს მათ. ერთ დღეს ლუკამ თქვა: ნინოს უფრო ღია ფერის თმა აქვს, ვიდრე მარის, ნინოს უფრო მუქი ფერის თმა აქვს, ვიდრე ეკას. ამ სამი გოგონადან რომელს აქვს უფრო მუქი ფერის თმა? ლუკას პასუხი ასეთი იყო – ნინოს. მე ვთქვი, რომ ლუკას პასუხი არ იყო სწორი: მარის აქვს მუქი ფერის თმა და არა ნინოს.

### 3.5. დააკვირდით სურათებს; იმსჯელეთ, კოგნიტური განვითარების რომელ სტადიაზე არიან ბავშვები, რა აქტივობებს აკეთებენ, როგორ მიდის მათი შემეცნებისა და კოგნიციის პროცესი. პასუხი დაასაბუთეთ და მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები:



ფოტო	კოგნიტური განვითარების სტადია	ასაკი	ქცევები
1.			
2.			
3.			
4.			

**3.6. დააკავშირეთ სიტყვები და განმარტებები:**

**სიტყვები**

ოპერაცია, ლოგიკური აზროვნება, მრავალმხრივი, ჩამოყალიბება, თანმიმდევრობით

**განმარტებები**

- სხვადასხვა სტადიაზე, ლოგიკურად
- სხვადასხვა, განსხვავებული
- დამოუკიდებლად და თანმიმდევრობით ფიქრის უნარ-ჩვევა
- სხვადასხვა აქტივობა
- აზრის გამოთქმა და გადმოცემა.

**3.7. გახაზეთ სწორი ვარიანტები:**

1. კოგნიტური განვითარების სენსო-მოტორულ სტადიაზე პატარა ბავშვები სწავლობენ ცხოვრებას
  - ა) როდესაც უსმენენ
  - ბ) სიმღერის საშუალებით
  - გ) მუშაობის საშუალებით.
2. კოგნიტური განვითარების ოპერაციამდელ სტადიაზე ბავშვები იწყებენ
  - ა) ლაპარაკს
  - ბ) ფიქრს
  - გ) ანგარიშს და უკვე შეუძლიათ თავიანთი აზრების გამოხატვა.
3. კონკრეტული ოპერაციების სტადიაზე არიან 7-დან 11 წლამდე ბავშვები. ამ სტადიაზე მათ შეუძლიათ საგნების, ადამიანების
  - ა) გადამუშავება
  - ბ) შეფასება
  - გ) დახარისხება რამდენიმე ნიშნით.
4. ბავშვი მიდის მაგიდასთან, ხედავს სათამაშოს და იღებს მას. ამ მოქმედებით ბავშვმა
  - ა) ააგო ახალი ცოდნა
  - ბ) მიიღო ცოდნა
  - გ) იმსჯელა ლოგიკურად.

- 5. როდესაც ბავშვი ფიქრობს, გეგმავს აქტივობებს და იღებს გადაწყვეტილებებს - ეს არის
  - ა) სენსო-მოტორული სტადია
  - ბ) ოპერაციამდელი სტადია
  - გ) კონკრეტული ოპერაციების სტადია.

**3.8. ეთანხმებით თუ არა ჟან პიაჟეს მოსაზრებას? პასუხი დაასაბუთეთ და მოიყვანეთ სათანადო მაგალითები თქვენი პრაქტიკიდან:**

შეიძლება ითქვას, რომ ბავშვი პასიურად კი არ იღებს ცოდნას, არამედ ცხოვრებასთან აქტიური კავშირის პროცესში აგებს მას.


# III თავი – აზროვნება, მოსწავლის აზროვნებისა და განვითარების დონეები

- 3.1. აზროვნება და ფიქრი
- 3.2. აზროვნების დონეები
- 3.3. მოსწავლის განვითარების დონეები

**გრამატიკა:**

- 1. წარსული დრო: წყვეტილი
- 2. თანდებული: მიხედვით; გარეშე
- 3. დამოკიდებული წინადადება – კავშირი: რომელიც; რომლებიც
- 4. ჩართული: ჩემი აზრით

## 3.1. აზროვნება და ფიქრი



ახალი სიტყვები:	
<b>რა?</b>	<b>როგორი?</b>
საკითხი	მიღებული
მაგალითი	ღრმა
ამოცანა	ბეჭითი
პრაქტიკა	
ექსკურსია	
გააზრება	
მოსაზრება	
შესრულება	
შენარჩუნება	

<p><b>ზმნები:</b>                  იაზრებს                  უზიარებს                  აგრძელებს                  პოულობს                  ხსნის                  ამბობს</p>	<p><b>როგორ?</b>                  განსაკუთრებით                  მუდმივად                  ერთდროულად                  თავისუფლად</p>
<b>ფრაზები:</b>	
<p>ჩემი აზრით                  ინფორმაციის მიხედვით                  აქტივობებში მონაწილეობა                  დამოუკიდებელი მუშაობის საშუალება</p>	



### დაიმასოვრეთ!

	გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
გააზრება	იაზრებდა	გაიაზრა	<b>იაზრებს</b>	გაიაზრებს	გაიაზროს
გაზიარება	უზიარებდა	გაუზიარა	<b>უზიარებს</b>	გაუზიარებს	გაუზიაროს
გაგრძელება	აგრძელებდა	გააგრძელა	<b>აგრძელებს</b>	გააგრძელებს	გააგრძელოს
პოვნა	პოულობდა	იპოვა	<b>პოულობს</b>	იპოვის	იპოვოს
ამოხსნა	ხსნიდა	ამოხსნა	<b>ხსნის</b>	ამოხსნის	ამოხსნას
თქმა	ამბობდა	თქვა	<b>ამბობს</b>	იტყვის	თქვას



### დააკვირდით!

ინფორმაციის მიხედვით  
 პრობლემის შესახებ  
 -----  
 მუშაობის საშუალება

#### 1.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

მე ნიკა ვარ. მყავს ერთი მეზობელი, **რომელიც** ჩემი ბავშვობის მეგობარია. მას გიორგი ჰქვია. ჩვენ ერთ რაიონში ვცხოვრობთ, მაგრამ სხვადასხვა სკოლაში ვსწავლობთ და ხშირად ვსაუბრობთ მეგობრების, სკოლის, გაკვეთილებისა და სწავლის შესახებ. მე სკოლაში ყოველთვის ბედნიერი მივდივარ, გიორგიც. ჩემს სკოლაში სასწავლო პროცესი ძალიან საინტერესოდ მიდის. გაკვეთილებზე ვიღებთ ცოდნას. მასწავლებლები გვეხმარებიან **მიღებული** ცოდნის

გააქტიურებასა და **შენარჩუნებაში**. ისინი იყენებენ ისეთ აქტივობებს, რომ ყველაფერს კარგად ვიგებთ და ახალ მასალას **ვიაზრებთ**.

მე **განსაკუთრებით** მომწონს ისეთი დავალებები, რომლებშიც მაქვს დამოუკიდებლად მუშაობის საშუალება. ასეთ დროს მე ვფიქრობ საკითხის ან პრობლემის შესახებ; ჯერ ვიგებ, შემდეგ ვიაზრებ და ბოლოს ანალიზს ვაკეთებ. შემოიძლია აზრის ნათლად გამოხატვა და პრობლემებზე **თავისუფლად** მსჯელობა; ძალიან მომწონს, როდესაც დამოუკიდებლად **ვპოულობ** პრობლემის გადაჭრის გზას. მე აქტიურად ვიყენებ მიღებულ ცოდნას საკლასო და საშინაო დავალებების **შესრულების** დროს.

განსაკუთრებით მიყვარს მათემატიკა. **ჩემი აზრით**, მათემატიკის მასწავლებელმა კარგად იცის ყველა მოსწავლის შესაძლებლობა. იგი გვაძლევს ისეთ **მაგალითებს**, რომლებსაც **გაგება-გააზრება**, **ღრმა** ანალიზი და მსჯელობა სჭირდება. ასეთ დროს კლასელები ხშირად ვთანამშრომლობთ ერთმანეთთან. ჩვენ ხან **ვუზიარებთ** ერთმანეთს **მოსაზრებებს**, ხან ვმსჯელობთ ამოცანის **ამოხსნის** გზებზე. ერთხელ გაკვეთილზე გამოვიყენეთ ინტერნეტი და ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია კომპიუტერში **ვიპოვეთ**. ინფორმაციის გარეშე ანალიზი რთულია. შემდეგ მთელმა კლასმა ბევრი ვიმსჯელეთ ამ საკითხზე და ახალი ინფორმაციის **მიხედვით** უკვე ადვილი იყო პრობლემების ანალიზი. ყველაზე ძალიან ის მომწონს, რომ გაკვეთილზე **მუდმივად** ვფიქრობთ. ჩვენი მასწავლებელი ხშირად **ამბობს**, რომ განსხვავებულ აქტივობებში დამოუკიდებლად მონაწილეობით ან თანაკლასელებთან ერთად მუშაობის დროს, ჩვენ შეგვიძლია სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის გააქტიურება და **შენარჩუნება**.

ეს ჩემთვის დიდი გამოცდილებაა და ვიცი, რომ აუცილებლად გამოვიყენებ ამას **პრაქტიკაში**. სკოლის დამთავრების შემდეგ მინდა უნივერსიტეტში მათემატიკის ფაკულტეტზე **გავაგრძელო** სწავლა.

**ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:**

1. რატომ მოსწონს ნიკას მათემატიკის გაკვეთილები?
2. რომელი აქტივობები ეხმარება ნიკას კრიტიკული აზროვნების განვითარებაში? რატომ?
3. რას აკეთებენ ნიკას მასწავლებლები იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეინარჩუნონ მიღებული ცოდნა?
4. რატომ არის მნიშვნელოვანი ცოდნის შენარჩუნება?
5. თქვენ რა აქტივობებს იყენებთ პრაქტიკაში იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გაააქტიურონ და შეინარჩუნონ გაკვეთილზე მიღებული ცოდნა?

**გ) დააკვირდით და შეადგინეთ წინადადებები:**

დღეს	გუშინ
იაზრებს	გაიაზრა
უზიარებს	გაუზიარა
აგრძელებს	გააგრძელა
პოულობს	იპოვა
ხსნის	ამოხსნა
ამბობს	თქვა



## დააკვირდით!

ა)

<p><b>შეუძლია</b></p>	<p><b>.... + ის</b>                  პრობლემის გადაჭრა                  ამოცანის ამოხსნა                  ცოდნის შენარჩუნება                  გამოცდილების გაზიარება</p>
-----------------------	--

ბ)

დავალემა, რომელიც  
 დავალებები, რომლებიც

გ)

დახმარების გარეშე  
 შეცდომების გარეშე

### 1.2. მოუსმინეთ დიალოგს და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ბატონო დავით, ძალიან კარგია, რომ ახლა თქვენ იქნებით ჩემი კლასის მასწავლებელი, რომ თქვენ შეხვალთ მერვე კლასში.
- დიდი მადლობა. ქალბატონო ნესტან, თქვენ რამდენი წელი იმუშავეთ ამ ბავშვებთან?
- ამ ბავშვებს მეხუთე კლასიდან ვასწავლიდი, კარგი კლასია, შედეგები არც ისე მაღალი აქვთ, თუმცა მათთან მუშაობა ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ მოსწონთ ერთად მუშაობა, მოსაზრებების \_\_\_\_\_, პრობლემებზე \_\_\_\_\_.
- ისინი არიან დამოუკიდებლები და შეუძლიათ კრიტიკულად \_\_\_\_\_, დამოუკიდებლად სწავლა, ცოდნის \_\_\_\_\_. მათ ასევე შეუძლიათ ცოდნის \_\_\_\_\_ და მიღებული ცოდნის \_\_\_\_\_ გამოყენება.
- მართლა? ძალიან საინტერესოა. როგორც ჩანს, \_\_\_\_\_ და \_\_\_\_\_ ბავშვები არიან.
- კი, კი, ნამდვილად ასეა.
- ახლა უკვე კარგად \_\_\_\_\_, როგორ ვიმუშავე ამ კლასთან. გაკვეთილზე აუცილებლად გამოვიყენებ **ერთდროულად** რამდენიმე აქტივობას და, ალბათ, ეს იქნება ყველაზე სწორი.
- კი, \_\_\_\_\_.
- კიდევ ერთხელ დიდი მადლობა.

**1.3. ა) წაიკითხეთ ტექსტი:**

**ნინო ლოლაძე** - დამოუკიდებელია, უყვარს სწავლა, საკითხზე ფიქრი, შეუძლია ღრმა ანალიზი და თემაზე მსჯელობა. ცოდნას აგროვებს და გამოცდილებას იძენს. მას აქვს ლოგიკური აზროვნების უნარი. მისი საყვარელი საგანია მათემატიკა.

**გიორგი არველაძე** - ბეჯითი ბიჭია. უყვარს სწავლა და თავისუფლად იყენებს მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში, გამოცდილებას უზიარებს თანაკლასელებს. შეუძლია საგნების დახარისხება რამდენიმე ნიშნით. საკლასო დავალებების შესრულების დროს ყოველთვის ეხმარება მეგობრებს.

**ეკა კილაძე** - ძალიან აინტერესებს საგანი. განსაკუთრებით უყვარს ისეთი დავალებები, რომლებიც საჭიროებს პრობლემის ღრმა ანალიზს. აქვს საკუთარი აზრი სხვადასხვა საკითხზე. გარდა ამისა, ის კარგად უკრავს ფორტეპიანოზე, ცეკვავს და ძალიან უყვარს მუსიკა.

**ანა შათირიშვილი** - შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს ცოდნა, მაგრამ მაინც უჭირს გაგება-გააზრება. ამიტომ არ შეუძლია საკითხის ღრმა ანალიზი და მსჯელობა. შეუძლია ყველაფრის დაგეგმვა. იშვიათად ესაუბრება თანაკლასელებს და არ არის აქტიური გაკვეთილზე.

**ნანა ჭარბაძე** - მოსწონს დამოუკიდებლად სწავლა, შეუძლია საკითხის ანალიზი და არგუმენტირებული მსჯელობა, იყენებს ცოდნას პრაქტიკაში. ძალიან მოსწონს საბუნებისმეტყველო საგნები, ასევე ხელოვნება. წლის ბოლოს ამზადებს სასკოლო გამოფენას.

**ალექსანდრე გურიელიძე** - აქვს საგნის ინტერესი. მისი მიზანია უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე გააგრძელოს სწავლა. მოსწონს პრობლემებზე მსჯელობა, მათი გადაჭრის გზების პოვნა. თანამშრომლობს სხვა მოსწავლეებთან, უზიარებს გამოცდილებას და ეხმარება მათ. უყვარს ლიტერატურა, ხან თვითონაც წერს ლექსებს, ხან მონაწილეობს სასკოლო კონცერტებში და უკრავს ფორტეპიანოზე.

**ბ) ტექსტის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:**

მოსწავლე	აზროვნების ფორმა	ინტელექტის ტიპი	კოგნიტური განვითარების დონე	აქტივობები, რომლებიც მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს მასთან მუშაობის დროს
ნინო ლოლაძე				
გიორგი არველაძე				



<b>ეკა კილაძე</b>				
<b>ანა შათირიშვილი</b>				
<b>ნანა ჭარბაძე</b>				
<b>ალექსანდრე გურიელიძე</b>				

**1.4. დააკავშირეთ სიტყვები და შეადგინეთ წინადადებები:**

**ნიმუში: მიღებული ცოდნა**

<p><b>მიღებული</b></p> <p>ცოდნის პრაქტიკაში აქტივობებში ღრმა ამოცანის გზების</p>	<p>პოვნა მონაწილეობა შენარჩუნება</p> <p><b>ცოდნა</b> გამოყენება ანალიზი ამოხსნა</p>
--	---

**1.5. დააღაგეთ ლოგიკური თანმიმდევრობით სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი აქტივობები:**

პრობლემის ანალიზი, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, მიღებული ინფორმაციის დახარისხება, ცოდნის შენარჩუნება, ღრმა ანალიზი, სხვადასხვა საშუალების გამოყენება, დაგეგმვა, პრობლემის გადაჭრის გზების პოვნა, მსჯელობა.

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

**1.6. დააკავშირეთ ფრაზები და სურათები; პასუხი დაასაბუთეთ:**



ფრაზები	
1.	ინფორმაციის გაზიარება
2.	ამოცანის ამოხსნა
3.	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება
4.	ინფორმაციის გაგება-გააზრება

**1.7. ჩასვით სწორი ფორმა:**

მიხედვით	დამოუკიდებლად
გადაამუშავეს	გამოხატავს
ითვალისწინებენ	გაუზიარა


მე ლელა არაბიძე ვარ, დავით არაბიძის მშობელი. ჩემი შვილი დადის თბილისის მეთხუთმეტე საჯარო სკოლაში. წელს მერვე კლასში გადავიდა. ძალიან კარგი სკოლა გვაქვს, დავითს კეთილგანწყობილი მასწავლებლები ასწავლიან, რომლებიც გაკვეთილებზე სხვადასხვა აქტივობას იყენებენ და \_\_\_\_\_ ბავშვების შესაძლებლობებსა და უნარებს. როგორც დავითი ამბობს, გაკვეთილის პროცესში აქტიურია და მსჯელობს პრობლემებზე, თავისუფლად \_\_\_\_\_ თავის აზრებს. ბავშვები ყოველთვის პოულობენ პრობლემის გადაჭრის გზებს. დავითს უყვარს საშინაო დავალების \_\_\_\_\_ შესრულება, შეკითხვებს კი მასწავლებელს უსვამს. შარშან დავითი დაეხმარა თავის ძმას, ნიკას. მათ ერთად იმუშავეს პროექტზე, ერთად იფიქრეს და \_\_\_\_\_ ინფორმაცია გელათის აკადემიის შესახებ. ჯერ კარგად გაიაზრეს საკითხი, ხოლო შემდეგ მიღებული ინფორმაციის \_\_\_\_\_ მიიღეს გადაწყვეტილება, შექმნეს პროექტი და გააკეთეს პრეზენტაცია. **ექსკურსიაზე** წასვლამდე ნიკამ მიღებული ცოდნა თანაკლასელებს \_\_\_\_\_.

**1.8. წაიკითხეთ ტექსტი; იზიარებთ თუ არა ქვემოთ მოყვანილ მოსაზრებას? პასუხი დაასაბუთეთ და მოიყვანეთ მაგალითები თქვენი პრაქტიკიდან:**

„სკოლებისა და განათლების მთავარი მიზანი უნდა იყოს მიღებული ცოდნის შენარჩუნება, მისი კარგად გაგება-გააზრება და ცოდნის აქტიური გამოყენება. განათლების ამ სამი მიზნის შესრულება მაშინაა შესაძლებელი, როცა მოსწავლეები ფიქრობენ იმაზე, რასაც სწავლობენ. ცოდნას ბავშვები მაშინ იღებენ, როცა სწავლის პროცესში ფიქრობენ. ამიტომ გაკვეთილის ჩატარების დროს ცოდნაზე კი არ უნდა ვიყოთ ორიენტირებული, არამედ აზროვნებასა და ფიქრზე“.

დევიდ პერკინსი

**3.2. აზროვნების დონეები**



<b>ახალი სიტყვები:</b>	
<p><b>რა?</b></p> <p>პრინციპი სფერო სინთეზი დონე ელემენტი ცხრილი სქემა სტრუქტურა სტადია აღწერა გადმოცემა შედარება გახსენება</p>	<p><b>როგორი?</b></p> <p>საკმარისი წინარე დაბალი მარტივი რთული</p>
<p><b>ზმნები:</b></p> <p>უხარია იმეორებს აანალიზებს აფასებს</p>	<p><b>როგორ?</b></p> <p>კრიტიკულად შემოქმედებითად</p>
<b>ფრაზები:</b>	
<p>წინარე ცოდნა პრინციპი მარტივიდან რთულისაკენ</p>	



## დაიმახსოვრეთ!

	გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
გახარება	უხაროდა	გაუხარდა	<b>უხარია</b>	გაუხარდება	გაუხარდეს
გამეორება	იმეორებდა	გაიმეორა	<b>იმეორებს</b>	გაიმეორებს	გაიმეოროს
გაანალიზება	აანალიზებდა	გააანალიზა	<b>აანალიზებს</b>	გააანალიზებს	გააანალიზოს
შეფასება	აფასებდა	დააფასა	<b>აფასებს</b>	შეაფასებს	შეაფასოს

### 2.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

ბენჯამენ ბლუმის აზრით, მხოლოდ ცოდნის მიღება და დაგროვება არ არის **საკმარისი**, აუცილებელია აზროვნება. სწავლება-სწავლის პროცესი ეხმარება მოსწავლეებს შემეცნებისა და ცოდნის შეძენის პროცესში. პირველ რიგში, მასწავლებელი ადგენს მოსწავლეების ინტელექტუალური შესაძლებლობების **დონეს**, ცოდნასა და აზროვნებას. შემდეგ ის ჯერ ითვალისწინებს მოსწავლეების შესაძლებლობებს და მერე გეგმავს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ გაკვეთილებს. ეს არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მთავარი **პრინციპი**.

ბლუმმა **აღწერა** ადამიანის კოგნიტური **სფერო** და მისი დონეები. დონეები ვითარდება თანმიმდევრობითა და პრინციპით **მარტივიდან რთულისკენ**. ახალზე გადასვლა მოსწავლეს **შეუძლია** მხოლოდ წინა დონის შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარების შემდეგ. აზროვნების ყოველ სფეროში გვაქვს მარტივიდან რთულისკენ განვითარების დონეები. კოგნიტურ, ანუ შემეცნების სფეროში არის ექვსი დონე:

განვითარების დონეები	ქცევის აღწერილობა	სიტყვები, რომელიც აღწერს სფეროს
<b>ცოდნა</b>	ინფორმაციის, ცოდნის მიღება ან წინარე (ადრე მიღებული) ცოდნის გახსენება.	აღწერა, განსაზღვრა, გახსენება, დაკავშირება.
<b>გაგება</b>	აზრის გაგება, საკუთარი სიტყვებით ფაქტის გადმოცემა.	დახარისხება, აზრის გადმოცემა და ჩამოყალიბება.
<b>გამოყენება</b>	ცოდნის პრაქტიკასა და ცხოვრებაში გამოყენება.	გამოყენება, ცხრილის ან სქემის მომზადება.
<b>ანალიზი</b>	ელემენტების, სტრუქტურის, პრინციპების ანალიზი და ა. შ.	ანალიზი, შედარება, აგება, ექსპერიმენტი.
<b>სინთეზი</b>	ახალი სტრუქტურის, სისტემის შექმნა, ახალი იდეის ჩამოყალიბება.	დაგეგმვა, შექმნა, აგება, შეცვლა და მისი შემოწმება.
<b>შეფასება</b>	შეფასება და კრიტიკული ანალიზი.	შეფასება, არგუმენტები, გადაწყვეტილება.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ განვითარების დონეების მიხედვით, ცოდნის დაგროვება და გახსენება კოგნიტური სფეროს ყველაზე დაბალი დონეა. ეს სწავლისათვის აუცილებელია, მაგრამ მოსწავლისთვის საკმარისი არ არის. შემდეგ **სტადიაზე** მოსწავლე მიღებულ ცოდნას **გადაამუშავებს**. ის ჯერ იგებს, **იმეორებს**, გაიაზრებს და **ანალიზებს** ახალ ინფორმაციას, შემდეგ კი იყენებს პრაქტიკაში. ეს უფრო **მაღალი** სტადიაა. შემდეგ დონეზე მოსწავლეს შეუძლია **კრიტიკულად** და **შემოქმედებითად** აზროვნება, ის მსჯელობს მაგალითების გამოყენებით, **აფასებს** ფაქტებს და იღებს გადაწყვეტილებებს.

**ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:**

1. რა კავშირია აზროვნების განვითარების დონეებს შორის?
2. საბჭოთა განათლების მთავარი პრინციპი იყო ცოდნის დაგროვება; დღეს სწავლების მთავარი პრინციპია აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება. თქვენი აზრით, რა განსხვავებაა მათ შორის და რომელი პრინციპი უფრო მნიშვნელოვანია გაკვეთილის პროცესში?
3. როგორ უნდა დაგეგმოს მასწავლებელმა მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილი? რა არის მთავარი პრინციპები, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს?
4. რა არის წინარე ცოდნა და რატომ არის მნიშვნელოვანი მისი გათვალისწინება სასწავლო პროცესში?

**გ) დააკვირდით და ისაუბრეთ სამკუთხედის შესახებ:**


ბენჟამენ ბლუმის ტაქსონომია



- განმარტეთ ფრაზა: ეს არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მთავარი პრინციპი.



## დააკვირდით!



### 2.2. ა) დააკავშირეთ სიტყვები და შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: აზრის გათვალისწინება

აზრის	გადმოცემით
ფაქტების	დაფასება
ცოდნის	გახსენება
დონის	განვითარება
იდეის	დახარისხება
უნარ-ჩვევების	ჩამოყალიბება
პრინციპების	<b>გათვალისწინება</b>
უფროსების	გამოხატვა

### ბ) თითოეულ დონეს მიუწერეთ სამ-სამი არსებითი სახელი:

მაგალითად, დაბალი დონე, საშუალო კლასი, მაღალი გოგო.



### 2.3. შეადგინეთ წინადადებები მოცემული სიტყვებისა და ფრაზების მიხედვით. სიტყვები ჩასვით სათანადო ფორმაში:

1. ცოდნის მიღება/დაგროვება/საკმარისი/აზროვნება/არის/აუცილებელი/და
2. დაგეგმვა/გათვალისწინება/მოსწავლე/განვითარება/ორიენტირებული/გაკვეთილი
3. გვაქვს/კოგნიტური/დონე/ექვსი/სფერო
4. გათვალისწინება/მასწავლებელი/უნდა/მოსწავლე/შესაძლებლობები/ინტელექტუალური
5. მოსწავლე/შეძლება/ლოგიკური/განვითარება/და/დამოუკიდებელი/უნარ-ჩვევები/აზროვნება

1. \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_
2. \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_
3. \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_
4. \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_
5. \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

**2.4. წაშალეთ ზედმეტი სიტყვა:**

1. მარტივი, რთული, დაბალი, ამოცანა
2. გახსენება, გადმოცემა, ჩამოყალიბება, სფერო
3. შემეცნება, კოგნიცია, საშუალება, აზროვნება
4. სურვილი, მეთოდი, ოპერაცია, აქტივობა
5. სინთეზი, საუბარი, შეფასება, ანალიზი.

**2.5. შეავსეთ ცხრილი; მოსწავლის შესაძლებლობებსა და აქტივობებს მიუწერეთ აზროვნების შესაბამისი დონე. თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ:**

რა შეუძლია მოსწავლეს	აზროვნების დონეები
<p>ახალი ინფორმაციის გაგება-გააზრება მიღებული ცოდნის გამეორება და შენარჩუნება ინფორმაციის პოვნა გაკვეთილის თავისი სიტყვებით გადმოცემა მოვლენის/თემის გახსენება პერსონაჟების დახასიათება და აღწერა.</p>	
<p>მოთხრობის შინაარსის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა ფოტოს მიხედვით ისტორიის დაწერა ან ტექსტის მიხედვით ხატვა მაგალითები ცხოვრებიდან და პრაქტიკიდან კონკრეტული ნიშნით (ერთი ან მეტი) დახარისხება.</p>	
<p>მიღებული ცოდნის სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენება რუკის გამოყენება ამოცანის ამოხსნა სპექტაკლზე მსჯელობა პროექტში მონაწილეობა ინფორმაციის შეგროვება და გადამუშავება ცხრილების შედგენა.</p>	



<p>თემის ნაწილების დაკავშირება                  მიზნის შესახებ მსჯელობა                  მიზეზებისა და შედეგების დაკავშირება                  იდეის გაგება                  აზრის გაგება.</p>	
<p>ჰიპოთეზის ჩამოყალიბება                  ლექსის ცოდნა                  მოთხრობის, სიმღერის, ესეს დაწერა                  პრობლემის გადაჭრის გზების პოვნა                  პრობლემის ახალი პრინციპით გაანალიზება.</p>	
<p>მოსაზრების გამოთქმა                  გადაწყვეტილებების მიღება                  კრიტიკული ანალიზი                  მსჯელობა და მაგალითების მოყვანა                  პრობლემის გადაჭრის გზების პოვნა                  გადაწყვეტილების მიღება                  მოთხრობის შეფასება.</p>	



## 2.6. მოისმინეთ ტექსტი და ჩასვით სიტყვები:

ძვირფასო სტუდენტებო, ჩვენ უკვე გავიმეორეთ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მთავარი პრინციპი: ყველა გაკვეთილი მოსწავლის \_\_\_\_\_ უნდა იყოს ორიენტირებული. ახლა მინდა ვისაუბრო ჩემს \_\_\_\_\_, როგორ ვეხმარები მოსწავლეებს აზროვნების უნარების განვითარებაში. განვითარების ეს პროცესი მიდის პრინციპით \_\_\_\_\_ რთულისკენ.

პირველი დონე – ეს არის ცოდნის დონე. განვითარების ამ სტადიაზე მოსწავლეები იგებენ გაკვეთილის \_\_\_\_\_, ამ დროს აუცილებელია წინარე ცოდნის \_\_\_\_\_. ამავე დონეზე მოსწავლეები იღებენ და იგებენ ახალ ინფორმაციას.

შემდეგი დონე არის გაგება. პირველ რიგში, აუცილებელია ახალი მასალის გაგება, \_\_\_\_\_, რთული ამოცანების \_\_\_\_\_. ამისათვის ვიყენებ სხვადასხვა საშუალებას. მოსწავლეებს \_\_\_\_\_ ტექსტის დამოუკიდებლად კითხვა.

მესამე დონეა გამოყენება – ამ დონეზე მოსწავლეები მიღებულ ინფორმაციას \_\_\_\_\_ პრაქტიკაში.

მეოთხეა \_\_\_\_\_ დონე და უფრო \_\_\_\_\_ სტადიაა. ამ დონეზე მასწავლებელი სვამს შეკითხვებს და იღებს მოსწავლეების პასუხებს. მოსწავლეებს შეუძლიათ სხვადასხვა \_\_\_\_\_ დაკავშირება.

**2.7. დაახარისხეთ სიტყვები:**

ცოდნა, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, ფორმალური ოპერაციები, გაგება, მუსიკალური, აზრის გადმოცემა, ახალი იდეის ჩამოყალიბება, გამოყენება, კონკრეტული ოპერაციები, ანალიზი, ინტერპერსონალური, სინთეზი, შეფასება, ცოდნის გახსენება, შეფასება, კრიტიკული ანალიზი.

**ღონეები:**

განვითარების ღონეები	ქცევის აღწერილობა	კოგნიტური განვითარება	ინტელექტის ტიპი

**2.8. დაეთანხმეთ ან უარყავით მოსაზრება; პასუხი დაასაბუთეთ:**

„განათლების მიზანი არის არა მხოლოდ ცოდნის დაგროვება, არამედ კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება“.

### 3.3. მოსწავლის განვითარების დონეები



<b>ახალი სიტყვები:</b>	
<p><b>რა?</b>                      შეცდომა                      ზონა                      თეორია                      სირთულე                      საყრდენი                      სურვილი                      დასაწყისი                      დასასრული                      დახმარება                      მოძებნა</p>	<p><b>როგორი?</b>                      მრავალწლიანი                      პოტენციური                      არსებული                      უახლოესი</p>
<p><b>ზმნები:</b>                      ვითარდება                      ხვდება                      ასწავლის                      ასრულებს                      ეძებს</p>	<p><b>როგორ?</b>                      ნელ-ნელა                      მეტად                      ძნელად                      რთულად                      მარტივად                      თანმიმდევრულად</p>
<b>ფრაზები:</b>	
<p>ხვდება სირთულები                      ასრულებენ დავალებებს</p>	



## დაიმახსოვრეთ!

	გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
განვითარება	ვითარდებოდა	განვითარდა	<b>ვითარდება</b>	განვითარდება	განვითარდეს
შეხვედრა	ხვდებოდა	შეხვდა	<b>ხვდება</b>	შეხვდება	შეხვდეს
სწავლება	ასწავლიდა	შეასწავლა	<b>ასწავლის</b>	შეასწავლის	შეასწავლოს
შესრულება	ასრულებდა	შეასრულა	<b>ასრულებს</b>	შეასრულებს	შეასრულოს
ძებნა	ეძებდა	მოძებნა	<b>ეძებს</b>	მოძებნის	მოძებნოს

### 3.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

მე ლანა მჭედლიშვილი ვარ, უფროსი მასწავლებელი და უკვე ათი წელია სკოლაში ინგლისურ ენას **ვასწავლი**. გამოცდილება **მრავალწლიანი** მქვს და ამიტომ შემიძლია ვთქვა, რომ მოსწავლეებს **თანმიმდევრულად** ვავითარებ და მათი განვითარება **ნელ-ნელა** მიდის წინ. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ბავშვებთან, ერთმანეთს ვუზიარებთ აზრებს, ერთად **ვასრულებთ** დავალებებს და მათთან ვთანამშრომლობთ სწავლების ყველა დონეზე.

ჩემი მიზანია მოსწავლეებს დავეხმარო კოგნიტურ განვითარებაში. სწავლების პროცესში მოსწავლეები კოგნიტური განვითარების დონეებს, ანუ სტადიებს, თანმიმდევრობით გადიან. ამ გზაზე მათ ხშირად **ხვდებათ სირთულეები**. ამიტომ გაკვეთილის დაგეგმვის დროს ყოველთვის ვითვალისწინებ მოსწავლეთა ცოდნასა და კოგნიტურ შესაძლებლობებს.

შარშან წავიკითხე ლევ ვიგოდსკის **თეორიები**, რომლებსაც უკვე შესანიშნავად ვიყენებ ბავშვებთან მუშაობისას.

პირველ რიგში, მე კარგად ვიაზრებ, რომ მოსწავლეებისთვის ვარ **საყრდენი**. ამ დროს მოსწავლეები ჩემი საშუალებით იღებენ ცოდნასა და გამოცდილებას. ზოგი **ძნელად** იღებს ახალ მასალას, ზოგი – **მარტივად**. სწავლების პროცესის **დასაწყისში** აქტიურად ვეხმარები მათ. მაგალითად, ჩვენ ვმსჯელობთ მათ **შეცდომებზე**. ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ ერთად მათზე, შეცდომების გარეშე სწავლა რთულია. ამიტომ **ვეძებთ** პრობლემების გადაჭრის მარტივ გზებსა და საშუალებებს. ბავშვები სწავლის პროცესში არიან უფრო დამოუკიდებლები და ნელ-ნელა **ასრულებენ** ახალ და უფრო რთულ დავალებებს. ამის შემდეგ კი უკვე ნაკლებად ვეხმარები მათ.

არიან მოსწავლეები, რომლებიც კი ასრულებენ იმავე ამოცანებს, დავალებებს, მაგრამ ამის გაკეთება მხოლოდ ჩემი ან სხვების **დახმარებით** შეუძლიათ და არიან მოსწავლეები, რომლებსაც არც მასწავლებლის და არც სხვების დახმარებით არ შეუძლიათ ასეთი ამოცანებისა და დავალებების შესრულება.


მეფიქრობ, რომ ვიგოდსკის თეორიის მიხედვით, მარტივად შეიძლება მოსწავლეების განვითარების დონეების გაგება. ამაში მე შემდეგი ცხრილი დამეხმარა:

განვითარების არსებული დონე	განვითარების პოტენციური დონე	
დავალებები/ამოცანები, რომელთა შესრულებაც ბავშვს შეუძლია დამოუკიდებლად, დახმარების გარეშე.	დავალებები/ამოცანები, რომელთა შესრულებაც ბავშვს მხოლოდ მასწავლებლის ან სხვების დახმარებით შეუძლია.	დავალებები/ამოცანები, რომელთა შესრულებაც ბავშვს არ შეუძლია.

**ბ) წიკითხეთ და დააკვირდით:**

**სწავლის პროცესში:**

- ა) მოსწავლეებს ხვდებათ ისეთი ამოცანები და დავალებები, რომლებსაც დამოუკიდებლად ასრულებენ, ანუ ისინი დამოუკიდებლად ეძებენ და პოულობენ მათი გადაჭრის გზებს.
  - ბ) არის ისეთი ამოცანები, რომელთა გადაჭრისთვის მოსწავლეებს საკმარისი გამოცდილება არ აქვთ, მაშინ ისინი მასწავლებლის ან სხვების დახმარებით იძენენ ცოდნას.
  - გ) მოსწავლე იძენს ცოდნას, უნარ-ჩვევებს, იღებს გამოცდილება და შეუძლია უფრო რთული დავალებების შესრულება.
- ბლუმის თეორიის მიხედვით, გვაქვს **არსებული** განვითარების და **პოტენციური** განვითარების დონეები, ხოლო მათ შორის არის განვითარების **უახლოესი ზონა**.



**გ) შემოხაზეთ სწორი დებულება:**

1. ლანა მჭედლიშვილმა დაადგინა, რომ როდესაც მოსწავლეები და მასწავლებლები ერთმანეთს ეხმარებიან საშინაო დავალების შესრულებაში, ისინი ვითარდებიან და მათი განვითარება კი ნელ-ნელა მიდის წინ.
2. ლანა მჭედლიშვილი კარგად იაზრებს თავის მიზნებს და იცის, რომ ამისთვის საჭიროა მოსწავლეების დახმარება და კეთილგანწყობილი სიტუაციის შექმნა.
3. ლანა მჭედლიშვილი გაკვეთილის დაგეგმვის დროს ყოველთვის ითვალისწინებს მოსწავლის სურვილებსა და მოტივაციას.
4. მასწავლებელი მოსწავლეებისთვის არის „საყრდენი“ ნიშნავს შემდეგს: მასწავლებელი ნაკლებად ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში.
5. გაკვეთილის პროცესში მასწავლებელს შეუძლია, გაიგოს მოსწავლეების განვითარების ინდივიდუალური დონე.
6. კლასში სხვადასხვა მოსწავლე სწავლობს, რომლებსაც აქვთ განსხვავებული ამროვნება და განვითარების დონე. არიან მოსწავლეები, რომლებსაც უჭირთ დავალებების დამოუკიდებლად შესრულება, მაგრამ შეუძლიათ დამოუკიდებლად ამროვნება და მიღებული დავალების სხვების დახმარებით შესრულება.
7. ლანა მჭედლიშვილს მოსწონს ვიგოდსკის თეორიები.
8. განვითარების უახლოესი ზონა არის მოსწავლისთვის ყველაზე რთული სტადია.
9. პოტენციური განვითარების დონეზე მოსწავლეს შეუძლია ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრა.
10. სწავლის პროცესში, როდესაც მოსწავლეებს ხვდებათ სირთულეები და პრობლემები, მათი გადაჭრის შემდეგ ისინი ვითარდებიან და წინ მიიწევენ.



**დააკვირდით!**

როგორი? → რა?  
 ----- → სი-----ე

რთული - სირთულე  
 მარტივი - სიმარტივე  
 კეთილი - სიკეთე

**3.2. დააკავშირეთ სიტყვები და შეადგინეთ წინადადებები:**

**ნიმუში: ამოცანის ამოხსნა**

<p><b>ამოცანის</b></p> <p>არსებული</p> <p>განვითარების</p> <p>მოსწავლის</p> <p>ღრმა</p> <p>ინფორმაციის</p>	<p>დონე</p> <p>ანალიზი</p> <p>შეცდომა</p> <p>ზონა</p> <p><b>ამოხსნა</b></p> <p>დახარისხება</p>
--	--



### 3.3. მოუსმინეთ დიალოგს და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- გამარჯობა, ქალბატონო ნათელა, როგორ ბრძანდებით? როგორ მიდის საქმეები?
- გმადლობ, კარგად, შენ როგორ ხარ, ნინო? რთული ხომ არ არის ახალ კლასთან მუშაობა?
- კი, ცოტა \_\_\_\_\_, ყველა ბავშვი განსხვავებულია, განვითარების სხვადასხვა \_\_\_\_\_ აქვთ, ზოგი მარტივად სწავლობს, ზოგს ჩემი დახმარება სჭირდება, ზოგს კი საერთოდ არ შეუძლია \_\_\_\_\_ მუშაობა. მაგალითად, ნიკა ლაშქარაშვილმა გუშინწინ ერთი წინადადებაც ვერ \_\_\_\_\_, გაკვეთილის შემდეგ მარტო მასთან ვიმუშავე, გუშინ მეორე მოსწავლემაც ვერ \_\_\_\_\_ ერთი ამოცანა, ამიტომ მთელი გაკვეთილი მასთან ერთად ყველანი \_\_\_\_\_ ასეთი ტიპის ამოცანებზე მუშაობას.
- არა უშავს, ჯერ ახალი ხარ ჩვენს სკოლაში, მალე შეძლებ ყველა პრობლემის \_\_\_\_\_, მთავარია, რომ გაითვალისწინო ყველა მოსწავლის \_\_\_\_\_ დონე, მათი \_\_\_\_\_, უნარ-ჩვევები, მოტივაცია, სურვილები.
- დიახ, დიახ, დიდი მადლობა.
- ჰო, კიდევ მნიშვნელოვანია ერთი რამ, როდესაც მოსწავლეებს ხვდებით \_\_\_\_\_ და ისინი ფიქრობენ ამაზე, მათი განვითარება წინ მიდის და ისინი უფრო მეტ ცოდნას იღებენ და \_\_\_\_\_. რა თქმა უნდა, მასწავლებლის \_\_\_\_\_, ჩემი აზრით, შენ კარგი მასწავლებელი ხარ; მე ეს ვიცი. მე დიდი გამოცდილება მაქვს.
- დიდი მადლობა, ქალბატონო ნათელა.

### 3.4. ა) განმარტეთ სიტყვები:

1. განვითარების დონე
2. სირთულეები
3. აზრის გამოთქმა
4. კოგნიტური სფერო
5. ანალიზი

### ბ) დააკავშირეთ განმარტებები ზემოთ მოყვანილ სიტყვებთან:

- სხვადასხვა პრობლემის, საგნის, ადამიანის შეფასება, აზრის გამოხატვა და გადმოცემა
- აზრის გამოხატვა სხვადასხვა საკითხის შესახებ
- პრობლემები, რომლებიც მოსწავლეებს ხვდებათ სასწავლო პროცესში
- მოსწავლის შემეცნება, აზროვნება, აზრის გამოთქმა, პრობლემების ანალიზი და გადაჭრის გზებზე ფიქრი
- სტადია, მოსწავლის სწავლის პროცესის პერიოდი, დრო.

**3.5. დააკავშირეთ ანტონიმები და ისაუბრეთ მათი გამოყენების სიხშირეზე:**

ნიმუში: მარტივი ≠ რთული

<b>მარტივი</b>	შემდეგი
მაღალი	დასაწყისი
წინარე	ნაკლები
საკმარისი	დაბალი
დასასრული	<b>რთული</b>

**3.6. ჩასვით შესაბამისი ფორმები:**

დონე	მიხედვით
პოტენციური	ხვდებათ
გარეშე	სჭირდებათ

ვიგოდსკის თეორიის \_\_\_\_\_, გვაქვს მოსწავლის განვითარების არსებული და \_\_\_\_\_ დონეები. განვითარების არსებულ დონეზე მოსწავლე სხვების დახმარების \_\_\_\_\_ ასრულებს დავალებებს, ამოხსნის ამოცანებს. მაგრამ სასწავლო პროცესში მოსწავლეებს \_\_\_\_\_ ისეთი დავალებები, რომლებსაც დამოუკიდებლად ვერ შეასრულებენ და ამისთვის მათ მასწავლებლის ან მშობლების დახმარება \_\_\_\_\_ ამას ჰქვია მოსწავლის განვითარების პოტენციური \_\_\_\_\_.

**3.7. დააკავშირეთ მასწავლებლის კლასში მუშაობის ფორმები და მათი შეფასებები:**

1.

ანდრია ვაშაყმაძე მოსწავლეებს ყოველთვის ეხმარება გაკვეთილის პროცესში. სასწავლო პროცესის დასაწყისში ანდრია მათთან ერთად აკეთებს მაგალითებს, ამის საშუალებით მოსწავლეები იგებენ, თუ როგორ შეიძლება სხვადასხვა დავალების შესრულება. მოსწავლეები ასევე იაზრებენ და იგებენ პრობლემების გადაჭრის გზებს.

2.

ანდრია ვაშაყმაძის გაკვეთილზე მოსწავლეები ხშირად დამოუკიდებლად მუშაობენ.

3.

დავალბა როდესაც რთულია, ანდრიას მოსწავლეები ჯგუფურად მუშაობენ და ეხმარებიან ერთმანეთს.

4.

ანდრია ვაშაყმაძე მოსწავლეებს უსვამს კითხვებს, რომლებიც ეხმარება მათ, იფიქრონ ამოცანის გადაჭრის გზებზე. მოსწავლეები იაზრებენ დავალების მიზანს და თუ რა შედეგი შეიძლება მიიღონ ამ დავალების შესრულების შემდეგ.



- მასწავლებელი „საყრდენი“; მოსწავლეების განვითარების უახლოესი ზონა
- კლასელი „საყრდენი“; მოსწავლეების განვითარების პოტენციური დონე; გზა განვითარების უახლოესი ზონისკენ
- მოსწავლეების განვითარების არსებული დონე
- მასწავლებელი „საყრდენი“; გზა განვითარების უახლოესი ზონისკენ.

**3.8. წაიკითხეთ მოსაზრება; იზიარებთ ლევ ვიგოდსკის აზრს? პასუხი დაასაბუთეთ:**

„გაკვეთილი ისე უნდა ააგოს მასწავლებელმა, რომ გაითვალისწინოს ბავშვის „განვითარების უახლოესი ზონა“. გაკვეთილის დაგეგმვის დროს მასწავლებელმა უნდა იფიქროს იმაზეც, თუ რა არ იცის მოსწავლემ და როგორ შეუძლია მას შეიძინოს ეს ცოდნა.“

ლევ ვიგოდსკი

## შემაჯამებელი |

### 1.1. წაიკითხეთ ტექსტი:

#### სწავლების შესახებ

1) დღეს სკოლისა და განათლების მიზანია მოსწავლეების წარმატება. მოსწავლისთვის მხოლოდ ცოდნის მიღება და დაგროვება არ არის საკმარისი. აუცილებელია სწავლის დროს მიღებული ცოდნის შენარჩუნება, მისი კარგად გაგება-გააზრება და ცოდნის აქტიური გამოყენება. ყველა ბავშვი აზროვნებს, აქვს შემეცნების უნარი და შეუძლია კოგნიტური განვითარება.

2) სწავლების პროცესი ისეა აგებული, რომ გათვალისწინებულია ბავშვის განვითარების უახლოესი ზონა. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით აგებენ ცოდნას და იღებენ გამოცდილებას. მოსწავლეებისთვის მასწავლებელი არის საყრდენი. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს, რომ სწავლის პროცესში იყვნენ დამოუკიდებლები და შეძლონ რთული დავალებების შესრულება.

3) სწავლება-სწავლის პროცესი ეხმარება მოსწავლეებს შემეცნებისა და კოგნიტური განვითარების პროცესში. მასწავლებელი ადგენს მოსწავლეების ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, ცოდნასა და აზროვნებას, ითვალისწინებს მათ ინტერესებს, სურვილებს და გეგმავს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ გაკვეთილებს.

4) კოგნიტური განვითარება ეხმარება მოსწავლეს განვითარებაში. მას შეუძლია თავისუფლად იმსჯელოს საკითხის შესახებ, შეუძლია თავისი მოსაზრებების დამოუკიდებლად ჩამოყალიბება, არგუმენტების საშუალებით პრობლემებზე მსჯელობა, პრობლემების გადაჭრის გზების მოძებნა და დასკვნების გაკეთება. კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნება ადამიანს აძლევს საშუალებას, რომ იყოს დამოუკიდებელი, მიიღოს გადაწყვეტილებები და იფიქროს საკუთარ ცხოვრებაზე.

5) სკოლა და მასწავლებელი ზრუნავენ მოსწავლის განვითარებაზე. სკოლაში მუშაობს საგნობრივი კათედრები. კათედრის წევრები ერთად გეგმავენ ინტერაქტიულ გაკვეთილებს.

გაკვეთილის დროს მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს და სხვადასხვა სასკოლო საშუალებას. აქტივობებში მოსწავლეები ხალისითა და ინტერესით მონაწილეობენ. საინტერესო გაკვეთილების დროს იზრდება მოსწავლის მოტივაცია.

### 1.2. შეარჩიეთ სათაური; თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ:

1. განათლებისა და სკოლის მიზნები
2. რა მიზანი აქვს სწავლება-სწავლის პროცესს სკოლაში
3. კოგნიტური განვითარება და მოსწავლეთა შედეგები
4. მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლება.

### 1.3. შემოხაზეთ თითოეული აბზაცის მთავარი სათქმელი:

- 1)
  1. სკოლის მთავარი მიზანია მოსწავლეების წარმატება
  2. სკოლის მთავარი მიზანია მიღებული ცოდნის შენარჩუნება და ცხოვრებაში მისი აქტიურად გამოყენება


**დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგებისათვის**

3. სკოლისა და განათლების მიზანია გამოიყენოს მოსწავლის აზროვნების, შემეცნების უნარი და დაეხმაროს მოსწავლეს კოგნიტურ განვითარებაში.
- 2)
  1. სწავლების მიზანია მოსწავლემ მიიღოს ცოდნა და გამოცდილება
  2. სწავლების მიზანია მოსწავლემ დამოუკიდებლად შეასრულოს დავალებები
  3. სწავლების მიზანია, მასწავლებელი, როგორც საყრდენი დაეხმაროს მოსწავლეს ცოდნისა და გამოცდილების მიღებაში.
- 3)
  1. სწავლება-სწავლის პროცესის მიზანია მოსწავლემ მიიღოს ცოდნა და გამოცდილება
  2. სწავლება-სწავლის პროცესი ეხმარება მოსწავლეს კოგნიტურ განვითარებაში
  3. გაკვეთილების დაგეგმვის დროს მასწავლებელი ორიენტირებულია მოსწავლეებზე და ითვალისწინებს მათ ინტერესებს, სურვილებს, შესაძლებლობებს.
- 4)
  1. მოსწავლე დამოუკიდებელია გადაწყვეტილებების მიღებაში
  2. მოსწავლე დამოუკიდებელია და ფიქრობს საკუთარ ცხოვრებაზე
  3. კოგნიტური განვითარება მოსწავლეს ეხმარება იყოს დამოუკიდებელი ადამიანი.
- 5)
  1. სწავლების მიზანია მოსწავლის მოტივაციის გაზრდა
  2. საგნობრივი კათედრების მიზანია დაგეგმონ საინტერესო გაკვეთილები
  3. მასწავლებლის მიზანია სწავლების პროცესში გამოიყენოს სხვადასხვა აქტივობა, რათა მოსწავლეებმა ხალისით, ინტერესით მიიღონ მონაწილეობა გაკვეთილის პროცესში.

**1.4. მიუთითეთ, მოცემული ინფორმაცია სწორია, არ არის სწორი თუ არ არის მოცემული ტექსტში?**

ინფორმაცია	სწორია	არ არის სწორი	არ არის ტექსტში
მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დროს მოსწავლეს შეუძლია გაკვეთილის პროცესში მიღებული ცოდნის შენარჩუნება, გაგება-გააზრება და ცხოვრებაში გამოყენება.			
თუ მოსწავლეებისთვის გაკვეთილი საინტერესოა, ისინი ხალისით მონაწილეობენ სხვადასხვა აქტივობაში.			
მოსწავლის კოგნიტური განვითარებისთვის მასწავლებელს შეუძლია არ გაითვალისწინოს მოსწავლის შესაძლებლობები, მაგრამ აუცილებლად უნდა იფიქროს მისი მოტივაციის გაზრდაზე.			
შემეცნების განვითარებისთვის მოსწავლეს სჭირდება უნარ-ჩვევების ერთობლიობა.			
პრობლემებზე მსჯელობა და პრობლემების გადაჭრის გზების მოძებნა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნარი, რომელსაც მოსწავლე იძენს მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის დროს.			

2. დააკავშირეთ სურათები და ფრაზები; თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ:



<p>მოსწავლეები მსჯელობენ მიღებულ შედეგებზე.</p>	<p>ნათიას განვითარებული აქვს ფიზიკურ-კინესთეტიკური ინტელექტი.</p>
<p>ნინის განვითარებული აქვს ინტრაპერსონალური ინტელექტი.</p>	<p>მოსწავლეებს მოსწონთ ჯგუფური მუშაობა და აზრების გაზიარება.</p>
<p>ლანა დარასელია კეთილგანწყობილი მასწავლებელია და ყოველთვის ფიქრობს თავის მოსწავლეებზე.</p>	<p>კრიტიკული აზროვნება არის ცნობისმოყვარეობა.</p>



### 3. მოისმინეთ დიალოგი და დაასრულეთ წინადადებები:

- გამარჯობა, ქალბატონო ლია, კათედრის წევრებთან მინდა შეხვედრა.
- სიამოვნებით. რა არის შეხვედრის მიზანი?
- კონსტრუქტივისტული გაკვეთილი და \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_.
- თამარ, თქვენ ატარებდით ასეთ გაკვეთილებს თქვენს ძველ სკოლაში?
- დიახ, ქალბატონო ლია, სწავლის პროცესში მე ყოველთვის \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_. ახლა მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად ცოდნის აგება და ახალი ინფორმაციის \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_. მე მიხარია, რომ მათ შეუძლიათ ანალიზი, ამრის \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_.
- ესე იგი, მოსწავლეებს აქვთ მოტივაცია?
- რა თქმა უნდა, \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_. მათთვის საინტერესო აქტივობებში მოსწავლეები ყოველთვის ხალისით მონაწილეობენ.
- კარგი, თამარ, დიდი მადლობა.

### 4. დაალაგეთ წინადადებები ლოგიკური თანმიმდევრობით და სათანადო ადგილებში ჩასვით შემდეგი ფრაზები: პირველ რიგში, შეიძლება ითქვას, რომ..., რა თქმა უნდა.

მოსწავლის მოტივაციის გაზრდის მიზნით აუცილებელია სხვადასხვა საინტერესო და სახალისო აქტივობების გამოყენება, რადგან დამოუკიდებლად ან თანაკლასელებთან ერთად მუშაობა მოსწავლეს საშუალებას აძლევს პრაქტიკაში გამოიყენოს მიღებული ცოდნა.

მოსწავლისთვის სასწავლო პროცესი საინტერესოა, როდესაც იგი იღებს ცოდნას, მასწავლებელი ეხმარება მიღებული ცოდნის შენარჩუნებაში, გაკვეთილზე იყენებს ისეთ აქტივობებს, რომ ეს ცოდნა კარგად გაიგოს და გაიაზროს.

კონსტრუქტივისტული გაკვეთილის მთავარი მიზანია, მიღებული ცოდნის შენარჩუნება, გამოცდილების მიღება და პრაქტიკაში გამოყენება.

მოსწავლეებს უყვართ, როდესაც დამოუკიდებლად ფიქრობენ პრობლემაზე; აანალიზებენ პრობლემის დეტალებს, არგუმენტების გამოყენებით მსჯელობენ პრობლემის შესახებ, იღებენ გადაწყვეტილებას და ადგენენ პრობლემის გადაჭრის გზებს.

### 5. ჩასვით სიტყვები გამოტოვებულ ადგილას:

მიზანი	გათვალისწინებული	თანმიმდევრულად
აზროვნების	ინტელექტუალური	სინთეზი
საჭიროა	კოგნიტური	მარტივიდან-რთულისკენ
ორიენტირებული	დონე	მიხედვით

ეროვნული სასწავლო გეგმის \_\_\_\_\_ არის მოსწავლეებში ცოდნის დაგროვება და მაღალი დონის \_\_\_\_\_ ჩამოყალიბება. ამისათვის \_\_\_\_\_ მოსწავლის განვითარებაზე \_\_\_\_\_ გაკვეთილების დაგეგმვა. ასეთი გაკვეთილის დროს \_\_\_\_\_ იქნება თითოეული მოსწავლის ცოდნა, აზროვნება და \_\_\_\_\_ შესაძლებლობები - ადამიანის აზროვნების \_\_\_\_\_ სფერო. გვაქვს კოგნიტური სფეროს ექვსი \_\_\_\_\_: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, \_\_\_\_\_ და შეფასება. სასწავლო პროცესში მოსწავლის კოგნიტური განვითარება მიდის \_\_\_\_\_, პრინციპით \_\_\_\_\_ . მასწავლებელმა იცის განვითარების თითოეულ დონეზე რა შეუძლია მოსწავლეს. მასწავლებელი გაკვეთილზე სირთულის \_\_\_\_\_ იყენებს აქტივობებს და ამით მოსწავლეებს ეხმარება აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარებაში.

პასუხი: 1. მიზანი 2. აზროვნების 3. საჭიროა 4. ორიენტირებული 5. გათვალისწინებული 6. ინტელექტუალური 7. კოგნიტური 8. დონე 9. სინთეზი 10. თანმიმდევრულად 11. მარტივიდან-რთულისკენ 12. მიხედვით.



## 6. მოისმინეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:

- რომელ სკოლაში მუშაობს ანასტასია აბესაძე?
- რა არის მისი მთავარი მიზანი?
- რა პრობლემა ჰქონდა ანასტასია აბესაძეს კლასში?
- რა სირთულეები შეიძლება ჰქონდეს სწავლის პროცესში მოსწავლეს?
- ანასტასია აბესაძის აზრით, რა არის ასეთი პრობლემის გადაჭრის გზა?
- რას ნიშნავს ინტრაპერსონალური ინტელექტი?
- ტექსტის მიხედვით, როგორი მასწავლებელია ანასტასია აბესაძე და რატომ ფიქრობთ ასე? მოიყვანეთ არგუმენტები მოსმენილი ტექსტიდან.
- რა აქტივობებს იყენებს ანასტასია აბესაძე გაკვეთილზე?

## 7. შეადარეთ ერთმანეთს ფოტოები და ისაუბრეთ მსგავსებასა და განსხვავებაზე:



**8. დააკავშირეთ სიტყვები:**

ნიმუში: ამოცანის ამოხსნა


<b>ამოცანის</b>	შესრულება
კოგნიტური	სტადია
დავალების	სფერო
ცოდნის	გამოყენება
დახმარების	გარეშე
მაღალი	გაზიარება
შემოქმედებითი	<b>ამოხსნა</b>
გამოცდილების	აზროვნება

**9. მიუწერეთ სიტყვებს შესაბამისი განმარტებები:**

ნიმუში: ინტელექტი – უნარების ერთობლიობა.

მრავალმხრივი ინტელექტი	
შემეცნება	
მეთოდი	
დამოუკიდებელი აზროვნება	
პრაქტიკოსი მასწავლებელი	
წინარე ცოდნა	
სირთულე	

**10. მოცემული ინფორმაციის მიხედვით დაწერეთ ტექსტი:**

	
საგნობრივი კათედრა	საბუნებისმეტყველო საგნები
საგანი	ქიმია
მოსწავლეთა რაოდენობა	10
აქტივობები	მსჯელობა, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობა, ექსპერიმენტი, დახმარება
მოსწავლეთა მოტივაცია	მაღალი
გაკვეთილის ტიპი	მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილი

## ტესტი I

### 1. ა) წაკითხეთ ტექსტი და დაასათურეთ:

(5 ქულა)

საქართველო წერისა და კითხვის უნარების განვითარების მიხედვით ბევრ სხვა ქვეყანას შორის ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა. ამ ფაქტის შესახებ დღეს უკვე აქტიურად მსჯელობენ და ფიქრობენ, თუმცა, ეს არ არის საკმარისი. აუცილებელია წერისა და კითხვის სწორი სტრატეგიების სწავლება, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება და ამისთვის სწორი მეთოდების პოვნა.

კრიტიკული აზროვნება - ეს არის აზროვნების ფორმა, აზროვნების მაღალი დონე, რომელსაც მასწავლებელი მოსწავლეს სასწავლო პროცესში უვითარებს სხვადასხვა მეთოდისა და აქტივობის საშუალებით.

ის, ვინც კრიტიკულად აზროვნებს, სწავლობს ფაქტებს და, ასევე, პოულობს ამ ფაქტების მიზეზებსა და შედეგებს. როდესაც ადამიანი კრიტიკულად აზროვნებს, მას აქვს მოსაზრება და თავისუფლად გამოთქვამს თავის აზრს. კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების გარეშე ადამიანს არ შეუძლია დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება და პრობლემების გადაჭრა. მაგალითად, არ არის საკმარისი მოსწავლემ მხოლოდ იმეცადინოს და კარგად ისწავლოს. აუცილებელია, მოსწავლემ შეძლოს მიღებული ცოდნის ანალიზი და სხვადასხვა თემაზე მსჯელობა. მოსწავლე თუ მეცადინეობს კრიტიკული ანალიზის პრინციპების მიხედვით, მას აქვს უნარი დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრება, იდეა. შეიძლება ითქვას, რომ კრიტიკული აზროვნება მოსწავლეს უვითარდება მაშინ, როდესაც იგი არის თავისუფალი და აქვს საშუალება დამოუკიდებლად იაზროვნოს, შეაფასოს ვითარება.

კრიტიკული აზროვნება რომ ჰქონდეს მოსწავლეს განვითარებული, მან უნდა ისწავლოს, როგორ მოიპოვოს მისთვის საჭირო ინფორმაცია. ასევე, შეძლოს სწორად გაიაზროს და პრაქტიკაში გამოიყენოს მიღებული ცოდნა. ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოსწავლეს ჩამოვუყალიბოთ კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევები ყველა საგნის სწავლების დროს. ჯ. მაკ პენის აზრით, სწორედ ეს არის იმის საფუძველი, რომ მოსწავლემ შეიძინოს ღრმა ცოდნა, ხოლო მასწავლებელმა მიიღოს კარგი შედეგები.

### ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

(5 ქულა)

1. რატომ არის მნიშვნელოვანი კრიტიკული აზროვნების განვითარება ყველა საგნის სწავლების დროს?
2. რა მოსაზრება აქვს ჯ. მაკ პენის?
3. რა საშუალებით შეუძლია მოსწავლეს შეიძინოს ღრმა ცოდნა? რატომ?
4. როგორია საქართველოში წერისა და კითხვის უნარების განვითარების დონე? რა მიზეზის გამო?
5. რა არის საჭირო იმისთვის, რომ მოსწავლეს განვუვითაროთ კრიტიკული აზროვნება?
6. რა უნარები აქვს ადამიანს, როდესაც იგი კრიტიკულად აზროვნებს?
7. ტექსტის მიხედვით, თუ მოსწავლე ბეჯითია და კარგად მეცადინეობს, აქვს განვითარებული კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები?
8. დაასახელეთ ის სამი აქტივობა, რომლებიც დამოუკიდებლად შეუძლია მოსწავლეს ჩამოაყალიბოს კრიტიკულად აზროვნების დროს.
9. როგორ გესმით ფრაზა – „აზროვნების მაღალი დონე“?
10. ღრმა ცოდნის საფუძველს რა წარმოადგენს? რატომ?

### 2. დააკავშირეთ ცნებები და განმარტებები:

(10 ქულა)

#### ცნებები

1. ინტელექტი
2. ოპერაციამდელი სტადია
3. კრიტიკული აზროვნება
4. სასწავლო კათედრა
5. წინარე ცოდნა



## დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგებისათვის

- კონკრეტული ოპერაციების სტადია
- მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება
- პრინციპი მარტივიდან რთულისკენ
- მოტივაცია
- შემეცნება.

### განმარტებები

- სკოლის სტრუქტურის ნაწილი
- უნარების ერთობლიობა
- შეფასების, დამოუკიდებელი მსჯელობისა და ანალიზის უნარი
- სწავლის პერიოდში დაგროვილი ინფორმაცია
- ბავშვი იწყებს ლაპარაკს, გამოხატავს თავის აზრს, იღებს ინფორმაციას ენის საშუალებით და შეუძლია მარტივი ანგარიში
- მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებსა და შესაძლებლობებს
- მოსწავლის სურვილი, ისწავლოს კარგად და მიიღოს შედეგი
- კოგნიტური დონეების თანმიმდევრობით განვითარება
- ცოდნის შექმნისა და ცოდნის დაგროვების პროცესი
- ბავშვს შეუძლია საგნების დახარისხება რამდენიმე ნიშნით.

### 3. ჩასვით წინადადებებში შესაბამისი ფორმები:


(5 ქულა)

შეიძლება ითქვას, რომ; პირველ რიგში; მიხედვით; საშუალებით; ინფორმაციით.

- შემეცნების პროცესში მოსწავლე თვითონ აგებს ცოდნას და \_\_\_\_\_ შემეცნების პროცესი გაავლენას ახდენს მოსწავლის ქცევასა და სწავლის უნარზე.
- ჰოვარდ გარდნერის \_\_\_\_\_, როდესაც ბავშვი კარგად უკრავს ფორტეპიანოზე, მას აქვს მუსიკალური ინტელექტი.
- დირექტორის ახალი \_\_\_\_\_, ფიზიკური აღზრდის კათედრა ჩაატარებს მოსწავლეების კონკურსს სპორტულ დარბაზში.
- იმისთვის, რომ გაკვეთილი იყოს საინტერესო, მასწავლებელმა, \_\_\_\_\_, უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეების ინტერესები.
- სხვადასხვა მოსწავლეზე ორიენტირებული აქტივობის \_\_\_\_\_ მასწავლებელს შეუძლია ჩაატაროს წარმატებული გაკვეთილი.

### 4. ჩამოწერეთ ინტელექტის სახეები და შეავსეთ ცარიელი გრაფები:

(5 ქულა)



**5. დაასრულეთ წინადადებები:**

(5 ქულა)

1. კრიტიკული აზროვნება არის \_\_\_\_\_
2. ნატურალისტური ინტელექტი არის \_\_\_\_\_
3. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება ნიშნავს \_\_\_\_\_
4. კოგნიტური განვითარების სტადია ნიშნავს \_\_\_\_\_
5. მრავალმხრივი ინტელექტი არის \_\_\_\_\_

**6. დააკავშირეთ ფორმები:**

(10 ქულა)

ფიზიკური	ფორმა
სასკოლო	დასმა
პრაქტიკოსი	აღზრდა
შეკითხვების	აზროვნება
დავალებების	საგანი
აქტივობებში	მონაწილეობა
პროექტზე	მასწავლებელი
დამოუკიდებელი	შემოწმება
შეფასების	გაცემა
პასუხების	მუშაობა



**7. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:**

(5 ქულა)

- ეკა, როგორ ხარ?
- კარგად, შენ როგორ ხარ? გუშინ შენმა ძმამ \_\_\_\_\_ ის ამოცანა?
- კი, დამეხმარა, მაგრამ ძალიან \_\_\_\_\_ ამოცანა იყო.
- ჰო, მათემატიკის მასწავლებელმაც ხომ ასე თქვა...
  
- ბენჯამენ ბლუმი არის ის, ვინც ამბობს, რომ მხოლოდ ცოდნის მიღება და \_\_\_\_\_ არ არის საკმარისი. აუცილებელია, მოსწავლემ \_\_\_\_\_.
- ქალბატონო ნათია, ერთი შეკითხვა მაქვს: რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა იმისთვის, რომ მოსწავლემ შეძლოს წინარე ცოდნის \_\_\_\_\_?
- ლევან, დიდი მადლობა ამ \_\_\_\_\_; მასწავლებელმა ამისთვის უნდა გამოიყენოს მრავალფეროვანი აქტივობა.

**8. ჩასვით მოცემული სიტყვები სათანადო პირისა და რიცხვის ფორმით:**

(5 ქულა)

მეცადინეობა პასუხი სწავლა ამოხსნა გაგრძელება

1. ნინოს აქვს დიდი სურვილი და მოტივაცია, კარგად \_\_\_\_\_ ქართული ენა.
2. მეხუთე კლასში ტიტეს კარგად ჰქონდა განვითარებული კრიტიკული აზროვნების უნარები. ის ყოველთვის \_\_\_\_\_ მასწავლებლების შეკითხვებს და ყოველთვის კარგად ასრულებდა დავალებებს.
3. ბატონი დავითი მათემატიკის მასწავლებელია და ის ამოცანებს ხშირად \_\_\_\_\_ მოსწავლეებთან ერთად.
4. ხვალ ნათელა კარგად \_\_\_\_\_ და მიიღებს მაღალ ნიშანს.
5. დიანა ამბობს, რომ ხვალაც გაკვეთილზე \_\_\_\_\_ სხვა მასწავლებლებთან თანამშრომლობას.

9. დაუსვით შეკითხვები საზგასმულ სიტყვებს:

(5 ქულა)

1. მასწავლებელმა წლის გეგმა უნდა ააგოს **შემდეგი პრინციპის** მიხედვით: მარტივიდან რთულისაკენ.
2. გუშინ ახალგაზრდა პრაქტიკოსი მასწავლებელი გაკვეთილებს ატარებდა **დილის ცხრა საათიდან სადამოს ექვს საათამდე**.
3. სასწავლო კათედრის მასწავლებლები **აქტიურად** თანამშრომლობენ სკოლაში.
4. მასწავლებელმა **უნდა გაითვალისწინოს** ის, თუ როგორ განუვითარებს მოსწავლეებს თავისუფლად მსჯელობის უნარ-ჩვევებს.
5. კარგად დაგეგმილი გაკვეთილი დაეხმარება მოსწავლეებს **დამოუკიდებლად აზროვნებაში**.

10. ჩასვით სიტყვები:

(5 ქულა)

საფუძველი შეფასება ერთობლიობას შენარჩუნება თანმიმდევრობით

1. უნარების \_\_\_\_\_ ჰქვია ინტელექტი.
2. ცნობისმოყვარეობა და ცოდნის შექენის სურვილი არის მოსწავლის მოტივაციის \_\_\_\_\_.
3. ინფორმაციის პოვნა და \_\_\_\_\_ დახარისხება არის კრიტიკული აზროვნებისთვის აუცილებელი უნარი.
4. სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის დაგროვება და ასევე ცოდნის \_\_\_\_\_.
5. საშინაო დავალების შემოწმება და \_\_\_\_\_ გაკვეთილის გეგმის ნაწილია.



11. მოისმინეთ ტექსტი, შემდეგ წაიკითხეთ და შეასრულეთ დავალება:

**სასწავლო გეგმის მნიშვნელობა და პრინციპები**

თანამედროვე კონსტრუქტივისტული გაკვეთილის მიზანია, მოსწავლემ შეიძინოს ცოდნა და მისთვის საჭირო უნარ-ჩვევები. ამიტომ მასწავლებელმა გაკვეთილი უნდა ააგოს მოსწავლის ინტერესების, მისი წინარე ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით. ამისთვის კი აუცილებელია გაკვეთილის დაგეგმვა. ეროვნული სასწავლო გეგმით მასწავლებელმა უნდა იცოდეს, თუ როგორ დაგეგმოს გაკვეთილი და რა პრინციპები გაითვალისწინოს მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის ჩატარების დროს.

სასწავლო პროცესში მასწავლებლები რამდენიმე სხვადასხვა გეგმას ადგენენ, ესენია: მთელი წლის სამუშაო გეგმა, გეგმა თემების მიხედვით, ასევე კვირისა და გაკვეთილის გეგმები. მიუხედავად ამისა, კონკრეტული საგნის რამდენიმე გეგმას აკავშირებს ერთი მიზანი – მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ამისთვის კი სხვადასხვა გაკვეთილის დროს და სხვადასხვა გეგმის მიხედვით მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს მრავალფეროვანი სტრატეგია და მოსწავლისთვის საინტერესო აქტივობა.

წლის გეგმაში მასწავლებელი ითვალისწინებს საგნის მიზნებს, ცოდნას, რომელიც მოსწავლემ უნდა შეიძინოს და შედეგებს, რომლებიც მასწავლებელმა უნდა მიიღოს სასწავლო წლის ბოლოს.

თემის გეგმაში გვაქვს ინფორმაცია იმ თემების შესახებ, რომლებიც უნდა ისწავლონ მოსწავლეებმა სკოლაში სწავლის დროს. ამ გეგმის ნაწილებია: თემა; თემის მიზანი, ამოცანები და შედეგები; თემის სწავლისთვის საჭირო საკლასო საშუალებები; შეფასების მეთოდები.

კვირის გეგმა არის მოკლე და კონკრეტული და მასში არის ინფორმაცია კვირის გაკვეთილების თემებისა და კონკრეტული სტრატეგიების შესახებ.

გაკვეთილის გეგმა აღწერს სწავლების პროცესს კონკრეტული გაკვეთილის დაწყებიდან გაკვეთილის ბოლომდე. გაკვეთილის გეგმაზე მუშაობის დროს მასწავლებელმა ასევე უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა, მათი შესაძლებლობა და ინტერესი. შეიძლება ითქვას, რომ გაკვეთილის გეგმის საშუალებით მასწავლებელს შეუძლია დაგეგმოს წარმატებული გაკვეთილი და მიიღოს კარგი შედეგი.

**ა) უპასუხეთ შეკითხვებს:**

(5 ქულა)

1. რაში ეხმარება გაკვეთილის დაგეგმვა მასწავლებელს?
2. რაში ეხმარება გაკვეთილის დაგეგმვა მოსწავლეს?
3. რა არის წლის გეგმის მიზანი?
4. რა აქვთ საერთო ტექსტში ნახსენებ სასწავლო გეგმებს?
5. რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა გაკვეთილის გეგმის შედგენის დროს?

**ბ) ტექსტის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:**

(5 ქულა)

ინფორმაცია	სწორია	არ არის სწორი	არ არის ტექსტში
თემის გეგმაში მასწავლებელი ითვალისწინებს საგნის მიზნებს, ცოდნას, რომელიც მოსწავლემ უნდა შეიძინოს და შედეგებს, რომლებიც მასწავლებელმა უნდა მიიღოს სასწავლო წლის ბოლოს.			
სასწავლო პროცესის დროს მასწავლებელი ადგენს ოთხ გეგმას.			
გაკვეთილის გეგმის საშუალებით მასწავლებელს შეუძლია დაგეგმოს ის, თუ როგორ გამოიყენებს ცოდნას მოსწავლე პრაქტიკაში.			
მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის საფუძველია სასწავლო გეგმა.			
კვირის გეგმა აღწერს სწავლების პროცესს კონკრეტული გაკვეთილისთვის.			

**გ) ტექსტის მიხედვით დაასრულეთ წინადადებები:**

(5 ქულა)

1. თანამედროვე კონსტრუქტივისტული გაკვეთილის მიზანია \_\_\_\_\_.
2. ეროვნული სასწავლო გეგმით მასწავლებელმა აუცილებლად უნდა იცოდეს, თუ როგორ \_\_\_\_\_.
3. შეიძლება ითქვას, რომ გაკვეთილის გეგმის საშუალებით მასწავლებელს შეუძლია დაგეგმოს წარმატებული გაკვეთილი და მიიღოს \_\_\_\_\_.
4. ისინი აგროვებენ ცოდნას და უვითარდებათ დამოუკიდებელი \_\_\_\_\_.
5. გაკვეთილის გეგმა აღწერს სწავლების პროცესს კონკრეტული გაკვეთილის დაწყებიდან \_\_\_\_\_.

**12. აღწერეთ სურათები და შექმენით მცირე ზომის ორი ტექსტი:**

(10 ქულა)




---



---



---



---



# IV თავი – მოსწავლის მოტივაცია და სასკოლო გარემო

- 4.1. მოსწავლის მოტივაცია
- 4.2. ეფექტური კომუნიკაცია
- 4.3. სასწავლო გარემო

**ბრამბტიკა:**

II კავშირებითი: მოქმედებითი გვარი;  
 მომავალი დრო - ვნებითი გვარი  
 თანდებული: მაგივრად  
 დამოკიდებული წინადადება - კავშირი: სადაც  
 ჩართულის მნიშვნელობით: ესე იგი; ე.ი.  
 კონსტრუქცია: არა მარტო..., არამედ

## 4.1. მოსწავლის მოტივაცია



ახალი სიტყვები:	
<p><b>ვინ/რა?</b></p> <p>მზრუნველი                      თვისება                      გარემო                      ფაქტორი                      დამოკიდებულება                      მოთხოვნა                      მოთხოვნილებები                      განმტკიცება                      უკუკავშირი                      დაკმაყოფილება</p>	<p><b>როგორი?</b></p> <p>დამოკიდებული                      შინაგანი                      გარეგანი                      დაკავშირებული                      დადებითი                      უარყოფითი</p>
<p><b>ზმნები:</b></p> <p>აქებს                      ახალისებს                      საზღვრავს                      ზრუნავს</p>	

ფრაზები:	
<p>მასწავლებლის თვისებები                  სასწავლო გარემო                  საკუთარი თავის მიმართ მოთხოვნა                  მოთხოვნილებების დაკმაყოფილება                  გარემო ფაქტორებზე დამოკიდებული                  მოსწავლეების დამოკიდებულება                  დამოკიდებულება სწავლის მიმართ                  განმტკიცებასთან დაკავშირებული ფაქტორები</p>	



**დაიმახსოვრეთ!**

	გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
შექება	აქებდა	შეაქო	<b>აქებს</b>	შეაქებს	შეაქოს
წახალისება	ახალისებდა	წახალისა	<b>ახალისებს</b>	წახალისებს	წახალისოს
განსაზღვრა	საზღვრავდა	განსაზღვრა	<b>საზღვრავს</b>	განსაზღვრავს	განსაზღვროს
ზრუნვა	ზრუნავდა	იზრუნა	<b>ზრუნავს</b>	იზრუნებს	იზრუნოს

**1.1. ა) წაიკითხეთ ტექსტები და დაასათაურეთ თითოეული მათგანი:**

1. მოსწავლეს რომ სწავლის სურვილი ჰქონდეს, ეს ბევრ რამეზეა **დამოკიდებული**. ეს შეიძლება იყოს: **მზრუნველი** მასწავლებლის **თვისებები**, უნარები, შესაძლებლობები, მუშაობის მეთოდები და სტრატეგიები, ასევე სასწავლო **გარემო**. ხშირად მასწავლებელზეა დამოკიდებული, მოსწავლე ისწავლის თუ არა გაკვეთილს, მოამზადებს თუ არა დავალებას, ხალისით მოვა თუ არა სკოლაში. ამიტომ მასწავლებელმა **უნდა იზრუნოს** მოსწავლეებზე, ხშირად **შეაქოს** და **წახალისოს** ისინი. ბავშვის სურვილს, რომ კარგად ისწავლოს, ჰქვია მოტივაცია. შეიძლება ითქვას, რომ მოტივაცია არის მოსწავლის ის თვისება, რომელიც **განსაზღვრავს** მის ქცევას. სწორედ მოტივაციაა მოსწავლის **შინაგანი** მდგომარეობა. მოტივაცია შეიძლება იყოს **შინაგანი** და **გარეგანი**. კარგი მასწავლებელი აკავშირებს მოსწავლის შინაგან და გარეგან მოტივაციას, რომლებიც გავლენას ახდენენ ერთმანეთზე.

2. მოსწავლის მოტივაციაზე გავლენას ახდენს რამდენიმე **ფაქტორი**. პირველი - ეს არის კოგნიტური ფაქტორები, როდესაც მოსწავლეების **დამოკიდებულება** სწავლება-სწავლისა და სკოლის მიმართ **დადებითია**. ასეთ დროს მოსწავლეს აქვს საკუთარი თავის მიმართ **მოთხოვნა** და მოტივაცია, რომ იყოს წარმატებული. ის ცნობისმოყვარეა და აქვს სურვილი, შეიძინოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. აუცილებელი და მნიშვნელოვანია ასევე **გარემოს ფაქტორები**, მაგალითად, როდესაც კლასში სასიამოვნო გარემოა და ოთახში ბევრი მრავალფეროვანი სასწავლო რესურსია, მასწავლებელი და მოსწავლეები წარმატებულად თანამშრომლობენ ერთმანეთთან; მოსწავლეები სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები არიან და თანმიმდევრობით იღებენ კარგ შედეგებს. **განმტკიცებასთან დაკავშირებული** ფაქტორებია, როდესაც მასწავლებელი პატივს სცემს მოსწავლეების შედეგებს და წარმატებებს; აძლევს მოსწავლეებს კონსტრუქციულ **უკუკავშირს**, აფასებებს მათ, წერს ნიშნებს. მოსწავლეების მოტივაციაზე ასევე გავლენას ახდენს მასწავლებლის შექება - „კარგია“, „ყოჩაღ“, „მართალია“, „სწორია“...

3. აბრაამ მასლოუს აზრით, მოტივაცია დამოკიდებულია ადამიანის **მოთხოვნილებებზე**. ადამიანის ქცევას მოთხოვნილებები განსაზღვრავს. ისინი თანმიმდევრობით უვითარდებათ მოსწავლეებს. მაღალი მოთხოვნილებების **დაკმაყოფილება** შეიძლება მხოლოდ უფრო დაბალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ. ალბათ, მოსწავლეები დიდი ინტერესით ნაკლებად ისწავლიან გაკვეთილს, თუ მათი აუცილებელი მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ იქნება. ასეთი მოთხოვნილებაა საკვებისა და სასმელის მიღება, დასვენება და მოთხოვნებია, მაგალითად, კარგი, სასიამოვნო საკლასო გარემო, მასწავლებლისა და თანაკლასელების კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. იმისათვის, რომ მასწავლებელმა წარმატებით ჩაატაროს გაკვეთილი, პირველ რიგში, უნდა დაადგინოს მოსწავლეების სურვილები, მოთხოვნები, მოთხოვნილებები, გაითვალისწინოს ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ქცევასა და მოტივაციაზე. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაგეგმოს გაკვეთილი.

## ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რა აკავშირებს ერთმანეთთან თქვენ მიერ წაკითხულ სამ ტექსტს?
2. რა მოთხოვნები შეიძლება ჰქონდეთ მოსწავლეებს სწავლის პროცესში?
3. როგორ გესმით სიტყვა „უკუკავშირი“ და, თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს უკუკავშირს სასწავლო პროცესში?
4. რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა მოსწავლის მოტივაციის გაზრდისთვის?
5. როგორი უნდა იყოს სასწავლო გარემო წარმატებული სასწავლო პროცესისთვის? რატომ?
6. რა განსაზღვრავს მოსწავლის ქცევას სასწავლო გარემოში? რატომ?



7. რას უწყობს ხელს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენება გაკვეთილის პროცესში?
8. რატომ არის აუცილებელი მოსწავლეების მოთხოვნებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება?
9. რა მიზნით აკავშირებს კარგი მასწავლებელი მოსწავლის შინაგან და გარეგან მოტივაციას?
10. ტექსტის მიხედვით, პირველ რიგში, რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა წარმატებული გაკვეთილის დაგეგმვის დროს?



## დააკვირდით!

ახლა	უნდა
აქებს	უნდა შეაქოს
ახალისებს	უნდა წაახალისოს
განსაზღვრავს	უნდა განსაზღვროს
ზრუნავს	უნდა იზრუნოს

### 1.2. დააკავშირეთ სიტყვები:

ნიმუში: მოთხოვნილებების დაკმაყოფილება

მოთხოვნილებების	დამოკიდებულება
ცოდნის	<b>დაკმაყოფილება</b>
პოზიტიური	მოტივაცია
კოგნიტიური	გარემო
შინაგანი	ფაქტორი
სასწავლო	აღზრდა
ფიზიკური	განმტკიცება

### 1.3. გახაზეთ სწორი ვარიანტი:

1. წარმატებული გაკვეთილის დაგეგმვის დროს მასწავლებელმა, პირველ რიგში, უნდა დაადგინოს/ განუვითაროს/შეაქოს მოსწავლეების მოთხოვნები.
2. მოსწავლის მოტივაციაზე გავლენას აკეთებს/განსაზღვრავს/ახდენს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი.
3. მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის დროს მასწავლებელი ყოველთვის წაახალისებს/ ჩამოაყალიბებს/დააგროვებს მოსწავლეებს.
4. მასწავლებელმა ყოველთვის უნდა შეაქოს/იგულისხმოს/განსაზღვროს მოსწავლე იმისათვის, რომ კარგი შედეგი მიიღოს.
5. მასწავლებელმა პატივი უნდა დააკავშიროს/გაუკეთოს/სცეს მოსწავლის აზრს.

**1.4. ჩასვით სათანადო სიტყვა:**

შინაგანი	დადებითი
მოტივაციაზე	დამოკიდებული
წახალისოს	

1. მოსწავლის მოტივაცია რამდენიმე ფაქტორზე არის \_\_\_\_\_.
2. მასწავლებელმა ხშირად უნდა შეაქოს და \_\_\_\_\_ მოსწავლეები.
3. მოსწავლის \_\_\_\_\_ მოტივაცია არის მისი სურვილი, შეიძინოს ახალი ცოდნა.
4. მოსწავლეების \_\_\_\_\_ ძლიერ გავლენას ახდენს განმტკიცებასთან დაკავშირებული ფაქტორი.
5. კოგნიტური ფაქტორები არის მოსწავლეების \_\_\_\_\_ დამოკიდებულება სწავლება-სწავლის პროცესისა და სკოლის მიმართ.

**1.5. დააკავშირეთ სიტყვები და განმარტებები:**

- ა) ფაქტორი
- ბ) მოტივაცია
- გ) მოთხოვნა
- დ) დადებითი

1. მოსწავლის სურვილი, შეიძინოს ახალი ცოდნა და გამოცდილება
2. კარგი დამოკიდებულება
3. დიდი სურვილი, რაიმე გაკეთდეს, შესრულდეს
4. ის, რაც განსაზღვრავს რაიმე პროცესს.



**1.6. ა) მოუსმინეთ დიალოგს და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:**

- \_\_\_\_\_?
- კი, სკოლიდან მოვდივარ.
- \_\_\_\_\_?
- ხომ იცი, ისტორიის გაკვეთილი როგორ მიყვარს! ძალიან კარგი მასწავლებელი გყავს, დიტო შევლიძე, და მისი გაკვეთილები ყოველთვის ძალიან საინტერესოა.
- \_\_\_\_\_?
- გაკვეთილზე თავისუფლად ვართ, აქტიურად ვმონაწილეობთ ყველა აქტივობაში, მასწავლებელიც პატივს სცემს მოსწავლეებს, ყოველთვის წაგვახალისებს ხოლმე, რომ კარგად ვისწავლოთ, გამოვთქვათ ჩვენი აზრი. მისთვის მნიშვნელოვანია ჩვენი დამოუკიდებელი აზროვნება.

- \_\_\_\_\_?
- კი, ვინც კარგად მუშაობს, კარგი შეფასებებიც აქვს. მასწავლებელი ხშირად აქებს მოსწავლეებს და ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია.
- \_\_\_\_\_?
- ხვალ პრეზენტაცია გვაქვს. მე და ჩემი მეგობარი ერთად მოვამზადებთ პროექტს, დავეხმარებით ერთმანეთს. გიორგი კარგი ბიჭია, კარგი თვისებები აქვს.
- \_\_\_\_\_?
- გმადლობ, შენც.

**ბ) დიალოგის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს:**

- 1) როგორი მოსწავლეა ლიკა?
- 2) როგორი მოტივაცია აქვს ლიკას?
- 3) რა ფაქტორები მოემედებს ლიკას მოტივაციაზე?
- 4) როგორი მასწავლებელია დიტო შველიძე?
- 5) რა თვისებები აქვს ისტორიის მასწავლებელს და რა სტრატეგიებს იყენებს მასწავლებელი მოსწავლეების მოტივაციისთვის?

**1.7. დააკავშირეთ სურათები და ფრაზები, აღწერეთ და დაასაბუთეთ, თუ რატომ გააკეთეთ ასეთი არჩევანი. იმჯელეთ ასევე თითოეული მოსწავლის მოტივაციის ფორმაზე:**



1. ლია კარგი მოსწავლეა და ყოველთვის აკეთებს დავალებას. ის ყოველთვის კარგად საბღვრავს თავის მიზნებს.
2. ერეკლე ნაკლებად ბეჯითი ბიჭია. სკოლის შემდეგ სახლში ხშირად ჯერ ტელევიზორს უყურებს, შემდეგ მეგობრებთან თამაშობს, ხოლო საღამოს იწყებს გაკვეთილების მომზადებას.

3. ლელა ყოველთვის ყურადღებით უსმენს მასწავლებელს გაკვეთილზე, აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა აქტივობაში და ასრულებს საკლასო დავალებებს.
4. დათო ხალისით არ ასრულებს საშინაო და საკლასო დავალებებს. დავალების გაკეთების დროს ხშირად მეგობრებთან ფეხბურთის თამაშზე ფიქრობს.
5. გიორგი ბეჯითი ბიჭია, მაგრამ ადვილად ვერ სწავლობს ახალ ტექსტებს და ვერ ამუშავებს ახალ ინფორმაციას, ამიტომ ტექსტებს ბევრჯერ კითხულობს. უნდა, რომ კარგად გაიგოს ყველაფერი და ახალი ცოდნა შეიძინოს.
6. ანას გაკვეთილზე სჭირდება მასწავლებლის დახმარება, რადგან დამოუკიდებლად ვერ იძენს ცოდნას და ერთდროულად ვერ ამუშავებს ბევრ სხვადასხვა ინფორმაციას. ამიტომ გაკვეთილებზე ის ნაკლებად აქტიურია და არ პასუხობს მასწავლებლის შეკითხვებს.

**1.8. ეთანხმებით თუ არა ქვემოთ მოყვანილ მოსაზრებას? იმსჯელეთ აღნიშნულ თემაზე და მოიყვანეთ სათანადო არგუმენტები:**

მასწავლებლის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, ზრუნვა და პატივისცემა ეხმარება მოსწავლეს სწავლაში. მოსწავლე უფრო კარგად სწავლობს მაშინ, როცა ის იღებს პოზიტიურ შეფასებებს.

კარლ როჯერსი

**4.2. ეფექტური კომუნიკაცია**



<b>ახალი სიტყვები:</b>	
<b>რა?</b>	<b>როგორი?</b>
კომუნიკაცია	ეფექტური
ყურადღება	არაეფექტური
ემოცია	ვერბალური
სიტყვა	არავერბალური
კომენტარი	წერილობითი
დისკუსია	სამეტყველო

<b>ზმნები:</b>	
აწვდის	
აქცევს	
ითვისებს	
უშვებს	
მართავს	
*ნიშნავს	
<b>ფრაზები:</b>	
როგორც ვიცით	
ეფექტური კომუნიკაცია	
ყურადღებას აქცევს	
ემოციების გამოხატვა	
შეცდომას უშვებს	



## დაიმახსოვრეთ!

	გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
მიწოდება	აწვდიდა	მიაწოდა	<b>აწვდის</b>	მიაწვდის	მიაწოდოს
მიქცევა	აქცევდა	მიაქცია	<b>აქცევს</b>	მიაქცევს	მიაქციოს
ათვისება	ითვისებდა	აითვისა	<b>ითვისებს</b>	აითვისებს	აითვისოს
დაშვება	უშვებდა	დაუშვა	<b>უშვებს</b>	დაუშვებს	*დაუშვას
წარმართვა	მართავდა	წარმართა	<b>მართავს</b>	წარმართავს	წარმართოს
*ნიშვნა	ნიშნავდა	-----	<b>ნიშნავს</b>	-----	ნიშნავდეს

### 2.1. ა) წიკითხეთ ტექსტი და დაასათაურეთ:

ყველა წარმატებულ მასწავლებელს აქვს **ეფექტური კომუნიკაციის** უნარ-ჩვევები. სწორედ ამიტომ, უყვართ მოსწავლეებს ასეთი მასწავლებლები და დიდ პატივსაც სცემენ მათ.

**როგორც ვიცით, ვერბალური, არავერბალური** თუ **წერილობითი** კომუნიკაცია საკლასო სიტუაციაში ყოველთვის ახდენს გავლენას მასწავლებლისა და მოსწავლეების დამოკიდებულებაზე. წარმატებული კომუნიკაციის პროცესში მასწავლებელი მოსწავლეებს **აწვდის** ინფორმაციას და **ყურადღებას აქცევს**, თუ როგორ იღებენ მოსწავლეები ამ ინფორმაციას და როგორ **ითვისებენ** მას. ინფორმაციის მიღებისას მოსწავლეები გამოხატავენ **ემოციას**. ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევა მასწავლებელს ეხმარება **არა მარტო** მოსწავლეებთან მუშაობაში, **არამედ** მთლიანად საკლასო, სასკოლო გარემოში, სწავლებისა და სწავლის პროცესში.

რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა სწავლება-სწავლის პროცესში იმისათვის, რომ ეფექტურად **წარმართოს** კომუნიკაცია?

**ვერბალური** კომუნიკაციის დროს მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს თავის საუბარს, **სამეტყველო** ენას. მან მოსწავლეებთან უნდა ისაუბროს მარტივად და გასაგებად, გამოიყენოს მხოლოდ ის **სიტყვები**, რომლებიც ბავშვებმა უკვე იციან. მზრუნველი მასწავლებელი უნდა გამოხატავდეს ემოციას, როცა ბავშვები ადვილად ითვისებენ ახალ მასალას. თუ ის რომელიმე მოსწავლეს შეაქებს, უნდა შეაქოს ხალისით. საერთოდ, მასწავლებელმა უნდა გაახალისოს ბავშვები და ასე წარმართოს სწავლების პროცესი.

**არავერბალური** კომუნიკაცია **ნიშნავს** კომუნიკაციას სიტყვების გარეშე, ე.ი. ჟესტებით. ამ დროს მასწავლებლის სახეს ან თვალებს საუკეთესოდ შეუძლია ემოციისა და შინაგანი განწყობის გამოხატვა.

**წერილობით** კომუნიკაციას მასწავლებელი მოსწავლეების ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისთვის იყენებს. მასწავლებელი წერს **კომენტარს**, ე.ი. აწვდის უკუკავშირს. მასწავლებელმა კომენტარი უნდა ჩამოაყალიბოს ისე, რომ მოსწავლემ ყველაფერი სწორად გაიგოს. მოსწავლე როდესაც წაიკითხავს მასწავლებლის კომენტარს, უკეთესად გაიაზრებს თავის შედეგს. ის დაადგენს, თუ რა ცოდნა მიიღო და რომელი უნარი აქვს განვითარებული. ასეთ დროს ბავშვს შეუძლია ნათლად დაინახოს, თუ რა შეცდომები დაუშვა დავალების შესრულებისას.

**დისკუსია** არის მეთოდი, რომელიც მოსწავლეებს უვითარებს ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევას. ამ მეთოდს ხშირად იყენებენ მასწავლებლები სწავლების პროცესში. დისკუსიის დროს მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ თავისუფლად და იაზროვნონ კრიტიკულად. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს საკითხის ან პრობლემის კარგად და ღრმად გაანალიზებაში.

**ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:**

1. როგორ გესმით ფრაზა - ეფექტური კომუნიკაცია?
2. რა ფუნქცია აქვს მასწავლებლის კომენტარებს წერილობითი კომუნიკაციის დროს?
3. რატომ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა მასწავლებლის ემოციურ მდგომარეობას სასწავლო პროცესში?
4. რას ნიშნავს ფრაზა - სამეტყველო ენა?
5. თქვენი აზრით, რა მიზანი და შედეგი აქვს არავერბალურ კომუნიკაციას?
6. რა მიზნით იყენებს მასწავლებელი კლასში დისკუსიის მეთოდს?
7. თქვენი აზრით, მათემატიკის გაკვეთილზე კომუნიკაციის რომელი ფორმაა უფრო მნიშვნელოვანი და ეფექტური? რატომ ფიქრობთ ასე?



**დააკვირდით!**

ა) **ესე იგი - ე. ი.**  
მასწავლებლის კომენტარი, ე. ი. უკუკავშირი

ბ) **არა მარტო....., არამედ**  
ეფექტური კომუნიკაცია მასწავლებელს ეხმარება **არა მარტო** მოსწავლეებთან მუშაობაში, **არამედ** სწავლებისა და სწავლის პროცესში.

## 2.2. დააკავშირეთ სიტყვები:

ნიმუში: აქცევს ყურადღებას

<b>აქცევს</b>	კომუნიკაციას
გამოხატავს	უნარ-ჩვევას
ნიშნავს	ემოციას
უვითარებს	შეცდომას
წერს	ინფორმაციას
იყენებს	<b>ყურადღებას</b>
აწვდის	კომენტარებს
უშვებს	ლექსიკას

## 2.3. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ყურადღებას	ლოგიკურად
შეცდომებთან	აწვდის
უკუკავშირის	

სასკოლო გარემოში და საგაკვეთილო პროცესში წერილობით კომუნიკაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მოსწავლე როდესაც შეასრულებს დავალებას, მასწავლებელმა ის უნდა წაიკითხოს და დაწეროს თავისი შეფასება. შეფასება არის მოსწავლის \_\_\_\_\_ დაკავშირებული კომენტარები. კომენტარებში მასწავლებელი \_\_\_\_\_ აქცევს მოსწავლის ყველა სიტყვას, იდეას, იმას, თუ როგორ ამროვნებს მოსწავლე და როგორ გამოხატავს თავის აზრებს. მასწავლებელი კომენტარების წერისას ასევე ითვალისწინებს იმას, მსჯელობს თუ არა \_\_\_\_\_ მოსწავლე. გარდა ამისა, \_\_\_\_\_ დროს მასწავლებელი მოსწავლეს \_\_\_\_\_ გაკვეთილის თემასთან დაკავშირებულ მისთვის საჭირო და საინტერესო ინფორმაციას.

## 2.4. შემოხაზეთ გამოუქებული სიტყვების სწორი შესატყვისი ვარიანტი:

- 1) კარგი მასწავლებელი **ყურადღებას აქცევს** მოსწავლეებს და ითვალისწინებს მათ ინტერესებს, სურვილებსა და შესაძლებლობებს.
  - ა) ზრუნავს
  - ბ) აგროვებს
  - გ) თანამშრომლობს.
- 2) მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებაზე მასწავლებლის კომენტარს **ჰქვია** უკუგება.
  - ა) ნიშნავს
  - ბ) გამოყოფს
  - გ) აღწერს.
- 3) მასწავლებელს უნდა ჰქონდეს **ეფექტური** კომუნიკაციის უნარ-ჩვევები.
  - ა) კარგი
  - ბ) წარმატებული
  - გ) ღრმა.

- 4) მოსწავლეზე ორიენტირებულ გაკვეთილზე მოსწავლე თავისუფლად **გამოთქვამს** თავის აზრს.  
 ა) ადგენს ბ) გამოხატავს გ) წერს.
- 5) ყოველდღიურ საკლასო გარემოში მასწავლებელმა ხშირად უნდა **წახალოს** მოსწავლე.  
 ა) შეაქოს ბ) იზრუნოს გ) მიაქციოს ყურადღება.
- 6) მასწავლებელი გაკვეთილის დაგეგმვის დროს **განსაზღვრავს** გაკვეთილის მიზანსა და მოსწავლეების შესაძლებლობებს.  
 ა) ადგენს ბ) ფიქრობს გ) ითვალისწინებს.

## 2.5. გადახაზეთ ზედმეტი სიტყვა:

- 1) ყურადღება, ემოცია, შეცდომა, ზრუნვა
- 2) კომენტარი, ფაქტორი, დისკუსია, მსჯელობა
- 3) ვერბალური, სამეტყველო, წერილობითი
- 4) გარემო, კლასი, დირექტორი, ოთახი
- 5) ეფექტური, წარმატებული, კარგი, დამოუკიდებელი.



## 2.6. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ალექსანდრე, როგორი შეფასება მიიღე? როგორი იყო მასწავლებლის კომენტარი?
- ძალიან კარგი. აი, როგორია ჩემი კომენტარი:  
 „ალექსანდრე, ეს ტექსტი ბევრად კარგია. მსჯელობა კარგად არის \_\_\_\_\_, რაც ძალიან მომწონს. ყველა პერსონაჟზე \_\_\_\_\_ და საინტერესოდ საუბრობ. შენი მსჯელობა \_\_\_\_\_. ეს \_\_\_\_\_, რომ შენ ითვალისწინებ ჩემს \_\_\_\_\_ და ეფექტურად იყენებ წინარე ცოდნას.“
- მარიამ, თქვენი მასწავლებელი ვინ არის და როგორია?
- ჩვენი მასწავლებელია ლანა ზაუტაშვილი. ლანა მასწავლებელი ბავშვებს ყოველთვის დიდ \_\_\_\_\_ აქცევს. \_\_\_\_\_ მისი კომენტარი:  
 „მარიამ, შენ კარგად ავითარებ მსჯელობას და კარგად აკავშირებ \_\_\_\_\_ სხვადასხვა პრობლემას, რაც ძალიან \_\_\_\_\_, შენ ნამდვილად კარგი შედეგები გაქვს. ხანდახან შენთვის \_\_\_\_\_ ახალი სიტყვების დასწავლა და საჭირო დროს მათი გახსენება. მინდა, რომ უფრო ხშირად გაითვალისწინო ძველი \_\_\_\_\_ და ყურადღება \_\_\_\_\_ ჩემს სიტყვებს.“



**2.7. დააკვირდით სურათებს და შეავსეთ ცხრილი:**

	კომუნიკაციის ფორმა	მოსწავლეების მოტივაცია	სწავლების მეთოდი	მოსწავლეების ინტელექტი
				
				
				

**2.8. იმსჯელეთ და დაასაბუთეთ, თუ რატომ ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას:**

მოზარდს უნდა შეეძლოს ეფექტური კომუნიკაცია ყველასთან – სხვა მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და ჯგუფებთან. სასკოლო განათლებამ მოსწავლეებს უნდა განუვითაროს კომუნიკაციური უნარ-ჩვევა, ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევა, დამოუკიდებელი აზროვნება, კრიტიკული აზროვნება და ა.შ.

### 4.3. სასწავლო გარემო



<b>ახალი სიტყვები:</b>	
<p><b>რა?</b>                  პირობა                  ფაქტი                  დაფა                  გამოყენება                  პირობები</p>	<p><b>როგორი?</b>                  თანაბარი                  შესანიშნავი                  ჩართული                  უსაფრთხო                  სასარგებლო                  კომფორტული                  ორგანიზებული</p>
<p><b>ზმნები:</b>                  იწყება                  სრულდება                  მიმდინარეობს                  გულისხმობს</p>	<p><b>როგორ?</b>                  ემოციურად                  ფიზიკურად                  წარმატებულად</p>
<b>ფრაზები:</b>	
<p>თანაბარი პირობები                  სასწავლო გარემო                  უსაფრთხო გარემო                  კედელზე კიდია                  ლევანის მაგივრად</p>	



## დაიმახსოვრეთ!

	გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
დაიწყება	იწყებოდა	დაიწყო	<b>იწყება</b>	დაიწყება	დაიწყოს
დასრულდება	სრულდებოდა	დასრულდა	<b>სრულდება</b>	დასრულდება	დასრულდეს
მიმდინარეობა	მიმდინარეობდა	-----	<b>მიმდინარეობს</b>	-----	მიმდინარეობდეს
გულისხმა	გულისხმობდა	იგულისხმა	<b>გულისხმობს</b>	იგულისხმებს	გულისხმობდეს



## დააკვირდით!

ა)

**დღეს - ხვალ**  
იწყება - დაიწყება  
სრულდება - დასრულდება

ბ)

**რა? - როგორი? - როგორ?**  
ემოცია - ემოციური - ემოციურად  
ეფექტი - ეფექტური - ეფექტურად

### 3.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

ეფექტური სასწავლო გარემო გავლენას ახდენს მოსწავლეების სწავლის პროცესსა და სწავლის მიმართ მათ დამოკიდებულებაზე. **შესანიშნავია**, როცა მოსწავლის სწავლა და განვითარება **ორგანიზებულ, კომფორტულ და ემოციურად უსაფრთხო** გარემოში **მიმდინარეობს**.

**ეფექტური სასწავლო** გარემოს შექმნა მაშინ **იწყება**, როცა მასწავლებელი პირველად შედის კლასში. მან საუბარი საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის მიწოდებით უნდა დაიწყოს. ეს უცებ მიიქცევს მოსწავლეების ყურადღებას და შექმნის პოზიტიურ განწყობას. ამ ჟესტის შემდეგ მასწავლებელი გაკვეთილს უფრო ეფექტურად დაიწყებს და ასევე გააგრძელებს. წარმატებული სასწავლო პროცესი კი აუცილებლად **დასრულდება** მნიშვნელოვანი და **სასარგებლო** შედეგებით.

კომფორტული და სასიამოვნო სასწავლო გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანია, რამდენად ნათელია ოთახი, როგორ დგას მაგიდები და სკამები, რომელ კედელზე **კიდია დაფა** და ა. შ. კომფორტულ გარემოში მოსწავლეები **წარმატებულად** ისწავლიან გუნდურ მუშაობას, შეიძენენ ცოდნასა და გამოცდილებას.

**ფიზიკურად** კომფორტული გარემოს შექმნა ასევე **გულისხმობს** იმ სასწავლო რესურსების ეფექტურად **გამოყენებას**, რომლებიც სჭირდებათ მოსწავლეებს მათი განვითარების დონისა და შესაძლებლობების მიხედვით. **ფაქტია**, რომ სასწავლო რესურსების ეფექტურად გამოყენების საშუალებით სწავლის პროცესში მოსწავლეებს შეუძლიათ ადვილად გაიგონ და გაიაზრონ საკითხი ან ახალი ინფორმაცია.

**ორგანიზებული** სასწავლო გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანია დროის ეფექტურად გამოყენება. თუ გაკვეთილი დაიწყება და დასრულდება თავის დროზე, შედეგიც უფრო ეფექტური

იქნება. ამიტომ მასწავლებელმა სასწავლო აქტივობები ისე უნდა დაგეგმოს, რომ მოსწავლეებს საკმარისი დრო ჰქონდეთ სხვადასხვა დავალების შესრულებისთვის. ამისთვის კი მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესი და შესაძლებლობა.

**ემოციურად უსაფრთხო** გარემოა იქ, სადაც მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის კომუნიკაცია ეფექტურია. ყველა **თანაბარ პირობებშია**, ყველას აქვს შესაძლებლობა, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და იმსჯელოს სხვადასხვა თემაზე. ასეთ გაკვეთილზე მნიშვნელოვანია მხოლოდ შედეგი: რა გააკეთეს, როგორ გააკეთეს და რა შედეგი მიიღეს. ხანდახან ასეთი სახით დაგეგმილ გაკვეთილზე მოსწავლეები ამბობენ: „ჩვენ ვეხმარებით ერთმანეთს, ეს **ლევანის მაგივრად** გიორგიმ გააკეთა.“ ასეთ გაკვეთილზე მოსწავლეების მოტივაცია ყოველთვის მაღალია და ისინი ყოველთვის აქტიურად არიან **ჩართული** სასწავლო პროცესში.

**ბ) აღნიშნეთ, რომელი ინფორმაციაა სწორი, არასწორი ან საერთოდ არაა მოცემული ტექსტში:**

დებულებები	სწორია	არ არის სწორი	არ არის ტექსტში
წარმატებული გაკვეთილი ყოველთვის იწყება – გამარჯობით.			
ფიზიკურად კომფორტული გარემოს შექმნა გულისხმობს საკლასო ოთახში ბუნებისა და მუსიკის კუთხის მოწყობას.			
სასწავლო გარემო განსაზღვრავს მოსწავლის წარმატებას.			
მასწავლებლის თვისებები გავლენას ახდენს კლასში ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნაზე.			
იმისთვის, რომ მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში, აუცილებელია ემოციურად უსაფრთხო, ორგანიზებული და ფიზიკურად კომფორტული გარემოს არსებობა საკლასო ოთახში.			



**დააკვირდით!**

ა)

**იქ, სადაც...**  
 იქ, სადაც ეფექტური კომუნიკაციაა, გაკვეთილიც წარმატებულია.

ბ)

**ნათ. ბრ. –ის + მაგივრად...**  
 ეს ლევანის მაგივრად გიორგიმ გააკეთა ნიკამ კალმის მაგივრად ფანქარი იყიდა.

### 3.2. დააკავშირეთ სიტყვები:

ნიმუში: სასწავლო გარემო

<b>სასწავლო</b>	ჩართული
თანაბარი	უსაფრთხო
აქტიურად	კომუნიკაცია
ეფექტური	<b>გარემო</b>
ემოციურად	პირობები

### 3.3. ჩასვით სიტყვები გამოტოვებულ ადგილას:

მოტივაცია	თვისება	ემოციურად
ითვალისწინებს	ჩართული	უსაფრთხო
თანაბარ	განსაზღვრავს	ნიშნები

თემურ კაკაშვილი ისტორიის მასწავლებელია. მას ყოველდღე რვა გაკვეთილი აქვს, ბევრს მუშაობს და მოსწავლეებს ის ძალიან უყვართ. თემურ კაკაშვილს ბევრი კარგი \_\_\_\_\_ აქვს, ყურადღებიანია და ბრუნავს მოსწავლეებზე. მისი გაკვეთილები \_\_\_\_\_ მიმდინარეობს. თემურმა იცის ყველა მოსწავლის შესაძლებლობა და სწავლის უნარი, ამიტომ გაკვეთილის დაგეგმვის დროს ყოველთვის \_\_\_\_\_ ამას.

მოსწავლეების სურვილები მისთვის \_\_\_\_\_ საკლასო აქტივობებს. შეიძლება ითქვას, რომ თემური ყველა მოსწავლისთვის \_\_\_\_\_ პირობებს ქმნის. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიაა წახალისება, შექება. ამიტომ, მის მოსწავლეებს ყოველთვის აქვთ მაღალი \_\_\_\_\_ და კარგი \_\_\_\_\_. თემური ბევრს ფიქრობს კიდევ უფრო \_\_\_\_\_ და კომფორტული საკლასო გარემოს შექმნაზე და ამ პროცესში მისი მოსწავლეები აქტიურად არიან \_\_\_\_\_.

### 3.4. შემოხაზეთ სწორი ფორმა:

- 1) ხვალ, დილით, სასკოლო ოლიმპიადა დაიწყება/მიმდინარეობს/ქმნიან.
- 2) მასწავლებელი კლასში ქმნის თანაბარ/უსაფრთხო/ემოციურ გარემოს.
- 3) ნინო, თუ შეიძლება, ხვალ ლევანის შესახებ/მიმართ/მაგივრად მიდი შეხვედრამდე.
- 4) ჩვენს მოსწავლეებს ყველა პირობა/ყურადღება/უკუკავშირი აქვთ კარგად სწავლისთვის.
- 5) ქართული ენის გაკვეთილზე მოსწავლეები მსჯელობენ და მიმდინარეობს დისკუსია/კონცერტი/ მოთხოვნების დაკმაყოფილება.

3.5. დააკვირდით სურათებს და აღწერეთ, როგორი საკლასო გარემოა შექმნილი თითოეულ მათგანზე. პასუხი დაასაბუთეთ შესაბამისი არგუმენტებით. ასევე აღნიშნეთ, რას შეცვლიდით ან დაამატებდით თითოეულ საკლასო გარემოში:



\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_



3.6. დააკვირდით გაკვეთილის გეგმას და იმსჯელეთ, რამდენად სწორადაა გადანიშნულებული აქტივობები და რამდენად სწორადაა გამოყოფილი დრო; თქვენ როგორ დაგეგმავდით, რას შეცვლიდით ან რა აქტივობას დაამატებდით?

გაკვეთილის დაგეგმვა	
კლასში მოსწავლეთა რიცხვი - 15 გაკვეთილის დრო - 45 წუთი დრო მსჯელობისთვის (ერთი მოსწავლე) - 2 წუთი	
აქტივობები	დრო
სიის ამოკითხვა	2 წუთი
დისკუსიისთვის მომზადება	3 წუთი
პრობლემის ან კითხვის დასმა, მოსწავლეთა პასუხები, საკითხის განსაზღვრა და გამოყოფა	5 წუთი
დისკუსია	30 წუთი
უკუკავშირი, შედეგების შეფასება	7 წუთი

**3.7. მოისმინეთ მოსწავლეების საუბარი; შემდეგ წაიკითხეთ და მიუთითეთ, როგორი ტიპის საკლასო გარემოზე საუბრობს თითოეული მათგანი? რატომ ფიქრობთ ასე? პასუხი დაასაბუთეთ:**

1)

ხშირად კლასში ყველა მოსწავლე არ არის ჩართული გაკვეთილის პროცესში; მათ აქვთ თავისუფალი დრო და ამიტომ ისინი საუბრობენ; აქტივობების დაგეგმვისას ვითვალისწინებ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებსა და სურვილებს; ვფიქრობ იმაზე, თუ რა სჭირდებათ მათ. თითოეული აქტივობის მიხედვით ვსაზღვრავ, რამდენი დრო დასჭირდებათ ბავშვებს დავალების შესრულებისთვის. ძალიან მეხმარება სკოლაში არსებული მრავალფეროვანი რესურსები.

2)

გაკვეთილზე თითოეული მოსწავლე განსხვავებულად იქცევა. ზოგი ყურადღებას არ აქცევს მოსწავლეებს, ზოგი საშინაო დავალებას კლასში აკეთებს, ზოგი სხვა რამეზე ფიქრობს, ზოგი კი ჩართულია სასწავლო პროცესში. იმისათვის, რომ მოსწავლეთა სხვადასხვანაირი ქცევა არ იყოს პრობლემა, მოსწავლეებმა ყველა აქტივობა კარგად უნდა გაიაზროს და დაგეგმოს. სასწავლო გარემო უნდა იყოს ორგანიზებული, გაკვეთილი უნდა დაიწყოს და დასრულდეს თავის დროზე.

3)

ჩემს კლასში ყველა მოსწავლეს აქვს საშუალება, თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი, მონაწილეობა მიიღოს დისკუსიაში. მოსწავლეების დავალებებში ვბოლოვებ შეცდომებს, ვუწერ კომენტარებს, ეს ჩემი უკუკავშირია და ვფიქრობ, რომ ასეთი სამუშაო მოსწავლის წარმატების აუცილებელი ფაქტორია. მე ხშირად ვახალისებ და ვაქებ მოსწავლეებს, რადგან ვიცი, რომ სასიამოვნო და კეთილგანწყობილი გარემო ყოველთვის უფრო ეფექტურია.

1) \_\_\_\_\_

2) \_\_\_\_\_

3) \_\_\_\_\_

**3.8. იმსჯელეთ, ეთანხმებით თუ არა ქვემოთ მოყვანილ მოსაზრებას, თქვენი პოზიცია დაასაბუთეთ და მოიყვანეთ არგუმენტები:**

„ადამიანის სურვილებს და მოქმედებას არ განსაზღვრავს მხოლოდ გარემო. ადამიანის ცხოვრებას განსაზღვრავს მისი შინაგანი თვისებები, გარემო და ქცევები, საერთოდ, სამყაროს მიმართ დამოკიდებულება.“  
ალბერტ ბანდურა

# V თავი – სწავლების ფორმები და კლასის მართვა

- 5.1. სწავლების ფორმები
- 5.2. კლასის მართვის სტილი
- 5.3. სწავლების მოდელები

**გრამატიკა:**

მომავალი დრო: **| თურმელობითი**

უარყოფითი ნაცვალსახელები: **არაფერი, ნურაფერი, ვერაფერი**

კავშირი: **რადგან**

სხვათასიტყვის ნაწილაკი: **– თ**

კონსტრუქცია: **ჯერ არ**

## 5.1. სწავლების ფორმები



ახალი სიტყვები:	
<b>რა?</b>	<b>როგორი?</b>
ლექცია	ადვილი ≠ ძნელი
ტესტი	პასიური ≠ აქტიური
ჯილდო	თანამშრომლობითი
ახსნა	ჯანსაღი
შეთანხმება	არაჯანსაღი
კონკურენცია	სოციალური
დათვალიერება	კონკურენტული
დამსახურება	ჯგუფური
მოსმენა	გასაგები
მიღწევა	სასურველი
გრძნობა	სხვადასხვა
დაკვირვება	სასწავლო
პასუხისმგებლობა	საგაკვეთილო



<b>ზმნები:</b> ათვალიერებს იმსახურებს უსმენს აღწევს გრძნობს აკვირდება ხდება ხსნის	
<b>ფრაზები:</b>	
ჯანსაღი კონკურენცია სოციალური ამროვნება ხდება პასიური შედეგის მიღწევა იღებს შედეგს მიდის შეთანხმებამდე სასურველია	დამოუკიდებელი სწავლება კონკურენტული სწავლება თანამშრომლობითი სწავლება გრძნობს პასუხისმგებლობას აქედან გამომდინარე ჯილდოს ვიმსახურებთ არა მხოლოდ, არამედ



## დაიმახსოვრეთ!

	გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
დათვალიერება	ათვალიერებდა	დაათვალიერა	<b>ათვალიერებს</b>	დაათვალიერებს	დაათვალიეროს
დამსახურება	იმსახურებდა	დაიმსახურა	<b>იმსახურებს</b>	დაიმსახურებს	დაიმსახუროს
მოსმენა	უსმენდა	მოუსმინა	<b>უსმენს</b>	მოუსმენს	მოუსმინოს
მიღწევა	აღწევდა	მიაღწია	<b>აღწევს</b>	მიაღწევს	მიაღწიოს
გრძნობა	გრძნობდა	იგრძნო	<b>გრძნობს</b>	იგრძნობს	იგრძნოს
დაკვირვება	აკვირდებოდა	დააკვირდა	<b>აკვირდება</b>	დააკვირდება	დააკვირდეს
გახდომა	ხდებოდა	გახდა	<b>ხდება</b>	გახდება	გახდეს
ახსნა	ხსნიდა	ახსნა	<b>ხსნის</b>	ახსნის	ახსნას

### 1.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

მოსწავლეები სწავლობენ არა მხოლოდ მასწავლებლისგან, არამედ **სხვადასხვა** საშუალებითაც. მაგალითად, წიგნებით; თანაკლასელებთან **თანამშრომლობით**; მშობლებთან ურთიერთობით; **დაკვირვებით**, აუდიო/ვიდეო მასალის ნახვითა და **მოსმენით**; ინტერნეტით; **ტექსტით/დავალებით**; თავისი და სხვისი გამოცდილებით. გაკვეთილზე მოსწავლეები ყველაზე კარგად მაშინ სწავლობენ, როდესაც ისინი **აქტიურად** არიან ჩართული **სასწავლო** პროცესში. ისინი **უსმენენ** მასწავლებელს, **ათვალიერებენ** და **აკვირდებიან** მათთვის **გასაგებ** ვიზუალურ მასალას. თუ კლასში მხოლოდ

მასწავლებელი საუბრობს, **ძნელია** მოსწავლეებისთვის მხოლოდ მოსმენა და ისინი ნელ-ნელა **პასიურები ხდებიან. აქედან გამომდინარე, ნაკლებად სასურველია**, მასწავლებელმა სწავლებისას ხშირად გამოიყენოს **ლექციის** მეთოდი, მხოლოდ თვითონ ისაუბროს და ისე **ახსნას** ახალი მასალა.

გაკვეთილის პროცესში ჩართვა ზოგჯერ მოსწავლეებისთვისაც **ძნელია, რადგან** ეს ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ზოგიერთ მოსწავლეს დამოუკიდებლად სწავლა მოსწონს და ფიქრობს, რომ შედეგს ასე უფრო **მიაღწევს**; ზოგიერთს **თანამშრომლობითი** სწავლების მეთოდი მოსწონს და ფიქრობს, რომ სხვების დახმარებით შედეგის **მიღწევა** უფრო **ადვილია**; ზოგიერთი მოსწავლისთვის აუცილებელია, კლასში იყოს **ჯანსაღი კონკურენცია** – სწრაფად ფიქრობს, ამროვნებს, წარმატებას აღწევს, თან მასწავლებლისგან ქებას ან **ჯილდოს იმსახურებს**.

მასწავლებელმა სასწავლო პროცესში უნდა გაითვალისწინოს სწავლების სამივე ფორმა, დაადგინოს, ვინ როდის უფრო კარგად სწავლობს და გამოიყენოს ეს ინფორმაცია გაკვეთილის პროცესში. შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებელი, **კონკურენტული** და თანამშრომლობითი სწავლება ბრდის მოსწავლეების მოტივაციას, ინტერესს, ეხმარება მათ ცოდნის ათვისებასა და **სოციალური** ამროვნების განვითარებაში.

**ბ) ტექსტის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:**

ინფორმაცია	სწორია	არ არის სწორი	არ ჩანს ტექსტში
სწავლების ახალი მეთოდები მოსწავლეს ეხმარება სოციალური ამროვნების განვითარებაში.			
ლექციის მეთოდის გამოყენება მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის დროს არ არის ეფექტური, რადგან მოსწავლეები ნაკლებად აქტიურები ხდებიან.			
ჯანსაღი კონკურენციის დროს მოსწავლეები ერთად მუშაობენ და ერთად იღებენ გადაწყვეტილებას.			
თანამშრომლობითი სწავლების დროს მასწავლებელი ყოველთვის აღწევს შედეგს.			
სწრაფად ვფიქრობთ, ვამროვნებთ, წარმატებას ვაღწევთ და მასწავლებლისგან ვიმსახურებთ ქებას, ჯილდოს – ეს არის დამოუკიდებელი სწავლების მთავარი პრინციპი.			



**დააკვირდით!**

ა)


....., რადგან  
 მოსწავლეებისთვის ძნელია, რადგან  
 ეს რთული საკითხია.

ბ)

არა მხოლოდ, არამედ...  
 მოსწავლე არა მხოლოდ იღებს ცოდნას, არამედ  
 სწავლობს დამოუკიდებელ ამროვნებასაც.

## შეადარეთ!

ამოხსნა	ახსნა
<p>მოსწავლე ხსნის ამოცანას.                      მოსწავლე ამოხსნის ამოცანას.                      მოსწავლემ ამოხსნა ამოცანა.</p>	<p>მასწავლებელი ხსნის გაკვეთილს.                      მასწავლებელი ახსნის გაკვეთილს.                      მასწავლებელმა ახსნა გაკვეთილი.</p>
ამოცანის ამოხსნა	გაკვეთილის ახსნა



### 1.2. ა) წაიკითხეთ ტექსტები:

**დამოუკიდებელი** სწავლებისას გაკვეთილის მიზნის მისაღწევად თითოეული მოსწავლე დამოუკიდებლად მუშაობს. მოსწავლეები არ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, თუმცა მათთვის არის უსაფრთხო და კომფორტული გარემო.

**კონკურენტული** სწავლებისას მოსწავლემ იცის, რომ მასწავლებელმა განსაზღვრა კონკრეტული მიზანი. ის კარგად იაზრებს, რომ ამ მიზანს წარმატებით და ადვილად მაშინ მიაღწევს, თუ იგი სხვებზე სწრაფად იფიქრებს, მიიღებს გადაწყვეტილებას და შეასრულებს დავალებებს. ამ დროს მოსწავლე ყურადღებას არ აქცევს კლასელებს, ფიქრობს მხოლოდ თავის თავსა და საკუთარ წარმატებაზე.

**თანამშრომლობითი** სწავლებისას თითოეული მოსწავლე იაზრებს, რომ გაკვეთილის მიზნის მიღწევის ერთადერთი გზა თანაკლასელებთან თანამშრომლობაა. ერთის წარმატება ყველას წარმატებას ნიშნავს. ეს **ჯგუფური** მუშაობაა და ყველა იმას აკეთებს, რაც შეუძლია. მოსწავლეები ერთმანეთს პატივს სცემენ; ისინი ერთად სწავლობენ, სვამენ შეკითხვებს, საუბრობენ, აკავშირებენ ძველ და ახალ მასალას; უსმენენ ერთმანეთის მოსაზრებებს, რომ კარგად გაიაზრონ ყველაფერი. ყველა მოსწავლე **გრძნობს პასუხისმგებლობას**. მუშაობის ბოლოს ისინი მიდიან **შეთანხმებამდე** და ერთად იღებენ გადაწყვეტილებას. სასწავლო პროცესში **ჯგუფური** მუშაობისას იზრდება თითოეული მოსწავლის მოტივაცია და **საგაკვეთილო** პროცესში ჩართულობა.




**ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:**

1. დამოუკიდებელი სწავლებისას მუშაობის რომელ ფორმას იყენებენ მოსწავლეები?
2. თქვენი აზრით, როდის და რატომ არის ეფექტური კონკურენტული სწავლება?
3. როგორ ფიქრობთ, ყველა მოსწავლე გრძნობს პასუხისმგებლობას?
4. რა აქტივობებს იყენებს მასწავლებელი თანამშრომლობითი სწავლების დროს? რა შეთანხმებამდე მიდიან მოსწავლეები თანამშრომლობითი სწავლების დროს?
5. როდის არის ადვილი მოსწავლეების სწავლება?
6. რა ეხმარება მოსწავლეს მოტივაციის ამაღლებაში?
7. თქვენს პრაქტიკაში ყველაზე ხშირად სწავლების რომელ ფორმას იყენებთ? რაზეა დამოკიდებული თქვენი არჩევანი?



**დააკვირდით!**




1.3. ა) ცხრილში არეული თანმიმდევრობითაა მოცემული დავალების, მუშაობისა და სწავლების ფორმები. სწორად დააკავშირეთ ისინი ერთმანეთთან:

ბ) დავალებისა და მუშაობის ფორმის გრაფებში მოძებნეთ საკვანძო სიტყვები. იმსჯელეთ, რა გამოარჩევს დავალებებსა და მუშაობის ფორმებს ერთმანეთისაგან:

დავალება	მუშაობის ფორმა	სწავლების ფორმა
თქვენ გაქვთ მხოლოდ 20 წუთი იმისათვის, რომ ამოხსნათ ამოცანა დაფაზე. უმაღლეს შეფასებას მიიღებს ის, ვინც ყველაზე სწრაფად და ადვილი გზით შეასრულებს დავალებას და სწორ პასუხს მიიღებს. დაფასთან გამოვა ის, ვინც პირველი ამოხსნის ამოცანას.	მოსწავლეები გრძნობენ პასუხისმგებლობას და დამოუკიდებლად მუშაობენ.	თანამშრომლობითი სწავლება
თქვენ გაქვთ 25 წუთი იმისათვის, რომ ყველა მოსწავლემ დამოუკიდებლად ამოხსნას დაფაზე დაწერილი სამი მაგალითი. ყველა მოსწავლე დამოუკიდებლად შეფასდება.	მოსწავლეები ფიქრობენ მხოლოდ საკუთარ წარმატებაზე და დამოუკიდებლად მუშაობენ.	კონკურენტული სწავლება
თქვენ გაქვთ მხოლოდ 20 წუთი იმისათვის, რომ ამოხსნათ ამოცანა. ჯგუფებმა უნდა დაწერონ ამოცანის ამოხსნის გზები და სწორი პასუხები. შეფასებას მიიღებს ყველა ჯგუფი.	ჯგუფები გრძნობენ ჯგუფურ პასუხისმგებლობას, ერთად მუშაობენ და მიდიან შეთანხმებამდე.	დამოუკიდებელი სწავლება



**დააკვირდით!**



1.4. დააკავშირეთ ანტონიმები:

ადვილი	პასიური
აქტიური	ხანდახან
დამოუკიდებელი	სხვადასხვა
გარეგანი	მარტივი
რთული	დამოკიდებული
ერთნაირი	შინაგანი
ხშირად	<b>ძნელი</b>

### 1.5. მიუწერეთ სიტყვებს შესაბამისი განმარტებები:

ჯანსაღი -
შეთანხმება -
კონკურენტული -
თანამშრომლობითი -
სოციალური -



### 1.6. მოისმინეთ დიალოგები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- ირინა, გამარჯობა.
- როგორ ხარ?
- კარგად, გუშინ მეგობართან ვიყავი და ვისაუბრეთ სკოლაზე.
- მშობლები \_\_\_\_\_ სკოლასა და შვილების განათლებაზე საუბრობენ.
- კი, რა თქმა უნდა, ჩემი მეგობარი ამბობს, რომ მისი შვილის სკოლაში მასწავლებლები დიდ ყურადღებას აქცევენ \_\_\_\_\_ ამროვნების განვითარებას და ბავშვებსაც ძალიან მოსწონთ სასწავლო პროცესი. \_\_\_\_\_ სწავლობენ.
- კი, ბავშვებს მოსწონთ, როდესაც გაკვეთილი საინტერესოა და სახალისო, ჩემს კლასში ბავშვებს უყვართ \_\_\_\_\_ მუშაობა და ეს უვითარებს მათ არა მხოლოდ დამოუკიდებელ, არამედ სოციალურ ამროვნებასაც. მეც ასე უფრო ადვილად \_\_\_\_\_ გაკვეთილის მიზანს. რაც ყველაზე კარგია, მოსწავლეები გრძნობენ \_\_\_\_\_ და ერთად მონაწილეობენ სასწავლო პროცესში.
- ძალიან ძნელია ეს პროცესი, მაგრამ საინტერესოა.

ბ)

- ქალბატონო რუსუდან, თუ შეიძლება, ერთი \_\_\_\_\_ მაქვს.
- გისმენთ, ლექსო.
- ჩვენ ვისწავლეთ, რომ დამოუკიდებელი, კონკურენტული და თანამშრომლობითი სწავლება შესანიშნავია მოსწავლეებში \_\_\_\_\_, ინტერესის გაზრდისთვის.
- სწორია, კიდევ რა არის მნიშვნელოვანი?
- კიდევ ცოდნის ათვისება და \_\_\_\_\_ ამროვნების განვითარება. ჩემთვის \_\_\_\_\_, გავიგო, რა არის სოციალური ამროვნების მთავარი პრინციპი?
- ლექსო, ძალიან საინტერესო შეკითხვაა, მაგრამ ჯერ ვისაუბროთ \_\_\_\_\_ ამროვნებაზე. რა არის კრიტიკული ამროვნება?
- კრიტიკული ამროვნება \_\_\_\_\_ ცნობისმოყვარეობას, შეკითხვების

- ჩამოყალიბებასა და მათზე პასუხის პოვნას. მოსწავლე \_\_\_\_\_ მსჯელობს, აყალიბებს თავის მოსაზრებებს, მსჯელობს პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე, დასკვნაზე.
- აქედან \_\_\_\_\_, კრიტიკული აზროვნება სოციალური აზროვნებაა – მოსწავლის კრიტიკული აზროვნების განვითარება და პრობლემების სწორად გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებელთან \_\_\_\_\_ დროს.
  - დიდი მადლობა.

### 1.7. ლოგიკურად დააკავშირეთ ერთმანეთთან წინადადებები და მათში მოცემული ინფორმაცია. იმსჯელეთ, რატომ მიიღეთ ასეთი გადაწყვეტილება:

1. მოსწავლე იმსახურებს ჯილდოს.
2. გაკვეთილზე როდესაც მხოლოდ მასწავლებელი საუბრობს და ისე ხსნის ახალ მასალას, მოსწავლეები **პასიურები ხდებიან**.
3. მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად და ერთად მონაწილეობენ პროექტის შექმნაში. ეს მოსწავლეებისთვის ძალიან საინტერესო აქტივობაა.
4. მოსწავლე ფიქრობს მხოლოდ თავის თავზე და ორიენტირებულია წარმატებაზე.
5. მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია გაკვეთილზე თანაბარი პირობები და უსაფრთხო გარემო. ის ყოველთვის ადვილად აღწევს შედეგს მოსწავლეებთან მუშაობისას.

- ა) კარგად გააზრებული და დაგეგმილი გაკვეთილის დროს მასწავლებელი და მოსწავლეები აღწევენ ეფექტურ კომუნიკაციას.
- ბ) კონკურენტული სწავლების დროს მოსწავლეები მუშაობენ დამოუკიდებლად და პასუხისმგებლობასაც დამოუკიდებლად გრძნობენ.
- გ) მასწავლებელი წაახალისებს მოსწავლეს გაკვეთილზე.
- დ) სასურველი შედეგის მისაღწევად მასწავლებელი გაკვეთილზე იყენებს თანამშრომლობითი სწავლების ფორმას.
- ე) მოსწავლეები ნაკლებად არიან ჩართულები სასწავლო პროცესში.

### 1.8. დაგეგმეთ გაკვეთილი თქვენთვის საინტერესო თემაზე, გაითვალისწინეთ დამოუკიდებელი, კონკურენტული და თანამშრომლობითი სწავლების ფორმები და გამოიყენეთ შესაბამისი მეთოდები, სტრატეგიები და აქტივობები:

**5.2. კლასის მართვის სტილი**



<b>ახალი სიტყვები:</b>	
<p><b>რა?</b></p> <p>დასწავლა მართვა შრომა დისციპლინა სტილი ურთიერთობა პატივისცემა ფუნქცია გადაცემა მათგანი არაფერი-ვერაფერი-ნურაფერი</p>	<p><b>როგორი?</b></p> <p>ქაოსური პოზიტიური დემოკრატიული ავტორიტარული</p>
<p><b>ზმნები:</b></p> <p>მართავს ირჩევს აკონტროლებს პატივს სცემს ეწინააღმდეგება</p>	<p><b>როგორ?</b></p> <p>შინაგანად აშკარად</p>
<b>ფრაზები:</b>	
<p>დემოკრატიული სტილი ქაოსური სტილი ავტორიტარული სტილი აკონტროლებს ქცევას შრომის შედეგს იღებს</p>	<p>მიზნის მიღწევა ვერაფერი ეწინააღმდეგება შედეგზე გადის თითოეული მათგანი კერძოდ, რატომ?</p>





## დაიმახსოვრეთ!

	გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
მართვა	მართავდა	მართა	<b>მართავს</b>	მართავს	მართოს
არჩევა	ირჩევდა	აირჩია	<b>ირჩევს</b>	აირჩევს	აირჩიოს
გაკონტროლება	აკონტროლებდა	გაკონტროლა	<b>აკონტროლებს</b>	გაკონტროლებს	გაკონტროლოს
პატივისცემა	სცემდა	სცა	<b>სცემს</b>	სცემს	სცეს
წინააღმდეგობა	ეწინააღმდეგებოდა	შეეწინააღმდეგა	<b>ეწინააღმდეგება</b>	შეეწინააღმდეგება	შეეწინააღმდეგოს

### 2.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

გაკვეთილი რთული პროცესია, რომელშიც ბევრი მოსწავლე მონაწილეობს. თითოეულ **მათგანს** აქვს განსხვავებული ინტერესი, შესაძლებლობა, სურვილი და თვისება. ეს ყველაფერი სასწავლო პროცესის დროს გავლენას ახდენს მათ ქცევებსა და **დასწავლის** ხარისხზე. სწავლებისა და სწავლის დროს მოსწავლეთა წარმატება დამოკიდებულია მასწავლებელსა და წარმატებულ სასწავლო პროცესზე. კლასის **მართვა არაა** რთული, როდესაც მასწავლებელი **შინაგანად** მზადაა სწავლების პროცესისთვის და მაშინ ის ყოველთვის იღებს თავისი **შრომის შედეგს**.

მასწავლებელმა უნდა **მართოს** კლასი, უნდა შეინარჩუნოს **დისციპლინა** გაკვეთილის მიმდინარეობის დროს. მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია ეფექტური სასწავლო გარემო. ეს ბავშვებს ეხმარება, იყვნენ აქტიურად ჩართულები სწავლის პროცესში. როდესაც მასწავლებელი სწორად **მართავს** კლასს, პროცესი ეფექტურად მიმდინარეობს და მიზნის მიღწევას **ვერაფერი ეწინააღმდეგება**. მოსწავლეთა დამოკიდებულება სწავლის მიმართ აშკარად პოზიტიურია. ისინი გრძნობენ პასუხისმგებლობას, რომ აქტიურად უნდა იმუშაონ გაკვეთილზე და ამავე დროს აკონტროლონ, მართონ თავიანთი ქცევა. საერთოდ, გამოყოფენ კლასის მართვის **დემოკრატიულ, ავტორიტარულ და ქაოსურ სტილს**, მასწავლებელი კი **ირჩევს**, თვითონ აკეთებს არჩევანს.

კლასის მართვის სტილი:

**დემოკრატიული      ავტორიტარული      ქაოსური**

### ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა კლასის მართვის დროს?
2. თქვენი აზრით, რას გულისხმობს სიტყვა „დასწავლა“ და რა განსხვავებაა სწავლასა და დასწავლას შორის?
3. რატომ არის აუცილებელი, რომ მასწავლებელმა გაკვეთილის დაგეგმვისას გაითვალისწინოს მოსწავლის შესაძლებლობები, ინტერესები და სურვილები?

4. თქვენი აზრით, რა ახასიათებს კლასის მართვის დემოკრატიულ, ავტორიტარულ და ქაოსურ სტილს?
5. რას ითვალისწინებთ გაკვეთილის მართვის პროცესში?
6. კლასის მართვის რომელ სტილს იყენებთ თქვენს პრაქტიკაში?



### დააკვირდით!



### 2.2. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

- იმჯელეთ კლასის მართვის სამივე სტილს შორის არსებულ მსგავსებებსა და განსხვავებებზე.
- თქვენი აზრით, კლასის მართვის რომელი სტილია ყველაზე ეფექტური მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დროს და რატომ?

**დემოკრატიული სტილის** გამოყენების დროს მასწავლებელი და მოსწავლეები აქტიურად თანამშრომლობენ. მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეების შესაძლებლობებს, უნარებსა და სურვილებს. ის ყველა მოსწავლეს რთავს სასწავლო პროცესში. მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოსაზრებები. ყოველთვის უსმენს მათ და **პატივს სცემს** ყოველი მოსწავლის აზრს. ისინი ერთად იღებენ გადაწყვეტილებას. როცა ასე მუშაობს, მასწავლებელი ყოველთვის იღებს თავისი **შრომის** შედეგს.





**ქაოსური სტილის** გამოყენების დროს მასწავლებელს არ აქვს გაკვეთილის კონკრეტული მიზანი, პროცესი არ არის თანმიმდევრული. მართალია, მასწავლებელს კეთილგანწყობილი ურთიერთობა აქვს მოსწავლეებთან, მაგრამ არ **აკონტროლებს** მათ ქცევას. მოსწავლეების დამოკიდებულება სასწავლო პროცესის მიმართ პოზიტიურია, თუმცა ვერ იღებენ სათანადო ცოდნასა და გამოცდილებას.

**ავტორიტარული სტილის** გამოყენების დროს ურთიერთობა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის აგებულია **პატივისცემაზე**. გაკვეთილი მიმდინარეობს გეგმის მიხედვით. მასწავლებლის ძირითადი **ფუნქცია** არის ცოდნის **გადაცემა**.

გაკვეთილის პროცესში ყველა მოსწავლეს ერთი დავალება აქვს. მასწავლებელი **აკონტროლებს** მოსწავლეთა ქცევას, აფასებს მათ მიერ მიღებულ ცოდნას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მოსწავლეების მოტივაცია დაბალია და არ გვაქვს სასწავლო პროცესისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება.





**ბ) მოცემული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:**

	დემოკრა- ტიული სტილი	ქაოსური სტილი	ავტორი- ტარული სტილი
მოსწავლე აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში.	+		
მასწავლებლის მთავარი ფუნქციაა ცოდნის გადაცემა.			
მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს.			
მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლის შესაძლებლობებს.			
იზრდება მოსწავლის მოტივაცია.			
მასწავლებელი აკონტროლებს მოსწავლის ქცევებს.			
მასწავლებელი მართავს მოსწავლეს.			
მოსწავლეები იღებენ და აგროვებენ ცოდნას.			
მოსწავლეებს აქვთ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.			
მოსწავლეებს უვითარდებათ დამოუკიდებელი აზროვნება.			
მასწავლებელი აყალიბებს ეფექტურ სასწავლო გარემოს.			



## დააკვირდით!



### 2.3. დააკავშირეთ ფორმები:

ნიმუში: პატივს სცემს


<b>პატივს</b>	აკონტროლებს
იყენებს	ახდენს
გავლენას	მართავს
ქცევას	პასუხობს
კლასს	<b>სცემს</b>
კითხვას	პრაქტიკაში

### 2.4. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ურთიერთობა	აკონტროლებს
სცემს	ფუნქცია
ირჩევს	

1. მოსწავლეზე ორიენტირებულ საკლასო გარემოში მასწავლებელი პატივს \_\_\_\_\_ მოსწავლის აზრს.
2. \_\_\_\_\_ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის აგებულია პატივისცემაზე.
3. მასწავლებლის ერთ-ერთი \_\_\_\_\_ არის ცოდნის გადაცემა.
4. მასწავლებელი \_\_\_\_\_ მოსწავლეთა ქცევას და აფასებს მათ მიერ მიღებულ ცოდნას.
5. გაკვეთილის დაგეგმვის დროს მასწავლებელი \_\_\_\_\_ კლასის მართვის სტილს.

## 2.5. შეავსეთ ცარიელი გრაფები და თითოეულ ცნებას მიუწერეთ მთავარი მახასიათებლები:



## 2.6. გადახაზეთ ზედმეტი ფორმები:

1. ცოდნის დაგროვება, ცოდნის შექმნა, ცოდნის გადაცემა
2. ლექციის მეთოდი, მართვის სტილი, ქცევის კონტროლი
3. დემოკრატიული, პასუხისმგებლობა, ქაოსური
4. სოციალური ამროვნება, ჯანსაღი კონკურენცია, ჯგუფური მუშაობა
5. გაკვეთილის ახსნა, დავალების შესრულება, ცოდნის გადაცემა
6. მუშაობა, შრომა, სწავლება, წერა.



## 2.7. მოისმინეთ; წაიკითხეთ ტექსტები და დაუკავშირეთ სურათებს.

### გაანალიზეთ მასწავლებლის მუშაობა და მოკლედ ჩაწერეთ შესაბამის გრაფაში:

1.

კლასში გაკვეთილის პროცესი ქაოსურია, სწავლისთვის არ არის ეფექტური გარემო. მასწავლებელს არ აქვს გაკვეთილის კონკრეტული მიზანი. გაკვეთილი არ მიმდინარეობს თანმიმდევრულად და მასწავლებელი ვერ აკონტროლებს მოსწავლეების ქცევას. მოსწავლეები ვერაფერს სწავლობენ, ვერ იღებენ საჭირო ცოდნასა და გამოცდილებას. როცა მოსწავლე გაკვეთილზე **არაფერს** აკეთებს, ვერც **ვერაფერს** სწავლობს და ეს, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს საბოლოო შედეგზე.

II.

მოსწავლეები ერთად მუშაობენ პროექტზე. მასწავლებელი იყენებს ჯგუფური მუშაობის პრინციპს. მოსწავლეები აქტიურად თანამშრომლობენ, ერთად მსჯელობენ და იღებენ გადაწყვეტილებას. მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობა პოზიტიურია და კეთილგანწყობილი. მასწავლებელი პატივს სცემს მოსწავლეების აზრს და ითვალისწინებს მათს სურვილებს. როცა მასწავლებელი კარგ შედეგს იღებს, ეს ნიშნავს, რომ მოსწავლეები წარმატებულები არიან.

III.

მოსწავლეები პასიურები არიან, რადგან მხოლოდ მასწავლებელი საუბრობს. ის წერს დაფაზე ახალ სიტყვებს და ასე ხსნის გაკვეთილს. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი იყენებს ლექციის მეთოდს, ამიტომ მოსწავლეები ნაკლებად არიან ჩართული სასწავლო პროცესში.




---

---

---

---

---

---

---

---




---

---

---

---

---

---

---

---




---

---

---

---

---

---

---

---

**2.8. იმსჯელეთ, ეთანხმებით თუ არა შემდეგ მოსაზრებას:**

სწავლა უნდა მიმდინარეობდეს კეთილგანწყობილ გარემოში. დიდი მნიშვნელობა აქვს პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას. როცა მოსწავლეს პატივს სცემენ, ის უფრო მეტად გრძნობს პასუხისმგებლობას თავის სწავლასა და განვითარებაზე.

პასუხი დაასაბუთეთ და მოიყვანეთ მაგალითები თქვენი პრაქტიკიდან.

## 5.3. სწავლების მოდელები




ახალი სიტყვები:	
<p><b>რა?</b>                      წესი                      მოდელი                      ნიმუში                      სასჯელი                      ღირებულება                      შეხედულება                      შექმნა                      ქცევა                      რჩევა</p>	<p><b>როგორ?</b>                      პიროვნული                      ჰუმანისტური                      ბიჰევიორისტული                      განსაკუთრებული                      არასასურველი                      უნიმუშო</p>
<p><b>გონები:</b>                      ქმნის                      უხსნის                      იქცევა                      ხელს უწყობს                      უწერს</p>	<p><b>როგორ?</b>                      საშინლად</p>
ფრაზები:	
<p>ჰუმანისტური მოდელი                      ბიჰევიორისტული მოდელი                      სასჯელის ფორმა                      გაკვეთილის ახსნა</p>	<p>პიროვნული თვისება                      ცუდად იქცევა                      უწერს ნიშანს                      არასასურველი ქცევები</p>



## დაიმახსოვრეთ!

	გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
შექმნა	ქმნიდა	შექმნა	<b>ქმნის</b>	შექმნის	შექმნას
ახსნა	უხსნიდა	აუხსნა	<b>უხსნის</b>	აუხსნის	აუხსნას
მოქცევა	იქცეოდა	მოიქცა	<b>იქცევა</b>	მოიქცევა	მოიქცეს
ხელის შეწყობა	ხელს უწყობდა	ხელი შეუწყო	<b>ხელს უწყობს</b>	ხელს შეუწყობს	ხელი შეუწყოს
დაწერა	უწერდა	დაუწერა	<b>უწერს</b>	დაუწერს	დაუწეროს



### 3.1. წაიკითხეთ ტექსტი. თითოეულ ტექსტს ბოლოში მიაწერეთ კლასის მართვის რომელ ფორმასა და სწავლების რომელ მოდელზეა საუბარი. პასუხი დაასაბუთეთ:

1. მე ზურაბ ჯონაშვილი ვარ. სწავლების პროცესში ყურადღებას ვაქცევ ყველა მოსწავლეს, თუ როგორ იქცევიან ისინი; ვითვალისწინებ მათ შინაგან თვისებებსა და შესაძლებლობებს. ჩემი მიზანია, დავეხმარო მათ განვითარებაში. ვფიქრობ, რომ თითოეული მათგანი განსაკუთრებულია. ყველას აქვს თავისი მოსაზრებები, ღირებულებები, მიზნები. ისინი გამოხატავენ ემოციებს, აქვთ პასუხისმგებლობის უნარი, იღებენ გადაწყვეტილებებს, უყვართ ურთიერთობები, მართავენ საკუთარ ქცევას. მე მიყვარს მოსწავლეები და მათთან თანამშრომლობა. გაკვეთილზე არასდროს მქონია დისციპლინის პრობლემა, რადგან მათთან ერთად ვქმნი კლასში ქცევის წესებს. წესები მარტივია და მოსწავლეები მათ ადვილად ასრულებენ. მოსწავლეები როდესაც აღწევენ სასურველ შედეგებს, მე მათ ყოველთვის ვახალისებ და ვაქებ.



<b>კლასის მართვის ფორმა:</b>	
<b>სწავლების მოდელი:</b>	
	<p>2. მე ლელა ცხვედიანი ვარ. პატივს ვცემ მოსწავლეების პიროვნულ თვისებებს და შესაძლებლობებს, ვითვალისწინებ მათ შეხედულებებსა და ღირებულებებს. სწავლების პროცესში ხელს ვუწყობ, რომ იყვნენ დამოუკიდებლები, მიიღონ გადაწყვეტილებები, მართონ თავიანთი ქცევა. მიყვარს მოსწავლეები და მათთან თანამშრომლობა. ჩემს გაკვეთილზე ყოველთვის დისციპლინაა. ჩვენ გვაქვს ჩვენი ქცევის წესები და სასჯელის ფორმა. თუ მოსწავლეს აქვს ქცევის პრობლემა, მე ვუხსნი მას მის შეცდომას და შემდეგ ერთად ვფიქრობთ პრობლემის გადაჭრის გზებზე. თუ მოსწავლე აღწევს კარგ შედეგებს და აქვს სასურველი ქცევა, აუცილებლად წავახალისებ და შევაცებ მას.</p>
<b>კლასის მართვის ფორმა:</b>	
<b>სწავლების მოდელი:</b>	
	<p>3. მე თამარ ნეფარიძე ვარ. ჩემი ამრით, არ არის აუცილებელი გავითვალისწინო მოსწავლეების შინაგანი თვისებები, მათი შეხედულებები და სურვილები. ჩემი გაკვეთილი ყოველთვის ეფექტურია. მოსწავლეები იღებენ ცოდნას და სწავლობენ ქცევას. გაკვეთილზე დისციპლინის პრობლემა არასდროს მქონია და არასდროს მიფიქრია, რომ ცუდად ვმუშაობ. მოსწავლეებისთვის სულ მაქვს ნიმუში და უნიმუშოდ არაფერი გამიკეთებია, ყოველთვის თვითონ ვსაზღვრავ სწავლების ფორმას; ასევე, ჩემთვის სასურველ და არასასურველ ქცევას. ვაკონტროლებ დისციპლინას და ვაფასებ მათ შედეგებს. ყოველთვის ვაქვებ მოსწავლეს კარგი ქცევისთვის და ცოდნაში ვუწერ მაღალ ნიშანს. თუ მოსწავლე ძალიან ცუდად იქცევა, ის იმსახურებს სასჯელს. ჩემი მიზანია მოსწავლეების აღზრდა და განვითარება.</p>
<b>კლასის მართვის ფორმა:</b>	
<b>სწავლების მოდელი:</b>	



**დააკვირდით!**

ა)

მი — ია
გი — ია
უ — ია
ვფიქრობ → მიფიქრია
ფიქრობ → გიფიქრია
ფიქრობს → უფიქრია

ახლა/დღეს	არასდროს
ვსწავლობ	მისწავლია
ვმსჯელობ	მიმსჯელია
ვპოულობ	მიპოვია
ვგულისხმობ	მიგულისხმია
ვთანამშრომლობ	მითანამშრომლია



## დააკვირდით!

ბ)

მი — ია
გი — ია
უ — ია
ვაკეთებ → (გა)- მიკეთებია
აკეთებ → (გა)- გიკეთებია
აკეთებს → (გა)- უკეთებია

ახლა/დღეს	არასდროს/ჯერ არ
ვაგროვებ	დამიგროვებია
ვასრულებ	შემისრულებია
ვაკავშირებ	დამიკავშირებია
ვაყალიბებ	ჩამომიყალიბებია
ვითვალისწინებ	გამითვალისწინებია

გ)

ის არაფერს	მას არაფერი
სწავლობს	უსწავლია
გულისხმობს	უგულისხმია
აკეთებს	გაუკეთებია
ასრულებს	შეუსრულებია
აკავშირებს	დაუკავშირებია
აგროვებს	დაუგროვებია
აყალიბებს	ჩამოუყალიბებია

დ)

**სხვათა სიტყვის ნაწილაკი - ჲ**

ისინი კარგი მოსწავლეები არიან.  
 მასწავლებელი ამბობს, ისინი კარგი მოსწავლეები არიან**ო**.

### 3.2. დააკავშირეთ სიტყვები:


ნიმუში: დემოკრატიული მოდელი

<b>დემოკრატიული</b>	ახსნა
არასასურველი	თვისებები
სასჯელის	ჩვენება
დისციპლინის	პასუხისმგებლობა
მოსწავლეების	<b>მოდელი</b>
განსაკუთრებული	ქცევა
პოზიტიური	პრობლემა
ნიმუშის	ფორმა
გაკვეთილის	დამოკიდებულება

### 3.3. დაასრულეთ წინადადებები:

1. ბიჰევიორისტულ მოდელში მასწავლებელი ყოველთვის აკონტროლებს მოსწავლის \_\_\_\_\_.
2. მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეებს, რომ იყვნენ \_\_\_\_\_, მიიღონ \_\_\_\_\_ და მართონ \_\_\_\_\_.
3. კლასში მოსწავლეები იღებენ ცოდნას და სწავლობენ \_\_\_\_\_.
4. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს ახალ მასალას. ის და მოსწავლეები ერთად ქმნიან ქცევის \_\_\_\_\_.
5. ჰუმანისტური მოდელის მიხედვით, თითოეული მოსწავლე \_\_\_\_\_.

### 3.4. შეადარეთ ორი ფოტო, აღწერეთ მსგავსებები და განსხვავებები, გაანალიზეთ მოცემული ფაქტორების მიხედვით და შექმენით მოკლე ტექსტი:



- მოსწავლეთა ჩართულობა
- გაკვეთილის ახსნა
- სწავლების მოდელი
- კლასის მართვის სტილი
- მასწავლებლის და მოსწავლეების ურთიერთობა და დამოკიდებულება
- გაკვეთილზე ქცევის წესები
- მოსწავლეების მოტივაცია
- ნიმუშის ჩვენება.

**3.5. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:**

არასასურველი  
ღირებულებებითა  
დისციპლინის  
იქცევა  
შეხედულებებს

1. მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად განსაზღვრავენ, რომელია სასურველი და \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_ ქცევები.
2. თუ მოსწავლე ცუდად \_\_\_\_\_, მასწავლებელი ჯერ უნდა ესაუბროს მას  
ამ პრობლემაზე.
3. გაკვეთილზე \_\_\_\_\_ პრობლემის მოგვარება ერთ-ერთი  
მნიშვნელოვანი ეტაპია.
4. მოსწავლე თავისუფლად გამოთქვამს თავის მოსაზრებებსა და \_\_\_\_\_.
5. თითოეული მოსწავლე განსაკუთრებულია თავისი \_\_\_\_\_ და  
შეხედულებებით.

**3.6. ა) კითხვებს მოუძებნეთ პასუხები:**

**ბ) დაალაგეთ ლოგიკური თანმიმდევრობით და შეადგინეთ დიალოგი:**

- რას ნიშნავს სწავლების ჰუმანისტური მოდელი?
- რას ითვალისწინებს მასწავლებელი გაკვეთილების დაგეგმვის დროს?
- მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლის შინაგან თვისებებს?
- მაშინ როგორ უნდა მოვაგვაროთ კლასში დისციპლინის პრობლემა?
- როგორ ხდება კლასში ქცევის წესების შექმნა?
- როგორია სასჯელის ფორმები?
- ჰუმანისტური მოდელის მიხედვით მოსწავლისთვის სასჯელი არაა გათვალისწინებული.
- არა მარტო თვისებებს. ჰუმანისტური მოდელის მიხედვით, თითოეული მოსწავლე  
განსაკუთრებულია. მათ აქვთ თავიანთი შეხედულებები, ღირებულებები. ისინი გამოხატავენ  
ემოციებსა და მართავენ საკუთარ ქცევას.
- საუბარი, ახსნა, ანალიზი.
- ჰუმანისტური მოდელის მთავარი პრინციპია ის, რომ გაკვეთილი ორიენტირებულია მოსწავლეზე.  
მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს და ისე ადგენს  
გაკვეთილის გეგმას.

- სწავლების ამ მოდელის საშუალებით მოსწავლე იღებს ცოდნას, გამოცდილებას. ეს მოდელი **ხელს უწყობს** მოსწავლის ჩამოყალიბებას.
- კლასში ქცევის წესებს მასწავლებლები და მოსწავლეები ერთად ქმნიან. ასევე, ერთად მიდიან შეთანხმებამდე, როგორი უნდა იყოს წახალისებისა და სასჯელის ფორმები.
- დიდი მადლობა, ნანა, საინტერესო ინფორმაციისთვის.

პასუხები: №1. რას; №2. სწავლების, №3.რას, №4. ჰუმანისტური, №5.მასწავლებელი, №6. არა, №7. როგორ, №8 .კლასში, №9. როგორია, №10. ჰუმანისტური, №11.მაშინ, №12. საუბარი, №13. დიდი.



### 3.7. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- თქვენ ჩვენი სკოლის ახალი მოსწავლე ხართ?
- დიახ, ქალბატონო იზა, ახლა \_\_\_\_\_.
- რა გქვიათ? რომელ კლასში ხართ?
- ზურა მქვია. მერვე \_\_\_\_\_ ვარ.
- მოგწონთ ჩვენი სკოლა?
- დიახ, ძალიან მომწონს.
- რატომ?
- სკოლაში ყველა მასწავლებელი \_\_\_\_\_  
ჩვენს აზრს. ისინი ითვალისწინებენ ჩვენს \_\_\_\_\_.
- იცით, რას ნიშნავს ქცევის \_\_\_\_\_? ამაზე საუბრობთ კლასში?
- დიახ. კლასში \_\_\_\_\_ წესებს მასწავლებლები ჩვენთან ერთად ქმნიან,  
წესები მარტივია და ადვილად შეგვიძლია \_\_\_\_\_.
- კიდევ რა შეგიძლიათ მითხრათ მასწავლებლების შესახებ?
- კლასში კარგი \_\_\_\_\_ გვაქვს, ბავშვები კარგად იქცევიან,  
\_\_\_\_\_ გაკვეთილები ძალიან საინტერესოა და ყველა სიამოვნებით  
უსმენს მასწავლებელს; მასწავლებლები ხშირად გვესაუბრებიან, გვისვამენ შეკითხვებს. ძველ  
სკოლაში ასეთი საინტერესო და \_\_\_\_\_ დავალებები არასდროს  
\_\_\_\_\_.
- როგორი \_\_\_\_\_ გაქვს კლასელებთან?
- კარგი, კარგი ბავშვები არიან, უკვე ბევრი მეგობარიც მყავს, ჩვენი მასწავლებელი ამბობს, თქვენ  
კარგი მოსწავლეები \_\_\_\_\_.

### 3.8. ა) წაიკითხეთ ამონარიდი და გამოთქვით თქვენი აზრი ამის შესახებ:

ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებითა და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლა-სწავლების დროს

ესგ. თავი III. ძირითადი მეთოდოლოგიური ორიენტირები. მუხლი 10. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა. პუნქტი (ა)

ყოველთვის, როცა მასწავლებელი უღიმის მოსწავლეს, ეუბნება რაიმე სასიამოვნოს, აქებს, უწერს მაღალ ნიშანს, აღნიშნავს თანატოლებთან მის წარმატებას, ის იყენებს პოზიტიურ განმტკიცებას. მოსწავლე გაიმეორებს, ანუ დაისწავლის იმ ქცევას, რომელსაც მასწავლებლის მხრიდან ამგვარი ქმედება მოსდევს.

ბერას ფრედერიკ სკინერი

**ბ) დაგეგმეთ გაკვეთილი თქვენთვის სასურველ თემაზე. გამოიყენეთ სწავლების ერთ-ერთი მოდელი და კლასის მართვის ფორმა; აღწერეთ თქვენ მიერ შერჩეული კონკრეტული აქტივობები, მეთოდები, ნიმუშები და სტრატეგიები:**

## VI ტავი – შეფასება, პროფესიული განვითარება, ინკლუზიური განათლება

6.1. სასწავლო პროცესის შეფასება

6.2. პროფესიული განვითარება

6.3. ინკლუზიური განათლება

### ბრამატიკა:

| თურმეობითი

აქტიური და პასიური ზმნები

თანდებული: **ნაცვლად**

ნაცვალსახელის ბრუნება: **ერთი და იგივე**

პროცესის გამომხატველი თანდებული: **განმავლობაში**

### 6.1. სასწავლო პროცესის შეფასება



#### ახალი სიტყვები:

##### რა?

თვითშეფასება

პროგრესი

კომენტარი

რეკომენდაცია

გაუმჯობესება

სემესტრი

ხარისხი

ცდა

მხარე

დადგენა

ცნობიერება

სწორება

დაინტერესება

მიცემა

##### როგორ?

საცვლასო

შემაჯამებელი

განმავითარებელი

განმსაზღვრელი

მიმდინარე

სანდო

გამჭვირვალე

ობიექტური

წერიითი

ზეპირი

ნასწავლი

სარწმუნო

<p><b>ზმნები:</b>                  ცდილობს                  ადგენს                  აცნობიერებს                  ასწორებს - სწორდება                  აინტერესებს - ინტერესდება                  *აძლევს</p>	<p><b>რისთვის?</b>                  მისაღწევად                  ობიექტურად</p>
<b>ფრაზები:</b>	
<p>განმავითარებელი შეფასება                  განმსაზღვრელი შეფასება                  ხარისხი, ანუ რამდენად კარგად ასწავლით                  აგრეთვე, ცდილობს, გაიგოს                  ანალიზის საფუძველზე                  ძლიერი და სუსტი მხარეები</p>	



**დაიმახსოვრეთ!**

	გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
ცდა	ცდილობდა	ეცადა	<b>ცდილობს</b>	ეცდება	ეცადოს
დადგენა	ადგენდა	დაადგინა	<b>ადგენს</b>	დაადგენს	დაადგინოს
გაცნობიერება	აცნობიერებდა	გააცნობიერა	<b>აცნობიერებს</b>	გააცნობიერებს	გააცნობიეროს
დაინტერესება	აინტერესებდა	დააინტერესა	<b>აინტერესებს</b>	დააინტერესებს	დააინტერესოს
გასწორება	ასწორებდა	გაასწორა	<b>ასწორებს</b>	გაასწორებს	გაასწოროს
გასწორება	სწორდებოდა	გასწორდა	<b>სწორდება</b>	გასწორდება	გასწორდეს
დაინტერესება	ინტერესდებოდა	დაინტერესდა	<b>ინტერესდება</b>	დაინტერესდება	დაინტერესდეს
*მიცემა	აძლევდა	მისცა	<b>აძლევს</b>	მისცემს	მისცეს



**დაიმახსოვრეთ!**

ასწორებს ის მას → სწორდება ის  
 მოსწავლე შეცდომას ასწორებს.  
 ← შეცდომა სწორდება.

- აინტერესებს ის მას — ინტერესდება ის
- აანალიზებს ის მას — ანალიზდება ის
- ასრულებს ის მას — სრულდება ის
- აკვთებს ის მას — კვთდება ის



### 1.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

შეფასება სწავლისა და სწავლების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. შეფასების მიზანია განსაზღვროს ამ პროცესის **ხარისხი, ანუ** რამდენად კარგად ასწავლის მასწავლებელი და რამდენად კარგად ითვისებენ მოსწავლეები. სწავლა-სწავლების პროცესის შეფასება ხდება საშინაო, **საკლასო** და **შემაჯამებელი** დავალებებით. ამ მიზნით მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა აქტივობას: საუბარს, კითხვა-პასუხს, მსჯელობას, ტექსტზე მუშაობას, პრეზენტაციას, პროექტს, დისკუსიას, ტესტს, ახალ ინფორმაციას და სხვ.

მასწავლებელი ყოველთვის ანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და ასე იღებს ინფორმაციას მოსწავლეთა ცოდნის შესახებ; იგებს, რამდენად კარგად ასწავლის მათ. აგრეთვე, ის აკვირდება, ცოდნის როგორი დონე აქვთ უკვე მის ბავშვებს და როგორ იყენებენ ისინი თავიანთ ცოდნას პრაქტიკაში.

მასწავლებელს **ანტერესებს**, აქვს თუ არა მის მიერ გამოყენებულ სწავლების მეთოდებს შედეგი, ანუ ის აქტივობები, რომლებსაც გაკვეთილზე საკლასო დავალებების შესრულებისას იყენებს, არის თუ არა საუკეთესო რესურსი მიზნის **მისაღწევად**. ის **ცდილობს**, გაიგოს, როგორ სასწავლო გარემოს ქმნის სწავლისთვის.

შედეგების ანალიზის საფუძველზე მასწავლებელი **ადგენს** სწავლება-სწავლის პროცესის ძლიერ და სუსტ **მხარეებს**, პოულობს და იაზრებს პრობლემებს, იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა ცვლილებები **შეიტანოს** სამუშაო პროცესში, როგორ დაგეგმოს გაკვეთილი.

სწავლისა და დასწავლის დროს მოსწავლეებიც აკეთებენ **თვითშეფასებას**. ეს მათ საშუალებას **აძლევს**, რომ უფრო კარგად **გააცნობიერონ** თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები, **ობიექტურად** შეაფასონ თავიანთი ცოდნა და უნარ-ჩვევები, ყურადღება მიაქციონ საკუთარ **პროგრესს**. ასე მოსწავლეებს სწავლის მიმართ მეტად უვითარდებათ პასუხისმგებლობის გრძობა.



### დააკვირდით!

მოსწავლეთა ცოდნა = მოსწავლეების ცოდნა

### ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რა მიზანს ისახავს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების შეფასება?
2. რას გულისხმობს მოსწავლეების თვითშეფასება?
3. რის დადგენის საშუალებას აძლევს შეფასება მასწავლებელს?
4. რის საფუძველზე აფასებს მასწავლებელი მოსწავლეებს?
5. რაში ეხმარება თვითშეფასება მოსწავლეებს?

1.2. ა) წაკითხეთ ტექსტი:


შეფასების ფორმები	
განმავითარებელი შეფასება	განმსაზღვრელი შეფასება
<p><b>განმავითარებელი</b> შეფასება მოსწავლის კოგნიციამბეა ორიენტირებული. მისი მიზანია, დაეხმაროს და ხელი შეუწყოს მოსწავლეს უნარების განვითარებაში. <b>ნასწავლი</b> მასალის განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი მოსწავლეებს ნიშანს არ უწერს. ამ დროს მასწავლებელი უკუკავშირის, ანუ ბეპირი ან <b>წერთი კომენტარების საშუალებით</b> აძლევს მოსწავლეებს რჩევებს.</p> <p>კომენტარში მასწავლებელი აღწერს მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს. აძლევს <b>რეკომენდაციებს</b> სწავლის პროცესის <b>გაუმჯობესების</b> შესახებ. <b>კომენტარი</b> შეიძლება იყოს წერილობითი და <b>ბეპირი</b>. მასწავლებელმა მოსწავლეს ბეპირი განმავითარებელი კომენტარი შესაძლებელია მისცეს გაკვეთილის დროს, წერილობითი კი – კონკრეტული თემის ან საკითხის დასრულების შემდეგ.</p> <p>შეფასება, რომელსაც მოსწავლე იღებს გაკვეთილის პროცესში, არის <b>მიმდინარე</b> შეფასება.</p> <p>შეფასება, რომელსაც მოსწავლე იღებს თემების ან საკითხების შეჯამებისას <b>სემესტრის</b> ან სასწავლო წლის ბოლოს, არის <b>შემაჯამებელი</b> შეფასება.</p>	<p><b>განმსაზღვრელი</b> შეფასების მიზანია მოსწავლეთა მიღწევების დონის განსაზღვრა. მისი ძირითადი ფუნქციაა სწავლისა და სწავლების შედეგების შემოწმება-შეფასება.</p> <p>განმსაზღვრელი შეფასების დროს არ არის აუცილებელი მასწავლებლის უკუკავშირი. განმსაზღვრელი შეფასების დროს მასწავლებელი აფასებს მოსწავლის ცოდნას. მასწავლებელი <b>ასწორებს</b> მოსწავლეების დავალებებს და წერს ნიშანს.</p> <p>ნიშნის დაწერა შესაძლებელია:</p> <p>ა) კონკრეტული თემის ან საკითხის დასრულების შემდეგ სემესტრის განმავლობაში და ეს იქნება მიმდინარე შეფასება.</p> <p>ბ) ასევე, ნასწავლი თემების ან საკითხების შეჯამებისას სემესტრის ან წლის ბოლოს და ეს იქნება შემაჯამებელი შეფასება.</p>

ბ) ტექსტის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

ინფორმაცია	სწორია	არ არის სწორი	არ არის ტექსტში
კომენტარში მასწავლებელი აფასებს მოსწავლის მიერ შესრულებული დავალების ძლიერ და სუსტ მხარეებს.			
კომენტარებში მასწავლებელი მოსწავლეს ასწავლის, თუ როგორ განავითაროს დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევები.			
განმსაზღვრელი შეფასების დროს აუცილებელია მასწავლებელმა ნიშანი დაუწეროს მოსწავლეს.			
მიმდინარე შეფასება ნიშნავს შეფასებას საგაკვეთილო პროცესში.			
განმავითარებელი შეფასების მიზანია მოსწავლეების წარმატების განსაზღვრა, დადგენა და შეფასება.			



### დაიმახსოვრეთ!



### დააკვირდით!

განსაზღვრა	განმსაზღვრელი
განვითარება	განმავითარებელი
შეჯამება	შემაჯამებელი

### 1.3. გაეცანით შეფასების პრინციპებს და მასწავლებლის მუშაობის მაგალითებს; დააკავშირეთ ისინი ერთმანეთთან:

შეფასების პრინციპები			
სანდო შეფასება	სარწმუნო შეფასება	ობიექტური შეფასება	გამჭვირვალე შეფასება
შეფასება <b>სანდოა</b> იმ შემთხვევაში, როდესაც შეფასების შედეგები ჰგავს ერთმანეთს მიუხედავად იმისა, თუ ვინ, სად ან როდის აფასებს მოსწავლის ცოდნას ერთსა და იმავე საკითხში.	შეფასება <b>სარწმუნოა</b> , როდესაც მასწავლებელი აფასებს ბუსტად იმას, რის შეფასებასაც იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში გეგმავს.	შეფასება <b>ობიექტურია</b> იმ შემთხვევაში, თუ შეფასების შედეგები არ არის დამოკიდებული მასწავლებლის პირად შეხედულებებზე, მის პიროვნულ სურვილებზე ან დამოკიდებულებებზე. ასეთი შეფასების მიზანია დისკუსიაში მონაწილეობა და პრობლემასთან დაკავშირებით მსჯელობა.	შეფასება <b>გამჭვირვალეა</b> , როდესაც მოსწავლეებმა იციან შეფასების კრიტერიუმები. შესაძლებელია მოსწავლეებიც იღებდნენ მონაწილეობას შეფასების კრიტერიუმების დადგენაში.

1)

ერთი და იგივე მასწავლებელი ასწორებს საკლასო წერის დავალებებს და მოსწავლეთა ერთნაირ პასუხებს ყოველთვის ერთნაირად აფასებს.

შეფასების პრინციპი: \_\_\_\_\_

2)

სხვადასხვა მასწავლებელი ასწორებს საკლასო წერის დავალებებს. ისინი მოსწავლეთა ერთნაირ პასუხებს ერთნაირად აფასებენ.

შეფასების პრინციპი: \_\_\_\_\_

3)

მასწავლებელი აფასებს მოსწავლის დამოუკიდებელ ამროვნებას, არგუმენტირებულ მსჯელობას, პრობლემის გადაჭრის გზებს, სხვისი მოსაზრების პატივისცემას, თანაკლასელებთან თანამშრომლობას.

შეფასების პრინციპი: \_\_\_\_\_

4)

მასწავლებელს დადგენილი აქვს კრიტერიუმები, რომლებითაც ის აფასებს მოსწავლის სწავლის ხარისხს და არა მოსწავლის პიროვნულ თვისებებს.

შეფასების პრინციპი: \_\_\_\_\_



## დააკვირდით!

რა?	ერთი და იგივე საკითხი
რას?	ერთსა და იმავე საკითხს
რის?	ერთი და იმავე საკითხის



## 1.4. მოისმინეთ ტექსტი და შემოხაზეთ სწორი პასუხები:

1. კრიტერიუმების საფუძველზე მასწავლებელი ქმნის:

ა) შეფასების ფორმებს; ბ) შეფასების პრინციპებს; გ) შეფასების კრიტერიუმებს.

2. მასწავლებელი შეფასების კრიტერიუმებით აფასებს მოსწავლის:

ა) ამროვნების ფორმას; ბ) ენის ცოდნის დონეს; გ) წარმატებას სხვადასხვა აქტივობაში.

3. იმისათვის, რომ მასწავლებელმა გაკვეთილზე გამოიყენოს შეფასების ძირითადი პრინციპები, ის:

ა) წინასწარ იაზრებს გაკვეთილის სასწავლო მიზანს; ბ) წინასწარ გეგმავს, რა ნიშანს დაუწერს მოსწავლეებს; გ) იცის, როგორ შეასრულებენ მოსწავლეები დავალებებს.

4. კრიტერიუმები ხელს უწყობს მასწავლებელს, შეაფასოს:

ა) მოსწავლის სოციალური უნარ-ჩვევები; ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; გ) გაკვეთილის პროცესში მიღებული შედეგები.

### 1.5. დააკავშირეთ სიტყვები:

ნიმუში: სარწმუნო შეფასება

<b>სარწმუნო</b>	კომენტარი
სემესტრის	პასუხი
მიმდინარე	<b>შეფასება</b>
შედევების	გაუმჯობესება
ობიექტური	მსჯელობა
შემაჯამებელი	ბოლო
მასწავლებლის	წელი
ზეპირი	დავალება

### 1.6. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

შემაჯამებელი	ასწორებს
რეკომენდაციები	მიმდინარე
გააცნობიერონ	

1. სწავლება-სწავლის პროცესის შეფასება ხდება საშინაო, საკლასო და \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_ დავალებებით.
2. თვითშეფასება მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, რომ უფრო კარგად \_\_\_\_\_  
თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები.
3. მასწავლებლის კომენტარში არის \_\_\_\_\_ მოსწავლისთვის  
სწავლის პროცესის გაუმჯობესების შესახებ.
4. მასწავლებელი \_\_\_\_\_ მოსწავლეების დავალებებს და  
წერს ნიშანს.
5. შეფასება, რომელსაც მოსწავლე იღებს გაკვეთილის პროცესში, არის \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_ შეფასება.



### 1.7. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- გამარჯობა თამარ.
- გამარჯობა ნინო, როგორი შედეგები გაქვს მეშვიდე კლასში? როგორი \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_ აქვთ შენს მოსწავლეებს? თავისუფლად გამოთქვამენ თავიანთ  
მოსაზრებებსა და შეხედულებებს? შეუძლიათ \_\_\_\_\_  
ამროვნება? თუ ისევ პრობლემებია?

- თამარ, სერიოზული პროგრესი გვაქვს, მოსწავლეებმა \_\_\_\_\_  
შედეგები მიიღეს. სასწავლო პროცესში \_\_\_\_\_  
გამოყენებამ მოსწავლეთა სწავლის უნარისა და ცოდნის დონის გაუმჯობესებაზე დიდი  
\_\_\_\_\_ მოახდინა.
- საინტერესოა, როგორ გააკეთე ეს?
- მოსწავლეებისთვის შეფასების \_\_\_\_\_ გამჭვირვალეა. მათ კარგად იციან  
კრიტერიუმები, შეუძლიათ საკუთარ თავზე \_\_\_\_\_ შედეგების  
გაკონტროლება.
- ნინო, კიდევ რით არის კარგი \_\_\_\_\_?
- თვითშეფასებით მოსწავლეებმა უფრო კარგად \_\_\_\_\_  
თავიანთი სუსტი და ძლიერი \_\_\_\_\_.
- დიდი მადლობა.
- ნახვამდის.
- კარგად.

### 1.8. განმარტეთ სიტყვები:

სარწმუნო \_\_\_\_\_

მიმდინარე \_\_\_\_\_

რეკომენდაცია \_\_\_\_\_

გაუმჯობესება \_\_\_\_\_

განმსაზღვრელი \_\_\_\_\_

## 6.2. პროფესიული განვითარება



ახალი სიტყვები	
<p><b>რა?</b></p> <p>წინსვლა სქემა კომპეტენცია თვითანალიზი კითხვარი სტანდარტი დასწრება დანერგვა მოწყობა მიხედრა შემოწმება შემუშავება ჩატარება განალიზება</p>	<p><b>როგორი?</b></p> <p>პროფესიული კარიერული თეორიული პრაქტიკული დამწყები</p>
<p><b>ზმნები:</b></p> <p>ინერგება ეწყობა ხვდება მოწმდება მუშავდება ტარდება ანალიზდება</p>	<p><b>როგორ?</b></p> <p>ერთობლივად განსაკუთრებულად</p>
ფრაზები:	
<p>ხუთი წლის განმავლობაში აძლევს რეკომენდაციებს აწყობს შეხვედრებს გამოცდილების გაზიარება</p>	



## დაიმახსოვრეთ!

	გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
დანერგვა	ინერგებოდა	დაინერგა	<b>ინერგება</b>	დაინერგება	დაინერგოს
მოწყობა	ეწყობოდა	მოეწყო	<b>ეწყობა</b>	მოეწყობა	მოეწყოს
მიხვედრა	ხვდებოდა	მიხვდა	<b>ხვდება</b>	მიხვდება	მიხვდეს
შემოწმება	მოწმდებოდა	შემოწმდა	<b>მოწმდება</b>	შემოწმდება	შემოწმდეს
შემუშავება	მუშავდებოდა	შემუშავდა	<b>მუშავდება</b>	შემუშავდება	შემუშავდეს
განალიზება	ანალიზდებოდა	განალიზდა	<b>ანალიზდება</b>	განალიზდება	განალიზდეს
ჩატარება	ტარდებოდა	ჩატარდა	<b>ტარდება</b>	ჩატარდება	ჩატარდეს

### 2.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

დღეს საქართველოს სკოლებში აქტიურად **ინერგება** მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, **პროფესიული** განვითარებისა და **კარიერული წინსვლის სქემა**. ამის საფუძველია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი არის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, რომელი **კომპეტენციები** (ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები) უნდა ჰქონდეს მასწავლებელს. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და შეფასების ახალმა სისტემამ ხელი შეუწყო მასწავლებლის კარიერულ ზრდას. სკოლებს უკვე ჰყავთ პრაქტიკოსი და უფროსი მასწავლებლები.

სკოლაში მასწავლებლები პროფესიული განვითარების მიზნით იყენებენ სხვადასხვა აქტივობას.

ერთ-ერთი ასეთი აქტივობაა თვითშეფასება. მასწავლებლები ყოველ წელს აფასებენ საკუთარ საქმიანობას. ისინი ადგენენ **კითხვარს**, რომ გაიგონ, რამდენად ეფექტურად იყენებენ თავიანთ **თეორიულ** ცოდნასა და პროფესიულ უნარ-ჩვევებს პრაქტიკაში. კითხვარით **ანალიზდება** მასწავლებელთა ძლიერი და სუსტი მხარეები, **მუშავდება** მათი პროფესიული განვითარების გეგმა. მასწავლებლები ასე უფრო კარგად **ხვდებიან** თავიანთ შედეგებს. საკუთარი პრაქტიკის **თვითანალიზი** მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის **განსაკუთრებულად** მნიშვნელოვანი უნარია.

პროფესიული განვითარების ან ზრდის ერთ-ერთი საშუალებაა თანამშრომლობა. ხშირად **ეწყობა** მასწავლებელთათვის სამუშაო შეხვედრები. მაგ.: კათედრის სხდომა, სადაც მსჯელობენ მიღებული პრაქტიკის, მოსწავლეების შედეგების, არსებული პრობლემების მოგვარების გზების შესახებ. ამ შეხვედრებზე ხდება გამოცდილების გაზიარება; ასევე, სასწავლო გეგმების, ახალი სასწავლო რესურსების, შეფასების სქემების **ერთობლივად** შემუშავება. ბოლო ხუთი წლის **განმავლობაში** საქართველოს სკოლებში უკვე არაერთი ასეთი შეხვედრა **ჩატარდა**.

პროფესიული განვითარებისთვის ასევე აუცილებელია, რომ სამუშაო შეხვედრებზე მიღებული გადაწყვეტილებები ეფექტურად **დაინერგოს** პრაქტიკაში. ეს შესაძლებელია შემდეგი აქტივობების საშუალებით: საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, **პრაქტიკული** დავალებების **შემოწმება**, გაკვეთილებზე **დასწრება** გამოცდილების გაზიარების ან განმავითარებელი შეფასების მიზნით.



**დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგებისათვის**

პროფესიული განვითარების ერთ-ერთი საშუალებაა სასწავლო ჯგუფების შექმნა. ასევე, გამოცდილი და **დამწყები** მასწავლებლების თანამშრომლობა. დამწყებ მასწავლებლებს ხშირად სჭირდებათ დახმარება საგაკვეთილო პროცესის მართვასა და სწავლების უნარების გაუმჯობესებაში. გამოცდილი პედაგოგი ადვილად ხვდება დამწყები მასწავლებლების პრობლემებს. ამიტომ, უზიარებს მათ პროფესიულ გამოცდილებას და დაკვირვების საფუძველზე **იძლევა** რეკომენდაციებს, რითაც ეხმარება მათ პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაში.

**ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:**

1. რას ნიშნავს კარიერული წინსვლა?
2. რას გულისხმობს მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა?
3. რა მიზანი აქვს მასწავლებელთა თვითშეფასებას?
4. რით განსხვავდება ერთმანეთისგან მასწავლებლისა და მოსწავლის თვითშეფასების პრინციპები?  
\*
5. თქვენი აზრით, რამდენად ეფექტურია სხვა მასწავლებლების გაკვეთილებზე დასწრება? როგორ უწყობს ეს ხელს მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას?
6. თქვენი აზრით, როგორ რეკომენდაციებს აძლევს გამოცდილი მასწავლებელი დამწყებ მასწავლებელს?  
\*
7. განმარტეთ ფრაზა – საკუთარი პრაქტიკის თვითანალიზი.
8. განმარტეთ ფრაზა – მასწავლებლის კომპეტენციები.



**დააკვირდით!**

ა)

დღეს	ჯერ არ
ინერგება ის	დანერგილა ის
ეწყობა ის	მოწყობილა ის
მოწმდება ის	შემოწმებულა ის
მუშავდება ის	შემუშავებულა ის
ანალიზდება ის	გაანალიზებულა ის
ტარდება ის	ჩატარებულა ის

ბ)

შეადარეთ:	
აქტიური გზა	პასიური გზა
აკეთებს ის <b>მას</b>	კეთდება <b>ის</b>
ნერგავს ის <b>მას</b>	ინერგება <b>ის</b>
აწყობს ის <b>მას</b>	ეწყობა <b>ის</b>
ამოწმებს ის <b>მას</b>	მოწმდება <b>ის</b>
ამუშავებს ის <b>მას</b>	მუშავდება <b>ის</b>
აანალიზებს ის <b>მას</b>	აანალიზდება <b>ის</b>
ატარებს ის <b>მას</b>	ტარდება <b>ის</b>



**დააკვირდით!**

გ)

სასწავლო პროცესში  
სასწავლო პროცესის დროს  
სასწავლო პროცესის განმავლობაში

დ)

ანალიზი	თვითანალიზი
შეფასება	თვითშეფასება

ე)

ნათესაობითი ბრუნვა + ის განმავლობაში  
ხუთი წლის განმავლობაში

**2.2. დააკავშირეთ სიტყვები:**

ნიმუში: კარიერული წინსვლა

<b>კარიერული</b>	შეხვედრა
პროფესიული	<b>წინსვლა</b>
ერთობლივად	გაზიარება
სამუშაო	შემუშავება
გაკვეთილზე	განვითარება
გამოცდილების	მხარეები
კონფერენციაში	დასწრება
სუსტი	მონაწილეობა

**2.3. შეავსეთ ცხრილი; სათანადო ადგილას ჩაწერეთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობების მოკლე აღწერა, თითოეული აქტივობის მიზანი და შედეგი:**

მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობები	აქტივობის მოკლე აღწერა	მიზანი	შედეგი
თვითშეფასება			
თანამშრომლობა			

გაკვეთილზე დასწრება			
მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფები			
გამოცდილი და დამწყები მასწავლებლების თანამშრომლობა			

**2.4. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:**

მუშავდება	თვითანალიზი
განმავლობაში	ეწყობა
ტარდება	

1. მასწავლებლების მიერ \_\_\_\_\_ თავიანთი პროფესიული განვითარების გეგმა.
2. ბოლო ხუთი წლის \_\_\_\_\_ საქართველოს სკოლებში აქტიურად იწვევება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა.
3. მასწავლებლების მიერ ხშირად \_\_\_\_\_ სამუშაო შეხვედრები.
4. საკუთარი პრაქტიკის \_\_\_\_\_ მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნარია.
5. დაკვირვების საფუძველზე გამოცდილი მასწავლებლის მიერ \_\_\_\_\_ შეხვედრები დამწყები მასწავლებლებისთვის და ხდება რეკომენდაციების მიცემა.

## 2.5. შეავსეთ ცხრილი და მოცემული აქტივობები ჩასვით შესაბამის ადგილას:

სანდო შეფასება, მიმდინარე შეფასება, თვითშეფასება, სარწმუნო შეფასება, განმავითარებელი შეფასება, დამოკიდებულებები, გაკვეთილზე დასწრება, თვითანალიზი, უნარები, რეკომენდაციების მიცემა, შემაჯამებელი შეფასება, თანამშრომლობა.

მასწავლებელთა კომპეტენციები	მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობები	შეფასების ფორმები	შეფასების პრინციპები



## 2.6. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- გამარჯობა, ბატონო დავით. რამდენიმე შეკითხვა მაქვს მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, \_\_\_\_\_ განვითარებისა და \_\_\_\_\_ წინსვლის სქემასთან დაკავშირებით.
- გისმენთ, ქალბატონო სალომე. მზად ვარ, დაგეხმაროთ.
- თქვენს სკოლაში როგორ \_\_\_\_\_ ეს სქემა?
- დღეს საქართველოს ყველა სკოლაში \_\_\_\_\_ ინერგება პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა. ჩვენი სკოლის მასწავლებლებიც აქტიურად არიან ჩართული ამ პროცესში. ისინი \_\_\_\_\_, რომ ეს აუცილებელია. სკოლას სულ ჰყავს 60 მასწავლებელი. 20 პრაქტიკოსი მასწავლებელია, 32 – უფროსი.
- რამდენმა მასწავლებელმა შეძლო \_\_\_\_\_ წინსვლა?
- ასეთი დაკვირვება \_\_\_\_\_ გაკეთებულა, მაგრამ გასულ სასწავლო წელს გაიზარდა უფროსი მასწავლებლების რაოდენობა.
- რა \_\_\_\_\_ უნდა ჰქონდეს მასწავლებელს?
- მასწავლებლის კომპეტენციებს \_\_\_\_\_ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. ამ დოკუმენტში წერია, თუ რა კომპეტენციები – ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები – უნდა ჰქონდეს მასწავლებელს.
- სკოლაში პროფესიული \_\_\_\_\_ მიზნით რა ღონისძიებებს ან აქტივობებს იყენებენ მასწავლებლები?
- აქტივობები \_\_\_\_\_. კარგად მუშაობს საგნობრივი კათედრები. მასწავლებლები აწყობენ სამუშაო შეხვედრებს.
- დიდი მადლობა.
- ნახვამდის.

## 2.7. აღწერეთ სურათები; იმსჯელეთ, რა აქტივობებს მიმართავენ მასწავლებლები პროფესიული განვითარებისთვის და შექმენით ტექსტი:



## 2.8. დაგეგმეთ გაკვეთილი თქვენთვის საინტერესო თემაზე; ყურადღება გაამახვილეთ მოსწავლეთა შეფასების ფორმებსა და პრინციპებზე, რომლებსაც გამოიყენებთ თითოეული აქტივობის შეფასებისას:

## 6.3. ინკლუზიური განათლება



### ახალი სიტყვები

#### ვინ/რა?

თანატოლი  
ინტეგრაცია  
უმცირესობა  
საზოგადოება  
მოვალეობა  
უფლება  
ფურცელი  
სახაზავი  
საჭიროება  
შენიშვნა  
ჩართვა  
დაცვა  
თხოვნა  
ჩვენება  
მონაწილეობა

#### როგორი?

მქონე  
ნიჭიერი  
ეთნიკური  
სპეციალური  
ინკლუზიური  
უსახლკარო  
საჭირო  
გაუგებარი  
შებლუდული  
დაწერილი  
საგანმანათლებლო  
ზოგადსაგანმანათლებლო

#### ზმნები:

იცავს  
ითხოვს  
აჩვენებს  
მონაწილეობს

#### როგორ?

გაუგებრად  
სპეციალურად

#### ფრაზები:

საჭიროების მქონე  
ეთნიკური უმცირესობები  
გარემოს ნაცვლად  
ხელს უშლის  
შეხედულებების გამოხატვა  
შებლუდული შესაძლებლობების მქონე  
დადგენილია მოსწავლის შესაძლებლობები  
გთხოვთ, მობრძანდეთ

### 3.1. ა) წიკითხეთ ტექსტი:

განათლების მიღება ყველა ბავშვის უფლებაა. ინკლუზიური განათლება გულისხმობს **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ)** მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში. ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, თანატოლებთან ერთად ისწავლოს და მიიღოს ხარისხიანი განათლება. სსსმ მოსწავლე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის და კლასის წევრია. ის უნდა **მონაწილეობდეს** სასკოლო და საკლასო აქტივობებში.

სსსმ მოსწავლეს სწავლება-სწავლის პროცესში ხვდება ისეთი პრობლემები, რომელთა გადაჭრა მისთვის რთულია **სპეციალური** დახმარების გარეშე. დახმარება სსსმ მოსწავლეს სჭირდება შემდეგ სფეროებში:

1. კითხვა, წერა, ანგარიში
2. ინფორმაციის გადამუშავება
3. საკუთარი აზრის და **შეხედულებების გამოხატვა**, სხვების აზრის გაგება
4. საშინაო და საკლასო დავალებების შესრულება
5. ქცევა
6. ურთიერთობა თანატოლებთან და უფროსებთან
7. და სხვა.

ინკლუზიური განათლება სჭირდებათ **შემზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ)** და **ეთნიკური უმცირესობების** ბავშვებს. ასევე, ეს განათლება **საჭიროა ნიჭიერი, უსახლკარო** და სოციალური პრობლემების მქონე ბავშვებისთვის. აუცილებელია მათი სოციალური **ინტეგრაცია**, მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების განვითარება. ეს **სამოგადოების მოვალეობაა**. მათ სჭირდებათ დახმარება, რომ გამოხატონ საკუთარი აზრი, შეხედულებები, **აჩვენონ** პიროვნული თვისებები, დაიცვან თავიანთი უფლებები.

სსსმ მოსწავლის სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით სკოლაში **სპეციალურად** შექმნილია ჯგუფი. ამ ჯგუფში არიან საგნის მასწავლებლები, კათედრის გამგეები, მშობლები და სპეციალური უნარების მქონე მასწავლებლები. **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ)** აღწერს, თუ როგორ უნდა იყოს ჩართული შემზღუდული შესაძლებლობების მქონე კონკრეტული მოსწავლე სასწავლო პროცესში.

**დადგენილია მოსწავლის შესაძლებლობები**, ინტერესები, ძლიერი და სუსტი მხარეები. ისგ განსაზღვრავს სასწავლო მიზნებს, მიზნის მიღწევისთვის საჭირო რესურსებს, აქტივობებს, მეთოდებს, შეფასების სქემებს და სხვ. სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს გეგმის წარმატებით შესრულებას. სკოლამ ასეთ მოსწავლეს ნეგატიური გარემოს ნაცვლად უნდა შეუქმნას პოზიტიური და უსაფრთხო გარემო. ყველაფერს დაცვა სჭირდება.

### ბ) შემოხაზეთ სწორი პასუხები:

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აღწერს...
  - ა) როგორ უნდა იყოს ჩართული შშმ მოსწავლე საგაკვეთილო პროცესში
  - ბ) როგორ უნდა იყოს ჩართული ყველა მოსწავლე საგაკვეთილო პროცესში
  - გ) როგორი აქტივობები უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა საგაკვეთილო პროცესში, მაგალითად, ზეპირი თუ წერიტი.
2. სსსმ მოსწავლეს სჭირდება დახმარება, რათა...
  - ა) მან შეძლოს თავისუფლად ლაპარაკი
  - ბ) მან შეძლოს თანატოლებთან და პედაგოგებთან ურთიერთობა
  - გ) მან შეძლოს მშობლებთან ურთიერთობის გაუმჯობესება.

3. ისგ განსაზღვრავს...
- ა) სასწავლო მიზნებს
  - ბ) მიზნის მიღწევისთვის საჭირო სასწავლო რესურსებს
  - გ) ორივეს ერთად.
4. სკოლამ უნდა...
- ა) შექმნას სსსმ მოსწავლეებისთვის უსაფრთხო და სასიამოვნო გარემო
  - ბ) განსაზღვროს სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები და უნარები
  - გ) შეუწყოს ხელი სსსმ მოსწავლეებისთვის დამოუკიდებელი გაკვეთილების ჩატარებას.



### დაიმახსოვრეთ!

	გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
დაცვა	იცავდა	დაიცვა	<b>იცავს</b>	დაიცავს	დაიცვას
თხოვნა	ითხოვდა	მოითხოვა	<b>ითხოვს</b>	მოითხოვს	მოითხოვოს
ჩვენება	აჩვენებდა	აჩვენა	<b>აჩვენებს</b>	აჩვენებს	აჩვენოს
მონაწილეობა	მონაწილეობდა	*-----	<b>მონაწილეობს</b>	*-----	*-----

- \* გუშინ მიიღო მონაწილეობა
- \* ხვალ მიიღებს მონაწილეობას
- \* უნდა მიიღოს მონაწილეობა

**სსსმ** – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე  
**შშმ** – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე  
**ისგ** – ინდივიდუალური სასწავლო გეგმა



### დააკვირდით!

ა)

დღეს	ჯერ არ/თურმე
აკეთებს ის მას	გაუკეთებია მას ის
ამოწმებს ის მას	შეუმოწმებია მას ის
ამუშავებს ის მას	დაუმუშავებია მას ის
აანალიზებს ის მას	გაუანალიზებია მას ის
ატარებს ის მას	გაუტარებია მას ის





## დააკვირდით!

ბ)

ჯერ არ/თურმე	
გამიკეთებია მე ის	გაგვიკეთებია ჩვენ ის
გაგვიკეთებია შენ ის	გაგვიკეთებიათ თქვენ ის
გაუკეთებია მას ის	გაუკეთებიათ მათ ის

გ)

ზეპირის ნაცვლად  
ფურცელზე დაწერილის ნაცვლად

დ)

დადგენილია უსახლკარო  
მოსწავლეთა დაცვა!

### 3.2. დააკავშირეთ სიტყვები:

ნიმუში: საგაკვეთილო პროცესი

<b>საგაკვეთილო</b>	უმცირესობები
სპეციალური	დავალეზა
ინკლუზიური	ტესტი
ეთნიკური	შესაძლებლობები
შემზადებული	ინტეგრაცია
სოციალური	საჭიროებები
შესაძლებლობების	<b>პროცესი</b>
ზეპირი	განათლება
გაუგებარი	განვითარება

### 3.3. დაასრულეთ წინადადებები:

- ინკლუზიური განათლება გულისხმობს სპეციალურ საგანმანათლებლო \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_.
- სსსმ მოსწავლეს სწავლება-სწავლის დროს უჭირს პრობლემების გადაჭრა \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_.
- სსსმ მოსწავლეს სჭირდება დახმარება შემდეგ სფეროებში: \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_.
- ინკლუზიური განათლება სჭირდებათ ბავშვებს, რომლებიც არიან \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_.
- სსსმ მოსწავლეების სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_.

**3.4. განმარტეთ შემდეგი ფრაზები:**

შემზღუდული შესაძლებლობები \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

ინკლუზიური განათლება \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

მასწავლებელთა კომპეტენციები \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

განმავითარებელი შეფასება \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

ეთნიკური უმცირესობები \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

**3.5. ჩამოწერეთ ხუთი რეკომენდაცია და შესაბამისი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ნინო დავითაშვილს, რომ წარმატებით ჩაატაროს გაკვეთილები. ეს მის მოსწავლეებს დაეხმარება სოციალურ ინტეგრაციასა და სწავლის პროცესის გაუმჯობესებაში:**

ნინო დავითაშვილი დამწყები მასწავლებელია, თბილისის მეთექვსმეტე სკოლაში ის ქართულ ენას ასწავლის. მის კლასში სწავლობს შემზღუდული შესაძლებლობების მქონე ორი მოსწავლე. ერთი გაუგებრად საუბრობს, მეორე კი ძალიან აქტიურია და ხშირად ხელს უშლის მასწავლებელს გაკვეთილის ჩატარებაში.

რეკომენდაციები	აქტივობები



### 3.6. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ნანა, შეიძლება?!
- დიახ. გთხოვთ, \_\_\_\_\_.
- ნანა, ჩემს კლასში \_\_\_\_\_ შშმ მოსწავლე. არ ვიცი, საიდან დავიწყო მუშაობა. გაქვთ ჩემთვის რეკომენდაციები?
- მშობლებთან ისაუბრეთ?
- დიახ, სწორედ მშობლებთან საუბრის შემდეგ დავადგინე \_\_\_\_\_ განათლების პრინციპები და შშმ მოსწავლის ინტერესები, პიროვნული თვისებები და \_\_\_\_\_.
- რა არ შეუძლია მოსწავლეს, სწავლის პროცესში რა პრობლემები აქვს?
- სწავლის პროცესში სჭირდება \_\_\_\_\_, რადგან არ შეუძლია თავისუფლად კითხვა, წერა, ანგარიში, სხვების აზრის გაგება, ინფორმაციის \_\_\_\_\_, მაგრამ უყვარს ხატვა.
- რას ხატავს?
- ჯერ არაფერი \_\_\_\_\_.
- \_\_\_\_\_ მასწავლებელთან გქონდა შეხვედრა?
- ჯერ არა. დღეს გვექნება შეხვედრა. მართალია, ჯერ არაფერი გამიკეთებია, მაგრამ ჩვენ უკვე გვაქვს \_\_\_\_\_ ინფორმაცია მოსწავლის შესაძლებლობების, ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ.
- კი, ეს საკმარისი და საჭირო ინფორმაციაა. საჭიროა მიზნისა და მისი შესაბამისი სასწავლო \_\_\_\_\_, აქტივობების, მეთოდების, შეფასების სქემების განსაზღვრა.
- ნანა, დიდი მადლობა საინტერესო ინფორმაციისთვის.

### 3.7. აღწერეთ სურათი; იმსჯელეთ, რა აქტივობებს იყენებს მასწავლებელი გაკვეთილზე, რამდენად დაეხმარება ეს შშმ მოსწავლეს სოციალურ ინტეგრაციასა და სწავლის გაუმჯობესებაში. შექმენით მცირე ტექსტი:



---

---

---

---

---

---

---

**3.8. დაგეგმეთ გაკვეთილი თქვენთვის საინტერესო თემაზე; გაითვალისწინეთ შესაბამისი აქტივობები შშმ მოსწავლეებისთვის, გამოიყენეთ შეფასების სათანადო ფორმები და პრინციპები:**

---

---

---

---

---

---

---

## შემაჯავებელი II

### 1.1. წაიკითხეთ ტექსტი:

სპეციალისტები გამოყოფენ ეფექტური შეფასების სამ დამახასიათებელ ნიშანს: ფორმალური შეფასება უნდა იყოს სარწმუნო, სანდო და პრაქტიკული. პროფესიულ, სანდო და უსაფრთხო შეფასებას სამივე ნიშანი უნდა ჰქონდეს. შეფასება ობიექტურად უნდა აფასებდეს მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებას.

შეფასება ლოგიკურად უნდა აკავშირებდეს რამდენიმე ინფორმაციას, რომლებსაც აგროვებს მასწავლებელი და შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას, თუმცა მოსწავლეები ხშირად იღებენ შეფასებას, რომელიც არ არის სარწმუნო. მაგალითად, მასწავლებელი გაკვეთილზე საუბრობს ერთ თემაზე, ხოლო შემაჯამებელი წერის დროს მოსწავლეებს აქვთ სხვა თემასთან დაკავშირებული დავალებები. ამით მასწავლებელი ვერ აფასებს მოსწავლეების ცოდნას ეფექტურად. სარწმუნო შეფასება ნიშნავს თანმიმდევრულ შეფასებას.

სწავლების პროცესი დაკავშირებული უნდა იყოს მასწავლებლის მიზანთან, ხოლო შემაჯამებელი წერა – მიზანთანაც და სწავლების პროცესთანაც. შეფასების პროცესი უნდა იყოს სარწმუნო, რადგან შეფასება ეფექტური სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი ნაწილია.

### 1.2. შეარჩიეთ სათაური; თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ:

- ა) სარწმუნო შეფასების აუცილებლობა
- ბ) ეფექტური შეფასება
- გ) შევაფასოთ მოსწავლე.

### 1.3. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

1. სარწმუნო შეფასება უნდა იყოს

- ა) ეფექტური
- ბ) თანმიმდევრული
- გ) სანდო.

2. მასწავლებელი როდესაც გაკვეთილზე საუბრობს ერთ თემაზე, ხოლო შემაჯამებელი წერის დროს მოსწავლეებს აქვთ სხვა თემასთან დაკავშირებული დავალებები, ასეთ დროს შეფასება

- ა) იქნება სარწმუნო
- ბ) არ იქნება სარწმუნო
- გ) არ იქნება ეფექტური.

3. შეფასების მიზანია, ლოგიკურად დააკავშიროს

- ა) მასწავლებლის მიზნები და მოსწავლის ცოდნა
- ბ) სანდობა და სარწმუნობა
- გ) მასწავლებლის მიერ მოსწავლის შესახებ მიღებული ინფორმაცია და მისი გადაწყვეტილებები.

**1.4. რა არის ტექსტის მთავარი სათქმელი? პასუხი დაასაბუთეთ:**

- ა) სასწავლო პროცესში არის შემთხვევები, როდესაც მოსწავლეებს აფასებენ არასწორად, ეს კი მოსწავლის წარმატებაზე ახდენს სერიოზულ გავლენას.
- ბ) სწავლების პროცესი აუცილებლად უნდა იყოს დაკავშირებული მასწავლებლის მიზანთან, რადგან მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რა თემაზე უნდა ისაუბროს კონკრეტულ გაკვეთილზე, რა აქტივობები გამოიყენოს და როგორ შეაფასოს მოსწავლეები.
- გ) შეფასება არის სასწავლო პროცესის აუცილებელი და ლოგიკური ნაწილი, რადგან სწორედ შეფასების საშუალებით ხდება მოსწავლის ცოდნისა და პროგრესის შემოწმება.
- დ) მხოლოდ ის შეფასებაა ეფექტური და ობიექტური, რომელიც არის როგორც სარწმუნო და სანდო, ისე მოსწავლის პრაქტიკულ საჭიროებებზე ორიენტირებული.

**2. დააკავშირეთ სურათები და აბზაცები; თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ:**

<p>მასწავლებლები ხშირად აწყობენ სამუშაო შეხვედრებს; ერთ-ერთი ასეთი შეხვედრაა კათედრის სხდომა. აქ ისინი მსჯელობენ სასწავლო პროცესში არსებული პრობლემების შესახებ და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. ახლა შეფასების სქემების ერთობლივად შემუშავებას გეგმავენ.</p>	I
II	<p>პროფესიული განვითარებისა და პროგრესის შეფასების ერთ-ერთი აქტივობაა თვითშეფასება. მასწავლებლები აანალიზებენ თავიანთ სასწავლო პროცესს; პასუხობენ შეკითხვებს; უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, თუ რამდენად ეფექტურად იყენებენ თავიანთ თეორიულ ცოდნასა და პროფესიულ უნარ-ჩვევებს პრაქტიკაში; აანალიზებენ საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებს.</p> <p>გურამ მთვარელიშვილი მუშაობს თავისი პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავებაზე. ის ფიქრობს, რომ თვითანალიზი მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნარია.</p>
<p>თუა ფეტელაუა დამწყები მასწავლებელია. ის ასწავლის გერმანულ ენას 53-ე სკოლაში. მას სჭირდება გამოცდილი მასწავლებლის რეკომენდაციები, ამიტომ ნანა ბჟალაუა აქტიურად თანამშრომლობს მასთან და ეხმარება პრობლემების მოგვარებაში.</p>	III



**3. შეავსეთ ცხრილი; შეფასების რომელი პრინციპები შეესაბამება შეფასების ფორმებს? პასუხი დაასაბუთეთ და მოიყვანეთ მაგალითები თქვენი პრაქტიკიდან:**

შეფასების ფორმები	შეფასების პრინციპები	დასაბუთება
განმავითარებელი შეფასება		
შემაჯამებელი შეფასება		
განმსაზღვრელი შეფასება		
მიმდინარე შეფასება		

**4. დაასრულეთ წინადადებები:**

1. იმისათვის, რომ შშმ მოსწავლე იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში, აუცილებელია, გამოვიყენოთ შემდეგი აქტივობები: \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_.
2. სემესტრის ბოლოს მასწავლებელი იყენებს შეფასების ფორმას, რომელსაც ჰქვია \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_.
3. განმავითარებელი შეფასების დროს მასწავლებელი ნიშანს \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_.
4. საქართველოს სკოლებში აქტიურად ინერგება კარიერული \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_.
5. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, მასწავლებლის კომპეტენციებია \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_.

## 5. დალაგეთ ტექსტი ლოგიკური თანმიმდევრობით:

- დაკვირვება საინტერესო პროცესია. მე არა მხოლოდ მოსწავლეებს ვაფასებ, არამედ ეს მებმარება თვითშეფასებაშიც. მივიღე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად ვასწავლი მოსწავლეებს, როგორ იყენებენ მოსწავლეები არსებულ ცოდნას პრაქტიკაში.
- საინტერესო დაკვირვებაა ძალიან.
- ნინო, გამარჯობა.
- მადლობა, კარგად, როგორ სწავლობენ შენი მოსწავლეები?
- დაკვირვებისთვის ვირჩევ 3-4 მოსწავლეს. გაკვეთილის პროცესში ვაგროვებ და ვიწერ ინფორმაციას, მოსწავლეები შედეგებს გაკვეთილის ბოლოს იგებენ.
- უკუკავშირს აკეთებ?
- დიდი მადლობა...
- თამუნა, როგორ ხარ? როგორ მიდის საქმეები?
- კი, თამარ, კომენტარს ზეპირად ვამბობ, რომ მოსწავლემ გააცნობიეროს სწავლის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები. გარდა ამისა, ვაძლევ რეკომენდაციებს, როგორ მოაგვაროს არსებული პრობლემები.
- რა შეგიძლია თქვა ერთი თვის შედეგების ანალიზის მიხედვით?
- უკვე წარმატებები გვაქვს. მაქვს შემუშავებული დაკვირვების კრიტერიუმები და უკვე ერთი თვეა ვაკეთებ სწავლება-სწავლის პროცესზე დაკვირვებას.
- ამას როგორ აკეთებ?

№5 პასუხები: №1. ნინო, №2. თამუნა, №3. მადლობა, №4. უკვე, №5.ამას, №6. დაკვირვებისთვის, №7. უკუკავშირს, №8. კი თამარ, №9.რა შეგიძლია, №10. დაკვირვება, №11. საინტერესო, №12. დიდი.

## 6. განმარტეთ ცნებები:

- ინკლუზიური განათლება
- 

- შეფასების სქემა
- 

- პროფესიული უნარ-ჩვევები
- 

- ბავშვთა უფლებები
- 

- სოციალური ინტეგრაცია
-



**7. აღწერეთ სურათი; შექმენით ტექსტი იმის შესახებ, თუ რა აქტივობებს იყენებენ მასწავლებლები პროფესიული განვითარებისთვის:**



**8. მოისმინეთ ტექსტი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:**

ჩემი სასწავლო მიზანია მოსწავლეებთან გამოვიყენო ის აქტივობები, რომლებიც მათ განუვითარებს დამოუკიდებელი \_\_\_\_\_ უნარს. ვფიქრობ, რამდენიმე თვის \_\_\_\_\_ მოსწავლეები შეძლებენ სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას. მე უკვე დავადგინე \_\_\_\_\_, რომლებიც დამეხმარება შედეგების \_\_\_\_\_.

კრიტერიუმების მიხედვით შევადგინე შეფასების \_\_\_\_\_ შეფასების სქემა საშუალებას \_\_\_\_\_ გავააქტიურო არა მხოლოდ განმსაზღვრელი, არამედ \_\_\_\_\_ შეფასებაც. მე გამოვიყენებ სხვადასხვა აქტივობას. მაგალითად, საუბარს, \_\_\_\_\_ პრეზენტაციას, დისკუსიას. მალე დავიწყებ სწავლება-სწავლის პროცესზე დაკვირვებასაც.

**9. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:**

მიმდინარე	კრიტერიუმებთან	დავაკავშიროთ	საშუალებით
ეფექტური	შემაჯამებელი	განსაზღვრავს	

სკოლების \_\_\_\_\_ მუშაობა დაკავშირებულია შეფასების საკითხთან. რატომ არის ეს თემა ასე მნიშვნელოვანი? როგორ უნდა გამოვიყენოთ შეფასების მეთოდები და შედეგები? როგორ უნდა \_\_\_\_\_ ერთმანეთთან შეფასება და სწავლების დაგეგმვა? როდის უნდა გამოვიყენოთ განმავითარებელი, განმსაზღვრელი, \_\_\_\_\_ და \_\_\_\_\_ შეფასება? რა მნიშვნელობა აქვს შეფასების პრინციპებს? როგორია სხვა კოლეგების გამოცდილება შეფასებასთან დაკავშირებით? შეფასება სწავლისა და სწავლების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. შეფასება \_\_\_\_\_ საგნის,

მოვლენის ან პროცესის კავშირს მასწავლებლების მიერ დადგენილ \_\_\_\_\_ . შეფასება გვაძლევს ინფორმაციას სკოლის, კლასის, მოსწავლის, მასწავლებლის პროგრესის, წარმატებებისა და არსებული პრობლემების შესახებ. შეფასების \_\_\_\_\_ მასწავლებელს აქვს ინფორმაცია, თუ რამდენად კარგად სწავლობენ მოსწავლეები და რამდენად კარგად ასწავლის თვითონ მასწავლებელი.

№9 პასუხები: №1. ეფექტური, №2. დააკავშიროთ, №3. მიმდინარე, №4. შემაჯამებელი, №5. განსაზღვრავს, №6. კრიტერიუმებთან, №7. საშუალებით.

## 10. დააკავშირეთ სიტყვები:

ნიმუში: შემაჯამებელი შეფასება

<b>შემაჯამებელი</b>	კომპეტენციები
პრაქტიკის	სქემა
შეფასების	თვითანალიზი
მასწავლებლის	შემუშავება
სპეციალური	<b>შეფასება</b>
ერთობლივად	აქტივობები
სასკოლო	დახმარება

## ტესტი II

### 1. ა) წაკითხეთ ტექსტი და დაასათაურეთ:

(5 ქულა)

მასწავლებლის ეფექტური პროფესიული განვითარება გრძელი პროცესია, რომელიც გულისხმობს ტრენინგებს, სხვადასხვა პროგრამაში მონაწილეობას, პრაქტიკასა და უკუკავშირს. მასწავლებელთა წარმატებული პროგრამები აგებულია ისეთ სასწავლო აქტივობებზე, რომლებიც იმეორებს საგაკვეთილო გარემოს და ხელს უწყობს მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების განვითარებას.

მასწავლებლის პროფესიული განვითარების პროგრამებზე მუშაობენ სპეციალისტები, რომლებიც ატარებენ სხვადასხვა ლექციასა და შეხვედრას. ასეთი პროგრამების მიზნებია:

- მასწავლებელთა საგნობრივი ცოდნის გაღრმავება
- მასწავლებელთა უნარ-ჩვევების, დამოკიდებულების განვითარება, რაც ითვალისწინებს სწავლების ახალი მეთოდებისა და ახალი სტრატეგიების შესწავლას
- ახალი ინფორმაციის მიღება
- ინფორმაციისა და ცოდნის გაზიარება მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფებს შორის
- დამწყები მასწავლებლების დახმარება.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება შეიძლება წარმატებული იყოს მხოლოდ ისეთ გარემოში, რომელშიც მათ მხარს უჭერენ. ყველაზე მნიშვნელოვანია, მასწავლებელს ეხმარებოდეს და მხარს უჭერდეს სამინისტრო, სკოლა, კოლეგები. მათთვის მთავარია მასწავლებელთა პროგრესი, რადგან პროფესიული განვითარების შედეგი ამაზე დამოკიდებულია.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, მასწავლებელს ჰქონდეს პროფესიული განვითარებისა და სწავლების მრავალფეროვანი შესაძლებლობა, რომელიც დაკავშირებულია სკოლის დონეზე დაგეგმვასა და ერთმანეთთან თანამშრომლობასთან. მასწავლებელი ჩართული უნდა იყოს სასწავლო გეგმების შემუშავებაში, შეფასების სისტემის ჩამოყალიბებასა და გადაწყვეტილების მიღებაში.

### ბ) შეასრულეთ დავალებები:

პირველი აბზაცის მთავარი სათქმელია:

- ა) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნები
- ბ) ინფორმაცია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების შესახებ
- გ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების მნიშვნელობა.

მეორე აბზაცის მთავარი სათქმელია:

- ა) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნები
- ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების მიზნები
- გ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების შედეგები.

მესამე აბზაცის მთავარი სათქმელია:

- ა) მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი პირობები
- ბ) მასწავლებელთა მონაწილეობის აუცილებლობა სხვადასხვა აქტივობაში
- გ) მასწავლებელთა როლი სხვადასხვა აქტივობის შემუშავებაში.

მეოთხე აბზაცის მთავარი სათქმელია:

- ა) მასწავლებლების მუშაობის ფორმები
- ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის აუცილებლობა
- გ) მასწავლებელთა ხელშეწყობის მნიშვნელობა.

**2. დააკავშირეთ ცნებები და განმარტებები:**

(10 ქულა)

**ცნებები**

1. ინტეგრაცია
2. თვითანალიზი
3. ინკლუზიური
4. შეზღუდული
5. რეკომენდაცია
6. გაუმჯობესება
7. სემესტრი
8. ობიექტური
9. ობიექტური შეფასება
10. შემაჯამებელი შეფასება.

**განმარტებები**

- ა) სასწავლო წლის ნახევარი
- ბ) უკეთესისკენ განვითარება
- გ) სპეციალური საჭიროებების გათვალისწინება
- დ) ითვალისწინებს წლის განმავლობაში მიღებული ცოდნისა და ინფორმაციის შეფასებას
- ე) შეფასება, რომელიც კარგად და ზუსტად ასახავს ცოდნის დონეს
- ვ) ის, რაც უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა პროფესიული განვითარების პროცესში
- ზ) როდესაც მოსწავლეს აქვს ურთიერთობა სხვა მოსწავლეებთან და აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში
- თ) როდესაც მასწავლებელი ანალიზებს თავისი მუშაობის სუსტ და ძლიერ მხარეებს, აფასებს მუშაობის შედეგებს
- ი) ზუსტი შეფასება და სწორი დამოკიდებულება
- კ) როდესაც ადამიანს არ შეუძლია, იმოქმედოს თავისუფლად.

**3. მიუწერეთ ფორმებს შესაბამისი ანტონიმური მნიშვნელობები:**

(5 ქულა)

სასურველი	
მიმდინარე	
დამწყები	
ერთობლივად	
დამოუკიდებელი	

**4. უპასუხეთ შეკითხვებს:**

(5 ქულა)

1. რა როლს თამაშობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროცესში თვითშეფასება?

---



---



---

2. რის მიხედვით აფასებს მასწავლებელი მოსწავლეებს?

---



---



---

**დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგიებისათვის**

3) რას გულისხმობს მასწავლებელთა კარიერული წინსვლის სქემა?

---

---

---

4) რა აქტივობებს იყენებენ მასწავლებლები პროფესიული განვითარების მიზნით?

---

---

---

5) რას გულისხმობს ინკლუზიური განათლება?

---

---

---

**5. დააკავშირეთ ფორმები:**

**(10 ქულა)**

დამოუკიდებელი	სემესტრი
მიმდინარე	ურთიერთობა
მასწავლებლის	უმცირესობები
თანატოლებთან	აზროვნება
სპეციალური	რეკომენდაცია
დამწყები	საჭიროება
ეთნიკური	გარემო
კარიერული	მასწავლებელი
ცოდნის	წინსვლა
უსაფრთხო	გაუმჯობესება

**6. დაასრულეთ წინადადებები:**

**(5 ქულა)**

1. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი არის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს

---

2. სსსმ მოსწავლეს სწავლება-სწავლის პროცესში ხვდება ისეთი პრობლემები

---

3. თვითშეფასების დროს მასწავლებლები ადგენენ

---

4. კათედრის სხდომაზე მასწავლებლები მსჯელობენ

---

5. შეფასება, რომელსაც მოსწავლე იღებს გაკვეთილის პროცესში, არის

---

**7. დაუსვით შეკითხვები ხაზგასმულ სიტყვებს:**

(5 ქულა)

1. სსსმ მოსწავლეს სწავლება-სწავლის პროცესში უჭირს **სპეციალური დახმარების** გარეშე ცოდნის შექმნა.
2. საკუთარი პრაქტიკის **თვითნალიზი** მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნარია.
3. მასწავლებელი ყოველთვის **ასწორებს** მოსწავლეების დავალებებს და წერს ნიშანს.
4. მასწავლებლის კომენტარი შეიძლება იყოს **წერილობითი** და **ზეპირი**.
5. კათედრის სხდომაზე მასწავლებლები ერთად **შეიმუშავენ** შეფასების სქემას.

**8. გადახაზეთ ზედმეტი სიტყვები:**

(5 ქულა)

1. წინსვლა, პროგრესი, გაუმჯობესება, რეკომენდაცია
2. შეფასება, კომენტარი, მასწავლებელი, რეკომენდაცია
3. თემა, საუბარი, პრობლემა, კომენტარი
4. ზეპირი, შემაჯამებელი, განმსაზღვრელი, განმავითარებელი
5. დამოკიდებულებები, ცოდნა, აზროვნება, უნარები.



**9. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:**

(5 ქულა)

- ბატონო თორნიკე, როგორც ვიცი, თქვენ ხართ უფროსი მასწავლებელი თქვენს სკოლაში. ამიტომ თქვენ გეკითხებით, როგორ ფიქრობთ, რამდენად \_\_\_\_\_ მასწავლებელთა \_\_\_\_\_ განვითარებისა და \_\_\_\_\_ წინსვლის სქემასთან დაკავშირებული იდეა?
- დიახ, მე უფროსი მასწავლებელი ვარ და ნამდვილად ვფიქრობ კარიერულ \_\_\_\_\_ ჩემი აზრით, კარიერული წინსვლის \_\_\_\_\_ წარმატებული იდეაა, სკოლებში უნდა იყოს \_\_\_\_\_ და კარგი შედეგი.
- ბატონო თორნიკე, თქვენ რომელ აქტივობებს გეგმავთ თქვენი კარიერული \_\_\_\_\_?
- მე ყველაფერს ვაკეთებ ჩემი პროფესიული \_\_\_\_\_. წლის დასაწყისში \_\_\_\_\_ საფუძველზე შევადგინე წლის გეგმა.

**10. დაგეგმეთ გაკვეთილი, შეავსეთ ცხრილი და ჩამოწერეთ სათანადო აქტივობები და შეფასების ფორმები: (10 ქულა)**

გაკვეთილის თემა	გაკვეთილის მიზანი	აქტივობები	შეფასების ფორმა
		1.	1.
		2.	2.
		3.	3.
		4.	4.
		5.	5.
		6.	6.
		7.	7.
		8.	8.
		9.	9.
		10.	10.

**11. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:**

(10 ქულა)

სარწმუნოა	შემუშავებაში	სანდოა	განმავითარებელი	ობიექტურია	მიზანი	კრიტერიუმების
	გამჭვირვალეა		განმსაზღვრელი			თვითშეფასება

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, შეფასება \_\_\_\_\_, თუ საკითხები და დავალებები კარგადაა ჩამოყალიბებული, ზუსტად არის განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები.

შეფასება \_\_\_\_\_, ანუ დაკავშირებულია მიზანთან. მასწავლებელი აფასებს კონკრეტულად იმას, რის შეფასებასაც იგი ამ შემთხვევაში გეგმავს.

შეფასება \_\_\_\_\_, თუ შეფასების კრიტერიუმები და სქემები კონკრეტულად და ობიექტურად არის შექმნილი.

შეფასება \_\_\_\_\_, თუ მოსწავლეები იღებენ მონაწილეობას შეფასების \_\_\_\_\_ დადგენასა და შეფასების სქემების \_\_\_\_\_.

წერის შეფასებას სკოლაში სხვადასხვა \_\_\_\_\_ აქვს. კონკრეტული მიზნისთვის ვიყენებთ შეფასების ორ ფორმას: \_\_\_\_\_ და \_\_\_\_\_ შეფასებები.

მოსწავლეების ცოდნისა და მათი უნარ-ჩვევების შეფასებისთვის სხვადასხვა საშუალებას, მეთოდს ვიყენებთ. ეს მეთოდებია: ტესტი, მოსწავლის \_\_\_\_\_, მასწავლებლის დაკვირვება, კომენტარი.

№11. პასუხები: №1.სანდოა, №2.სარწმუნოა, №3.ობიექტურია, №4.გამჭვირვალეა, №5. კრიტერიუმების, №6. შემუშავებაში, №7.მიზანი, №8. განმსაზღვრელი, №9. განმავითარებელი, №10. თვითშეფასება.

**12. დალაგეთ დიალოგი ლოგიკური თანმიმდევრობით:**

(5 ქულა)

- თამარ, ამ შემთხვევაში შეფასება სარწმუნოა, რადგან განსაზღვრული გაქვს შეფასების მიზანი და შეფასებაც ზუსტად უკავშირდება აქტივობას.
- რა უნდა გავაკეთო ობიექტური შეფასებისთვის?
- თამარ, რა უნდა შეაფასო? რა მიზანი გაქვს?
- ჩემი მიზანია შევავასო მოსწავლეების ცოდნა და აზროვნების უნარი — ანალიზი, სინთეზი და შეფასება.
- უნდა დაადგინო შეფასების კრიტერიუმები, შეიმუშავე ტესტის შეფასების სქემა და მოსწავლეთა დავალებები შეაფასე სქემის მიხედვით. ამ შემთხვევაში შენი შეფასება იქნება ობიექტური.
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნით ავირჩიე შემაჯამებელი დავალება, ჩემი შეფასების მეთოდი იქნება ტესტი.
- ნინო, რა უნდა გავითვალისწინო, რომ ჩემი შეფასება იყოს ეფექტური?

№12 პასუხები: №1. ნინო... №2. თამარ, №3. ჩემი, №4. თამარ ამ, №5. რა უნდა, №6. უნდა.



**13. მოსმინეთ დიალოგი და დაასრულეთ წინადადებები:**


(10 ქულა)

- ქალბატონო თამარ, რომელ აქტივობებს იყენებთ \_\_\_\_\_?
- საჭიროებიდან გამომდინარე ვიყენებ დაკვირვებას, \_\_\_\_\_ მე ხშირად \_\_\_\_\_.
- რომელი აქტივობის გამოყენებას გეგმავთ ხვალ?
- ხვალ მაქვს სასწავლო ჯგუფებთან შეხვედრა და უნდა ვიმსჯელოთ თემაზე \_\_\_\_\_.
- რა მიზანი აქვს სასწავლო ჯგუფების მუშაობას?
- სასწავლო ჯგუფების შექმნის მიზანია სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების შესახებ თეორიული ცოდნისა და პროფესიული გამოცდილების შექმნა. სასწავლო ჯგუფებში მასწავლებლები \_\_\_\_\_.

- რას გეგმავეთ წლის ბოლოს?
- თბილისში, „მასწავლებლის სახლში“, ტარდება კონფერენცია და მე \_\_\_\_\_

14. აღწერეთ სურათები, შექმენით ტექსტები და დაასათაურეთ:

(10 ქულა)




---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---



## მოსასმენი დიალოგები

### I თავი – ბაკვეთილის პროცესი

#### პირველი თავის პირველი ბაკვეთილია მე-5 სავარჯიშო

##### 1.5. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- სანდრო!
- დიას.
- რომელი **საგანი** მოგწონს?
- მე... მე მომწონს **საბუნებისმეტყველო** საგნები.
- მაინც რომელი?
- **ყველა** საბუნებისმეტყველო საგანი: **ფიზიკა**, ქიმია და **ბიოლოგია**, მაგრამ ყველაზე ძალიან მაინც ფიზიკა მომწონს.
- რატომ?
- იმიტომ, რომ გაკვეთილები ყოველთვის საინტერესო და **სახალისოა**.
- ეს როგორ?
- ძალიან კარგი მასწავლებელი გვყავს ფიზიკაში. ისე საინტერესოდ **ლაპარაკობს**, ყოველთვის ბევრ რამეზე საუბრობს გაკვეთილის დროს. ჩვენც **თავისუფლად ვმსჯელობთ** სხვადასხვა პრობლემაზე. კლასში ბევრს ვმეცადინებთ. ასე მგონია, რომ ფიზიკა ძალიან ადვილი საგანია.
- ჰმ, საინტერესოა.

#### პირველი თავის მეორე ბაკვეთილის მე-6 სავარჯიშო:

##### 2.6. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ქალბატონო ლანა, დიდი მადლობა საინტერესო ლექციისთვის, თუ შეიძლება, ერთი შეკითხვა მაქვს.
- დიას, გისმენთ.
- თქვენ საუბრობდით გაკვეთილის გეგმაზე, აუცილებელია თუ არა გეგმაში აქტივობების **დეტალური** აღწერა?
- დიდი მადლობა შეკითხვისთვის, აქტივობების დეტალური აღწერა დაეხმარება მასწავლებელს გაკვეთილის პროცესში. ეს არის წარმატებული გაკვეთილის **საფუძველი**. კარგი მასწავლებელი ყოველთვის **ითვალისწინებს**, როგორ უნდა იმუშაოს მოსწავლეებთან. კარგმა მასწავლებელმა ყოველთვის იცის, როდის რა უნდა გააკეთოს. პირველ რიგში, მასწავლებელმა უნდა იფიქროს იმაზე, თუ რომელი **აქტივობა** რა უნარ-ჩვევას **განუვითარებს** მოსწავლეს.
- ქალბატონო ლანა, მეც მაქვს ერთი შეკითხვა, რა შეიძლება იყოს გაკვეთილის მთავარი მიზანი?
- სასწავლო **მიზნებზე** ფიქრისას აუცილებელია შემდეგის გათვალისწინება: გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები: ისწავლიან, იმსჯელებენ, **გაითვალისწინებენ**, გამოიყენებენ, **დაგვეგმავენ**, აღწერენ და ა. შ. გაკვეთილის მიზანია, მოსწავლეს განუვითაროს დამოუკიდებელი **აზროვნებისა** და დამოუკიდებელი **მსჯელობის** უნარ-ჩვევები...
- რამდენი წელი ასწავლიდით სკოლაში?
- მე სკოლაში ვმუშაობდი 2003 წლიდან 2010 წლამდე, ვიყავი **პრაქტიკოსი** და უფროსი მასწავლებელი, ახლა ვმუშაობ განათლების ცენტრში სხვადასხვა პროექტებზე...
- დიდი მადლობა, ქალბატონო ნინო.

#### პირველი თავის მესამე ბაკვეთილის მე-7 სავარჯიშო:

##### 3.7. მოისმინეთ დიალოგები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- I.
  - ქალბატონო ფატი, როგორი მოსწავლეა ჩემი შვილი?
  - გიორგი ძალიან ჭკვიანი ბიჭია, ბევრს მუშაობს და კარგი შედეგებიც აქვს.
  - როგორ მიხარია, საშინაო დავალებებს კარგად აკეთებს?
  - კი, კი, გაკვეთილებზე ყოველთვის **პასუხობს** ჩემს შეკითხვებს, ყოველთვის თავისუფლად მსჯელობს. გაკვეთილის პროცესში ყოველთვის **აქტიურია**.
  - დიდი მადლობა, ქალბატონო ფატი.

II.

- ნატალია, როგორ მიდის საქმეები?
- კარგად, მადლობა, ვმუშაობ ხვალინდელი გაკვეთილის გეგმაზე.
- რა თემაზე გაქვს გაკვეთილი?
- ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი“, პერსონაჟების **დახასიათება**. ახლა ვფიქრობ, რა აქტივობებს **გამოვიყენებ** გაკვეთილის დროს.
- კი, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, თუ როგორ **დააკავშირებენ** მოსწავლეები ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პერსონაჟებს.

III.

- ბატონო გოგი, სახლში არ მიდიხარ?
- არა, ცოტა ხანს ვიმუშავე კიდევ, ხვალ ახალი თემა მაქვს, ხომ იცი, მათემატიკა რთული საგანია.
- კი ვიცი, მაგრამ თქვენი გაკვეთილები ბავშვებს ძალიან უყვართ.
- მადლობა, მადლობა, ჩემო ნინო, მე ყოველთვის **კარგად** ვგეგმავ გაკვეთილს, ახლაც ამას ვაკეთებ. ვფიქრობ, როგორ **წავახალისებ** ბავშვებს, რომ საინტერესო იყოს მათთვის, თან **შეფასებაზე** ვფიქრობ, ხვალ **ვიმსჯელებთ** ერთ საინტერესო პრობლემაზე და მის **გადაჭრაზე**. ჰო, კიდევ აუცილებელია საშინაო დავალების შემოწმება... ბევრი საქმე მაქვს, ბევრი...
- კარგი, ნახვამდის.

## II თავი – მოსწავლის აზროვნება, ინტელექტი და კომუნიკური განვითარება

### მეორე თავის პირველი გაკვეთილის მე-4 სავარჯიშო:

#### 1.4. მოუსმინეთ დიალოგს და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ბატონო ლადო, თუ შეიძლება, ისაუბრეთ თქვენს სკოლაზე.
- ჩვენს სკოლაში 800 მოსწავლე სწავლობს. ჩვენთან 70 მასწავლებელი მუშაობს. მაგრამ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც **ითვალისწინებენ** ერთმანეთის აზრს და ყოველთვის თანამშრომლობენ.
- თქვენს სკოლაში ბევრი წარმატებული მოსწავლე სწავლობს და, თქვენი აზრით, რა ახდენს გავლენას მოსწავლეების მოტივაციაზე?
- ჩვენი მასწავლებლები მუშაობენ თანამედროვე მეთოდებით და **ფიქრობენ** თავიანთ მოსწავლეებზე. სასწავლო პროცესში ისინი ყოველთვის იყენებდნენ მრავალფეროვან აქტივობებს, სხვადასხვა სტრატეგიას, მუდმივად ითვალისწინებდნენ მოსწავლეების შესაძლებლობებსა და სურვილებს, რაც დიდ გავლენას **ახდენდა** მოსწავლეების წარმატებებზე ცხოვრებაში. მასწავლებლები და მოსწავლეები ყოველთვის ერთად მუშაობდნენ სხვადასხვა პროექტზე და ერთად **თანამშრომლობდნენ**.
- ითვალისწინებს თუ არა თქვენი სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს?
- კი, კი, რა თქმა უნდა, ჩვენი ერთ-ერთი ასეთი მიზანია მოსწავლეებში **კრიტიკული** და **შემოქმედებითი** აზროვნების განვითარება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეს აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი და დამოუკიდებლად იღებს **გადაწყვეტილებას**. შეიძლება ითქვას, ჩვენ ახალგაზრდებს ვამზადებთ ცხოვრებისთვის.
- დიდი მადლობა, ბატონო ლადო, გისურვებ წარმატებას.
- თქვენც დიდი მადლობა.

### მეორე თავის მეორე გაკვეთილის მე-4 სავარჯიშო:

#### 2.4. მოუსმინეთ მოსწავლეებს და განსაზღვრეთ, რა ტიპის ინტელექტი აქვს თითოეულ მათგანს. პასუხები დაასაბუთეთ.

- ა) მე ვარ ლიკა და ძალიან მიყვარს მუსიკა. დავდივარ მუსიკალურ სკოლაში. დიდი რომ ვიქნები, ვივლი კონსერვატორიაში და ახალ სიმღერებს დავწერ.
- ბ) მე ვარ სანდრო და ჩემი საყვარელი საგანია მათემატიკა. სკოლაში ყველაზე მეტად მათემატიკის გაკვეთილი მომწონს. კიდევ ძალიან მინდა, ძალი მიყავდეს.
- გ) მე ვარ ნუცა და ძალიან მიყვარს ყვავილების ხატვა. მაქვს ფერადი ფანქრები, საღებავები და როცა დრო მაქვს, ყოველთვის ვხატავ. ხანდახან მე და ჩემი მეგობრები ერთად ვხატავთ ან ვაკეთებთ ფიგურებს.
- დ) მე ვარ ლუკა და ძალიან მიყვარს ფეხბურთი. ერთხელ დედაჩემმა თქვა, რომ მე ძალიან აქტიური ბავშვი ვარ, ამიტომ ახლა ცეკვაზეც დავდივარ და ხშირად მაქვს კონცერტები.

**მეორე თავის მეორე ბაკვეთილის მე-6 სავარჯიშო:**

**2.6. მოუსმინეთ დიალოგს და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:**

- გამარჯობა, ელისო, შემოდი.
- დილა მშვიდობისა, ქალბატონო ნაზი.
- ელისო, ლევან მაისურაძე შენს კლასშია?
- კი, ჩემი მოსწავლეა, მე-ნა კლასში სწავლობს.
- როგორი მოსწავლეა? გუშინ დედამისი იყო ჩემთან, დიდხანს ვსაუბრობდით.
- შეიძლება ითქვას, რომ ლევანი **განსხვავებული** ბავშვია, სხვებს არ ჰგავს, ისე არ **იქცევა**, როგორც სხვა ბავშვები და **ნაკლებად** აქტიურია. თავიდან ვფიქრობდი, რომ საშინაო დავალებებს არ აკეთებდა და არ სწავლობდა ახალ მასალას, მაგრამ შემდეგ სასწავლო პროცესში დავინახე, რომ ლევანი ძალიან ჭკვიანი ბიჭია. მას მხოლოდ ჩემი დახმარება **სჭირდება**. ლევანმა ბევრი რამე იცის, უყვარს სწავლა, ახალი ინფორმაციის მიღება. კარგად **აკავშირებს** ძველ და ახალ მასალას.
- კარგი ნიშნები ჰყავს?
- კი, ძალიან კარგად სწავლობს და კარგ **შეფასებებსაც** იღებს.
- ესე იგი უყვარს სწავლა.
- დიახ, უბრალოდ არ შეუძლია ბავშვებთან დიდ ჯგუფში მუშაობა, უფრო **დამოუკიდებლად** აზროვნებს, ამიტომ როდესაც ვგეგმავ გაკვეთილს, ყოველთვის **ვითვალისწინებ** ლევანის შესაძლებლობებსა და **მოტივაციას**, მისი მუშაობის ფორმას. მაგალითად, მას უყვარს მუსიკა, კარგად **უკრავს** ფორტეპიანოზე, ასევე **უყვარს** ბუნება, შარშან მთელი წელი აკეთებდა ბუნების კუთხეს ჩვენი კლასისთვის, ამიტომ ლევანთან მუშაობის დროს ყოველთვის სხვადასხვა **საშუალებას** ვიყენებ.
- საინტერესოა, დიდი მადლობა, ელისო, ახლავ დავურეკავ ლევანის მშობელს.
- კარგი, ნახვამდის.

**მეორე თავის მესამე ბაკვეთილის მე-2 სავარჯიშო:**

**3.2. მოუსმინეთ ტექსტს და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:**

**თეა:**

მე ვარ თეა, 14 წლის. დღეს თბილისში ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა „ქუჩის ბავშვები“. ისინი ცხოვრობენ და მუშაობენ ქუჩაში, მაგრამ ეს მათი **სურვილი** არაა. არც სკოლაში დადიან. თბილისში, ჩემს სახლთან ახლოს მეტროა. სკოლაში მეტროთი დავდივარ. მეტროში ბევრი ასეთი ბავშვია. ისინი მთელი დღე დადიან მატარებლიდან მატარებელში და **დახმარების** მიღება უნდათ. მე უკვე ვიცი 13 წლის ლალის. ძალიან კარგი, კეთილი და **ცნობისმოყვარე** გოგოა. მინდა ჩემთან ერთად ცხოვრობდეს სახლში. იმედია, დედა **გაითვალისწინებს** ჩემს სურვილს. მე ვფიქრობ, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა საქართველოში და ჩვენ აუცილებლად უნდა ვიფიქროთ ასეთ ადამიანებზე. ყველაფერს უნდა გავაკეთოთ ის, **რაც** ჩვენთვის მნიშვნელოვანია.

პროფესორი:

თქვენ მოისმინეთ თეას საუბარი, როგორც უკვე იცით, თეა 14 წლის გოგოა. თეას აქვს თავისი აზრი და ის ფიქრობს ასეთ საკითხებზე. თეასთვის მართლ პრობლემა კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ ის ფიქრობს ამ პრობლემის **გადაჭრაზეც**. თეა ლაპარაკობს 13 წლის გოგონაზე და კარგად იცის, თუ რა **სჭირდება** მას. თეა ფიქრობს, რომ ეს ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, მას აქვს ანალიზის უნარი. ის მსჯელობს **ლოგიკურად**. ფორმალური ოპერაციების სტადია - შეიძლება ითქვას, რომ **კოგნიტური** განვითარების სწორედ ამ **სტადიაზეა** ახლა თეა.

**III თავი – აზროვნება, მოსწავლის აზროვნებისა და განვითარების დონეები**  
**მესამე თავის პირველი ბაკვეთილის მე-2 სავარჯიშო:**

**1.2. მოუსმინეთ დიალოგს და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:**

- ბატონო დავით. ძალიან კარგია, რომ ახლა თქვენ იქნებით ჩემი კლასის მასწავლებელი, რომ თქვენ შეხვალთ მერვე კლასში.
- დიდი მადლობა. ქალბატონო ნესტან, თქვენ რამდენი წელი იმუშავეთ ამ ბავშვებთან?
- ამ ბავშვებს მეხუთე კლასიდან ვასწავლიდი, კარგი კლასია, შედეგები არც ისე მაღალია, თუმცა მათთან მუშაობა ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ მოსწონთ ერთად მუშაობა, მოსაზრებების **გაზიარება**, პრობლემებზე **მსჯელობა**. ისინი არიან დამოუკიდებლები და შეუძლიათ კრიტიკულად **აზროვნება**, დამოუკიდებლად სწავლა, ცოდნის **გაგება-გააზრება**. მათ ასევე შეუძლიათ ცოდნის **შენარჩუნება** და მიღებული ცოდნის **პრაქტიკაში** გამოყენება.
- მართლა? ძალიან საინტერესოა. როგორც ჩანს, **ბეჭითი** და **ჭკვიანი** ბავშვები არიან.
- კი, კი, ნამდვილად ასეა.

- ახლა უკვე კარგად გავიარე, როგორ ვიმუშავე ამ კლასთან. გაკვეთილზე აუცილებლად გამოვიყენებ ერთდროულად რამდენიმე აქტივობას და, ალბათ, ეს იქნება ყველაზე სწორი.
- კი, რა თქმა უნდა.
- კიდევ ერთხელ დიდი მადლობა.

## მესამე თავის მეორე გაკვეთილის მე-6 სავარჯიშო:

### 2.6. მოისმინეთ ტექსტი და ჩასვით სიტყვები:

ქვირფასო სტუდენტებო, ჩვენ უკვე გავიმეორეთ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მთავარი პრინციპი. ყველა გაკვეთილი მოსწავლის **განვითარებაზე** უნდა იყოს ორიენტირებული. ახლა მინდა ვისაუბრო ჩემს **გამოცდილებაზე**, როგორ ვეხმარები მოსწავლეებს აზროვნების უნარების განვითარებაში. განვითარების ეს პროცესი მიდის პრინციპით **მარტივიდან** რთულისკენ.

პირველი დონე – ეს არის ცოდნის დონე. განვითარების ამ სტადიაზე მოსწავლეები იგებენ გაკვეთილის **მიზანს**, ამ დროს აუცილებელია წინარე ცოდნის **გახსენება**. ამავე დონეზე მოსწავლეები იღებენ და იგებენ ახალ ინფორმაციას.

შემდეგი დონე არის გაგება. პირველ რიგში, აუცილებელია ახალი მასალის გაგება, **გააზრება**, რთული ამოცანების **ამოხსნა**. ამისათვის ვიყენებ სხვადასხვა საშუალებას. მოსწავლეებს **შეუძლიათ** ტექსტის დამოუკიდებლად კითხვა.

მესამე დონეა – გამოყენება – ამ დონეზე მოსწავლეები მიღებულ ინფორმაციას **იყენებენ** პრაქტიკაში.

მეოთხეა **ანალიზის** დონე და უფრო **რთული** სტადიაა. ამ დონეზე მოსწავლეებელი სვამს შეკითხვებს და იღებს მოსწავლეების პასუხებს. მოსწავლეებს შეუძლიათ სხვადასხვა **ინფორმაციის** დაკავშირება.

## მესამე თავის მესამე გაკვეთილის მე-3 სავარჯიშო:

### 3.3. მოუსმინეთ დიალოგს და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- გამარჯობა, ქალბატონო ნათელა, როგორ ბრძანდებით? როგორ მიდის საქმეები?
- გმადლობ, კარგად, შენ როგორ ხარ, ნინო? რთული ხომ არ არის ახალ კლასთან მუშაობა?
- კი, ცოტა **რთულია**, ყველა ბავშვი განსხვავებულია, განვითარების სხვადასხვა დონე აქვთ, ზოგი მარტივად სწავლობს, ზოგს ჩემი დახმარება სჭირდება, ზოგს კი საერთოდ არ შეუძლია **დამოუკიდებლად** მუშაობა. მაგალითად, ნიკა ლაშქარაშვილმა გუშინ ერთი წინადადებაც ვერ **წაიკითხა**, გაკვეთილის შემდეგ მართლ მასთან ვიმუშავე; გუშინ მეორე მოსწავლემაც ვერ **ამოხსნა** ერთი ამოცანა, ამიტომ მთელი გაკვეთილი მასთან ერთად ყველანი **ვაგრძელებდით** ასეთი ტიპის ამოცანებზე მუშაობას.
- არა უშავს, ჯერ ახალი ხარ ჩვენს სკოლაში, მალე შეძლებ ყველა პრობლემის **გადაჭრას**, მთავარია, რომ გაითვალისწინო ყველა მოსწავლის **განვითარების** დონე, მათი **შესაძლებლობები**, უნარ-ჩვევები, მოტივაცია, სურვილები.
- დიახ, დიახ, დიდი მადლობა.
- ჰო, კიდევ **მნიშვნელოვანია** ერთი რამ: როდესაც მოსწავლეებს ხვდებით **სირთულეები** და ისინი ფიქრობენ ამაზე, მათი განვითარება წინ მიდის და ისინი უფრო მეტ ცოდნას იღებენ და **აგროვებენ**. რა თქმა უნდა, მოსწავლეების **დახმარებით**, ჩემი აზრით, შენ კარგი მოსწავლეები ხარ; მე ეს ვიცი, მე დიდი გამოცდილება მაქვს.
- დიდი მადლობა, ქალბატონო ნათელა.

## შემაჯამებელი I

### 3. მოისმინეთ დიალოგი და დაასრულეთ წინადადებები:

- გამარჯობა, ქალბატონო ლია, კათედრის წევრებთან მინდა შეხვედრა.
- სიამოვნებით. რა არის შეხვედრის მიზანი?
- კონსტრუქტივისტული გაკვეთილი და **გამოცდილების გაზიარება**.
- თამარ, თქვენ ატარებდით ასეთ გაკვეთილებს თქვენს ძველ სკოლაში?
- დიახ, ქალბატონო ლია, სწავლის პროცესში მე ყოველთვის ვეხმარებოდი **მოსწავლეებს** და **ვითვალისწინებდი მათს ინტერესებს**. ახლა მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად ცოდნის აგება და ახალი ინფორმაციის **დაკავშირება წინარე ცოდნასთან**. მე მიხარია, რომ მათ შეუძლიათ ანალიზი, აზრის თავისუფლად **ჩამოყალიბება და სხვებისთვის გაზიარება**.
- ესე იგი მოსწავლეებს აქვთ მოტივაცია?
- რა თქმა უნდა, **საინტერესო გაკვეთილები ზრდის მოსწავლის** მოტივაციას. მათთვის საინტერესო აქტივობებში მოსწავლეები ყოველთვის ხალისით მონაწილეობენ.
- კარგი, თამარ, დიდი მადლობა.

**6. მოისმინეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:**

მე ვარ ანასტასია აბესაძე, მათემატიკის მასწავლებელი და ვმუშაობ მე-16 სკოლაში. ჩემი მიზანია, დავეხმარო მოსწავლეებს კოგნიტურ განვითარებაში. სწავლების პროცესში მოსწავლეები კოგნიტური განვითარების სტადიებს თანმიმდევრობით გაივლიან. მე აქტიურად ვთანამშრომლობ მოსწავლეებთან. გაკვეთილის დაგეგმვისას ვითვალისწინებ მოსწავლეთა არსებულ ცოდნას, შესაძლებლობებს, ინტერესებს. ვეხმარები მოსწავლეებს ახალი ცოდნისა და გამოცდილების მიღებაში. ვაძლევ შესაძლებლობას იყვნენ დამოუკიდებელი და შეძლონ დავალებების შესრულება.

შარშან ჩემს ერთ მოსწავლეს ჰქონდა პრობლემა: გაკვეთილზე ვერ ამოხსნა რთული ამოცანა; მას განვითარებული ჰქონდა ინტრაპერსონალური ინტელექტი და ამიტომ ვერც სხვა მოსწავლეებთან ითანამშრომლა. მე დავეხმარე მას, მთელი დღე ერთად ვიმუშავეთ და შემდეგ მან იპოვა პრობლემის გადაჭრის გზა.

ზოგჯერ სწავლის პროცესში მოსწავლეებს აქვთ გარკვეული სირთულეები. მაგალითად, ისინი დგებიან ისეთი ახალი ამოცანების წინაშე, რომელთა გადაჭრისთვის საკმარისი გამოცდილება არ აქვთ. ასეთ დროს მოსწავლეები ვერ ასრულებენ დავალებებს. მე ვეხმარები მათ და ამისთვის ჯერ ვადგენ მოსწავლეების განვითარების დონეს. საჭიროების მიხედვით ვიყენებ მოსწავლის შესაძლებლობას, ცოდნას, ამით ვითარდება მოსწავლის უახლოესი განვითარების ზონა. სწავლის პროცესში მოსწავლე იღებს საკმარის ცოდნას, უნარ-ჩვევებს, იღებს გამოცდილებას და მზად არის, შეასრულოს უფრო რთული დავალებები.

**ტესტი**

**7. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:**

(5 ქულა)

- ეკა, როგორ ხარ?
- კარგად, შენ როგორ ხარ? გუშინ შენმა ძმამ **ამოხსნა** ის ამოცანა?
- კი, დამეხმარა, მაგრამ ძალიან **რთული** ამოცანა იყო.
- ჰო, მათემატიკის მასწავლებელმაც ხომ ასე თქვა.
  
- ბენუამენ ბლუმი არის ის, ვინც ამბობს, რომ მხოლოდ ცოდნის მიღება და **დაგროვება** არ არის საკმარისი. აუცილებელია, მოსწავლემ **იაზროვნოს**.
- ქალბატონო ნათია, ერთი შეკითხვა მაქვს: რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა იმისთვის, რომ მოსწავლემ შეძლოს წინარე ცოდნის **გახსენება**?
- ლევან, დიდი მადლობა ამ **შეკითხვისთვის**; მასწავლებელმა ამისთვის უნდა გამოიყენოს მრავალფეროვანი აქტივობა.

**11. მოისმინეთ ტექსტი და შეასრულეთ დავალება:**

**სასწავლო გეგმის მნიშვნელობა და პრინციპები**

თანამედროვე კონსტრუქტივისტული გაკვეთილის მიზანია მოსწავლემ შეიძინოს ცოდნა და მისთვის საჭირო უნარ-ჩვევები. ამიტომ მასწავლებელმა გაკვეთილი უნდა ააგოს მოსწავლის ინტერესების, მისი წინარე ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით. ამისთვის კი აუცილებელია გაკვეთილის დაგეგმვა. ეროვნული სასწავლო გეგმით მასწავლებელმა უნდა იცოდეს, თუ როგორ დაგეგმოს გაკვეთილი და რა პრინციპები გაითვალისწინოს მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის ჩატარების დროს.

სასწავლო პროცესში მასწავლებლები რამდენიმე სხვადასხვა გეგმას ადგენენ, ესენია: მთელი წლის სამუშაო გეგმა, გეგმა თემების მიხედვით, ასევე კვირისა და გაკვეთილის გეგმები. მიუხედავად ამისა, კონკრეტული საგნის რამდენიმე გეგმას აკავშირებს ერთი მიზანი - მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ამისთვის კი სხვადასხვა გაკვეთილის დროს და სხვადასხვა გეგმის მიხედვით მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს მრავალფეროვანი სტრატეგია და მოსწავლისთვის საინტერესო აქტივობა.

წლის გეგმაში მასწავლებელი ითვალისწინებს საგნის მიზნებს, ცოდნას, რომელიც მოსწავლემ უნდა შეიძინოს და შედეგებს, რომლებიც მასწავლებელმა უნდა მიიღოს სასწავლო წლის ბოლოს.

თემის გეგმაში ინფორმაცია გვაქვს იმ თემების შესახებ, რომლებიც უნდა ისწავლონ მოსწავლეებმა სკოლაში სწავლის დროს. ამ გეგმის ნაწილებია: თემა; თემის მიზანი, ამოცანები და შედეგები; თემის სწავლისთვის საჭირო საკლასო საშუალებები; შეფასების მეთოდები.

კვირის გეგმა არის მოკლე და კონკრეტული და მასში არის ინფორმაცია კვირის გაკვეთილების თემებისა და კონკრეტული სტრატეგიების შესახებ.

გაკვეთილის გეგმა აღწერს სწავლების პროცესს კონკრეტული გაკვეთილის დაწყებიდან გაკვეთილის ბოლომდე. გაკვეთილის გეგმაზე მუშაობის დროს მასწავლებელმა ასევე უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა, მათი შესაძლებლობა და

ინტერესი. შეიძლება ითქვას, რომ გაკვეთილის გვერდის საშუალებით მასწავლებელს შეუძლია დაგვეგმოს წარმატებული გაკვეთილი და მიიღოს კარგი შედეგი.

**IV თავი – მოსწავლის მოტივაცია და სასკოლო გარემო**

**მეოთხე თავის პირველი გაკვეთილის მე-6 სავარჯიშო:**

**1.6. მოუსმინეთ დიალოგს და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:**

ა)

– **ლიკა, როგორ ხარ? ახლა სკოლიდან მოდიხარ?**

– კი, სკოლიდან მოვდივარ.

– **კარგი იყო სკოლაში? რა გააკეთეთ ისტორიის გაკვეთილზე?**

– ხომ იცი, ისტორიის გაკვეთილი როგორ მიყვარს! ძალიან კარგი მასწავლებელი გყავს, დიტო შველიძე და მისი გაკვეთილები ყოველთვის ძალიან საინტერესოა.

– **რატომ? რატომ არის ისტორიის მასწავლებელი ასეთი კარგი?**

– გაკვეთილზე თავისუფლად ვართ, აქტიურად ვმონაწილეობთ ყველა აქტივობაში, მასწავლებელიც პატივს სცემს მოსწავლეებს, ყოველთვის წაგვახალისებს, რომ კარგად ვისწავლოთ, გამოვთქვათ ჩვენი აზრი. მისთვის მნიშვნელოვანია ჩვენი დამოუკიდებელი აზროვნება.

– **კარგ ნიშნებს წერს?**

– კი, ვინც კარგად მუშაობს, კარგი შეფასებებიც აქვს. მასწავლებელი ხშირად აქვებს მოსწავლეებს და ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

– **ხვალისთვის ბევრი დავალება გაქვს?**

– ხვალ პრეზენტაცია გვაქვს. მე და ჩემი მეგობარი ერთად მოვამზადებთ პრეზენტს, დავეხმარებით ერთმანეთს. გიორგი კარგი ბიჭია, კარგი თვისებები აქვს.

– **კარგი, წარმატებები.**

– გმადლობ, შენც.

**მეოთხე თავის მეორე გაკვეთილის მე-6 სავარჯიშო:**

**2.6. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:**

– ალექსანდრე, როგორი შეფასება მიიღე? როგორი იყო მასწავლებლის კომენტარი?

– ძალიან კარგი. აი, როგორია ჩემი კომენტარი:

„ალექსანდრე, ეს ტექსტი ბევრად კარგია. მსჯელობა კარგად არის **განვითარებული**, რაც ძალიან მომწონს. ყველა პერსონაჟზე **თანმიმდევრულად** და საინტერესოდ საუბრობ. შენი მსჯელობა **ლოგიკურია**. ეს **ნიშნავს**, რომ შენ ითვისებ ჩემს **კომენტარებს** და ეფექტურად იყენებ წინარე ცოდნას.“

– მარიამ, თქვენი მასწავლებელი ვინ არის და როგორია?

– ჩვენი მასწავლებელია ლანა ზაუტაშვილი. ლანა მასწავლებელი ბავშვებს ყოველთვის დიდ **ყურადღებას** აქცევს. **ნახეთ** მისი კომენტარი:

„მარიამ, შენ კარგად ავითარებ მსჯელობას და კარგად აკავშირებ **ერთმანეთთან** სხვადასხვა პრობლემას, რაც ძალიან **ეფექტურია**, შენ ნამდვილად კარგი შედეგები გაქვს. ხანდახან შენთვის **რთულია** ახალი სიტყვების დასწავლა და საჭირო დროს მათი გახსენება. მინდა, რომ უფრო ხშირად გაითვალისწინო ძველი **შეცდომები** და ყურადღება **მიაქციო** ჩემს სიტყვებს.“

**მეოთხე თავის მესამე გაკვეთილის მე-7 სავარჯიშო:**

**3.7. მოისმინეთ მასწავლებლების საუბარი; შემდეგ წაიკითხეთ და მიუთითეთ, როგორი ტიპის საკლასო გარემოზე საუბრობს თითოეული მათგანი? რატომ ფიქრობთ ასე? პასუხი დაასაბუთეთ:**

1) ხშირად კლასში ყველა მოსწავლე არ არის ჩართული გაკვეთილის პროცესში; მათ აქვთ თავისუფალი დრო და ამიტომ ისინი საუბრობენ; აქტივობების დაგეგმვისას ვითვალისწინებ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებსა და სურვილებს; ვფიქრობ იმაზე, თუ რა სჭირდება მათ. თითოეული აქტივობის მიხედვით ვსაზღვრავ, რამდენი დრო დასჭირდებათ ბავშვებს დავალების შესრულებისთვის. ძალიან მეხმარება სკოლაში არსებული მრავალფეროვანი რესურსები.

## დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგებისათვის

2) გაკვეთილზე თითოეული მოსწავლე განსხვავებულად იქცევა. ზოგი ყურადღებას არ აქცევს მასწავლებელს, ზოგი საშინაო დავალებას კლასში აკეთებს, ზოგი სხვა რამეზე ფიქრობს, ზოგი კი ჩართულია სასწავლო პროცესში. იმისათვის რომ მოსწავლეთა სხვადასხვანაირი ქცევა არ იყოს პრობლემა, მასწავლებელმა ყველა აქტივობა კარგად უნდა გაიაზროს და დაგეგმოს. სასწავლო გარემო უნდა იყოს ორგანიზებული, გაკვეთილი უნდა დაიწყოს და დასრულდეს თავის დროზე.

3) ჩემს კლასში ყველა მოსწავლეს აქვს საშუალება, თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი, მონაწილეობა მიიღოს დისკუსიაში. მოსწავლეების დავალებებში ვბოლობ შეცდომებს, ვუწერ კომენტარებს, ეს ჩემი უკუკავშირია და ვფიქრობ, რომ ასეთი სამუშაო მოსწავლის წარმატების აუცილებელი ფაქტორია. მე ხშირად ვახალისებ და ვაქვებ მოსწავლეებს, რადგან ვიცი, რომ სასიამოვნო და კეთილგანწყობილი გარემო ყოველთვის უფრო ეფექტურია.

### V თავი – სწავლების ფორმები და კლასის მართვა

#### მეხუთე თავის პირველი გაკვეთილის მე-6 სავარჯიშო:

##### 1.6. მოისმინეთ დიალოგები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

1)

- ირინა, გამარჯობა,
- როგორ ხარ?
- კარგად, გუშინ მეგობართან ვიყავი და ვისაუბრეთ სკოლაზე.
- მშობლები **ხშირად** სკოლასა და შვილების განათლებაზე საუბრობენ.
- კი, რა თქმა უნდა, ჩემი მეგობარი ამბობს, რომ მისი შვილის სკოლაში მასწავლებლები დიდ ყურადღებას აქცევენ **დამოუკიდებელი** აზროვნების განვითარებას და ბავშვებსაც ძალიან მოსწონთ სასწავლო პროცესი. **ადვილად** სწავლობენ.
- კი, ბავშვებს მოსწონთ, როდესაც გაკვეთილი საინტერესოა და სახალისო, ჩემს კლასში ბავშვებს უყვართ **ჯგუფური** მუშაობა და ეს უფროა მათ არა მხოლოდ დამოუკიდებელ, არამედ სოციალურ აზროვნებასაც. მეც ასე უფრო ადვილად **ვადწევ** გაკვეთილის მიზანს. რაც ყველაზე კარგია, მოსწავლეები გრძნობენ **პასუხისმგებლობას** და ერთად მონაწილეობენ სასწავლო პროცესში.
- ძალიან ძნელია ეს პროცესი, მაგრამ საინტერესოა.

2)

- ქალბატონო რუსუდან, თუ შეიძლება, ერთი **შეკითხვა** მაქვს.
- გისმენთ, ლექსო.
- ჩვენ ვისწავლეთ, რომ დამოუკიდებელი, კონკურენტული და თანამშრომლობითი სწავლება შესანიშნავია მოსწავლეებში **მოტივაციის**, ინტერესის გაზრდისთვის.
- სწორია, კიდევ რა არის მნიშვნელოვანი?
- კიდევ ცოდნის ათვისება და **სოციალური** აზროვნების განვითარება. ჩემთვის **ძნელია**, გავიგო, რა არის სოციალური აზროვნების მთავარი პრინციპი?
- ლექსო, ძალიან საინტერესო შეკითხვაა, მაგრამ ჯერ ვისაუბროთ **კრიტიკულ** აზროვნებაზე. რა არის კრიტიკული აზროვნება?
- კრიტიკული აზროვნება **ნიშნავს** ცნობისმოყვარეობას, შეკითხვების ჩამოყალიბებას და მათზე პასუხის პოვნას; მოსწავლე **თავისუფლად** მსჯელობს, აყალიბებს თავის მოსაზრებებს, მსჯელობს პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე, დასკვნაზე.
- აქედან **გამომდინარე**, კრიტიკული აზროვნება სოციალური აზროვნებაა – მოსწავლის კრიტიკული აზროვნების განვითარება და პრობლემების სწორად გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებელთან **თანამშრომლობის** დროს.
- დიდი მადლობა.

#### მეხუთე თავის მეორე გაკვეთილის მე-7 სავარჯიშო:

##### 2.7. მოისმინეთ ტექსტები; წაიკითხეთ და დაუკავშირეთ სურათებს. გააანალიზეთ მასწავლებლის მუშაობა და მოკლედ ჩაწერეთ შესაბამის გრაფაში:

I. კლასში გაკვეთილის პროცესი ქათსურია, სწავლისთვის არ არის ეფექტური გარემო. მასწავლებელს არ აქვს გაკვეთილის კონკრეტული მიზანი. გაკვეთილი არ მიმდინარეობს თანმიმდევრულად და მასწავლებელი ვერ აკონტროლებს მოსწავლეების ქცევას. მოსწავლეები ვერაფერს სწავლობენ, ვერ იღებენ საჭირო ცოდნასა და გამოცდილებას. როცა მოსწავლე გაკვეთილზე არაფერს აკეთებს, ვერც ვერაფერს სწავლობს და ეს, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს საბოლოო შედეგზე.

II. მოსწავლეები ერთად მუშაობენ პროექტზე, მასწავლებელი იყენებს ჯგუფური მუშაობის პრინციპს. მოსწავლეები აქტიურად თანამშრომლობენ, ერთად მსჯელობენ და იღებენ გადაწყვეტილებას. მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობა

პოზიტიურია და კეთილგანწყობილი. მასწავლებელი პატივს სცემს მოსწავლეების აზრს და ითვალისწინებს მათს სურვილებს. როცა მასწავლებელი კარგ შედეგს იღებს, ეს ნიშნავს, რომ მოსწავლეები წარმატებულები არიან.

III. მოსწავლეები პასიურები არიან, რადგან მხოლოდ მასწავლებელი საუბრობს. ის წერს დაფაზე ახალ სიტყვებს და ასე ხსნის გაკვეთილს. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი იყენებს ლექციის მეთოდს, ამიტომ მოსწავლეები ნაკლებად არიან ჩართულები სასწავლო პროცესში.

**მეხუთე თავის მესამე ბაკვეთილის მე-7 სავარჯიშო:**

**3.7. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:**

- თქვენ ჩვენი სკოლის ახალი მოსწავლე ხართ?
- დიახ, ქალბატონო იზა, ახლა **გადმოვედი**.
- რა გქვიათ? რომელ კლასში ხართ?
- ზურა მქვია. მერვე **კლასში** ვარ.
- მოგწონს ჩვენი სკოლა?
- დიახ, ძალიან მომწონს.
- რატომ?
- სკოლაში ყველა მასწავლებელი **პატივს სცემს** ჩვენს აზრს. ისინი ითვალისწინებენ ჩვენს **შეხედულებებს**.
- იცით, რას ნიშნავს ქცევის **წესები**? ამაზე საუბრობთ კლასში?
- დიახ. კლასში **ქცევის** წესებს მასწავლებლები ჩვენთან ერთად ქმნიან, წესები მარტივია და ადვილად შეგვიძლია **შევასრულოთ**.
- კიდევ რა შეგიძლიათ მითხრათ მასწავლებლების შესახებ?
- კლასში კარგი **დისციპლინა** გვაქვს, ბავშვები კარგად იქცევიან, **რადგან** გაკვეთილები ძალიან საინტერესოა და ყველა სიამოვნებით უსმენს მასწავლებელს. მასწავლებლები ხშირად გვესაუბრებიან, გვისვამენ შეკითხვებს. ძველ სკოლაში ასეთი საინტერესო და **სახალისო** დავალებები არასდროს **გამიკეთებია**.
- როგორი **ურთერთობა** გაქვს კლასელებთან?
- კარგი, კარგი ბავშვები არიან, უკვე ბევრი მეგობარიც მყავს. ჩვენი მასწავლებელი ამბობს, თქვენ კარგი მოსწავლეები **ხართო**.

**VI თავი – შეფასება, პროფესიული განვითარება, ინკლუზიური განათლება**

**მეექვსე თავის პირველი ბაკვეთილის მე-4 სავარჯიშო:**

**1.4. მოისმინეთ ტექსტი და შემოხაზეთ სწორი პასუხები:**

მასწავლებელმა რომ საკლასო წერის დროს გამოიყენოს შეფასების ძირითადი პრინციპები, ის წინასწარ განსაზღვრავს გაკვეთილის სასწავლო მიზანს და დავალების ფორმას. ამის მიხედვით აყალიბებს შეფასების კრიტერიუმებს. კრიტერიუმებით აფასებს მოსწავლის წარმატებას ამა თუ იმ აქტივობასა თუ საგანში; მაგ.: საკითხის ცოდნა, ანალიზი, დავალების შესრულების ხარისხი, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, არგუმენტირებული მსჯელობა, დასკვნების გაკეთება, მოსაზრებების გამოთქმა და ა.შ. კრიტერიუმები მასწავლებელს საშუალებას აძლევს სწავლება-სწავლის პროცესში შეაფასოს მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგები და დონე. კრიტერიუმების საფუძველზე მასწავლებელი ქმნის შეფასების ფორმებს.

**მეექვსე თავის პირველი ბაკვეთილის მე-7 სავარჯიშო:**

**1.7. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:**

- გამარჯობა თამარ.
- გამარჯობა ნინო, როგორი შედეგები გაქვს მეშვიდე კლასში? როგორი **წარმატებები** აქვთ შენს მოსწავლეებს? თავისუფლად გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებსა და შეხედულებებს? შეუძლიათ **დამოუკიდებლად** აზროვნება? თუ ისევ პრობლემებია?
- თამარ, სერიოზული პროგრესი გვაქვს, მოსწავლეებმა **სასურველი** შედეგები მიიღეს. სასწავლო პროცესში **თვითშეფასების** გამოყენებამ მოსწავლეთა სწავლის უნარისა და ცოდნის დონის გაუმჯობესებაზე დიდი **გავლენა** მოახდინა.
- საინტერესოა, როგორ გააკეთეთ ეს?
- მოსწავლეებისთვის შეფასების **კრიტერიუმები** გამჭვირვალეა. მათ კარგად იციან კრიტერიუმები, შეუძლიათ საკუთარ თავზე **დაკვირვება** და შედეგების გაკონტროლება.
- ნინო, კიდევ რით არის კარგი **თვითშეფასება**?
- თვითშეფასებით მოსწავლეებმა უფრო კარგად **გააცნობიერეს** თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები.
- დიდი მადლობა.
- ნახვამდის.
- კარგად.



**მეექვსე თავის მეორე გაკვეთილის მე-6 სავარჯიშო:**

**2.6. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:**

- გამარჯობა, ბატონო დავით. რამდენიმე შეკითხვა მაქვს მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, **პროფესიული** განვითარებისა და **კარიერული** წინსვლის სქემასთან დაკავშირებით.
- გისმენთ, ქალბატონო სალომე. მზად ვარ, დაგეხმაროთ.
- თქვენს სკოლაში როგორ **ინერგება** ეს სქემა?
- დღეს საქართველოს ყველა სკოლაში **აქტიურად** ინერგება პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა. ჩვენი სკოლის მასწავლებლებიც აქტიურად არიან ჩართული ამ პროცესში. ისინი **ხვდებიან**, რომ ეს აუცილებელია. სკოლას სულ ჰყავს 60 მასწავლებელი. 20 პრაქტიკოსი მასწავლებელია, 32 - უფროსი.
- რამდენმა მასწავლებელმა შეძლო **კარიერული** წინსვლა?
- ასეთი დაკვირვება **ჯერ არ** გაკეთებულა, მაგრამ გასულ სასწავლო წელს გაიზარდა უფროსი მასწავლებლების რაოდენობა.
- რა **კომპეტენციებს** უნდა ჰქონდეს მასწავლებელს?
- მასწავლებლის კომპეტენციებს **განსაზღვრავს** მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. ამ დოკუმენტში წერია, თუ რა კომპეტენციები – ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები – უნდა ჰქონდეს მასწავლებელს.
- სკოლაში პროფესიული **განვითარების** მიზნით რა ღონისძიებებს ან აქტივობებს იყენებენ მასწავლებლები?
- აქტივობები **მრავალფეროვანია**. კარგად მუშაობს საგნობრივი კათედრები. მასწავლებლები აწყობენ სამუშაო შეხვედრებს.
- დიდი მადლობა.
- ნახვამდის.

**მეექვსე თავის მესამე გაკვეთილის მე-6 სავარჯიშო:**

**3.6. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:**

- ნანა, შეიძლება?!
- დიახ. გთხოვთ, **მობრძანდეთ**.
- ნანა, ჩემს კლასში **სწავლობს** შშმ მოსწავლე. არ ვიცი, საიდან დავიწყო მუშაობა. გაქვთ ჩემთვის რეკომენდაციები?
- მშობლებთან ისაუბრეთ?
- დიახ, სწორედ მშობლებთან საუბრის შემდეგ დავადგინე **ინკლუზიური** განათლების პრინციპები და შშმ მოსწავლის ინტერესები, პიროვნული თვისებები და **ქცევები**.
- რა არ შეუძლია მოსწავლეს, სწავლის პროცესში რა პრობლემები აქვს?
- სწავლის პროცესში სჭირდება **დახმარება**, რადგან არ შეუძლია თავისუფლად კითხვა, წერა, ანგარიში, სხვების აზრის გაგება, ინფორმაციის **გადამუშავება**, მაგრამ უყვარს ხატვა.
- რას ხატავს?
- ჯერ არაფერი **დაუხატავს**.
- **სპეციალურ** მასწავლებელთან გქონდა შეხვედრა?
- ჯერ არა. დღეს გვექნება შეხვედრა. მართალია, ჯერ არაფერი გამიკეთებია, მაგრამ ჩვენ უკვე გვაქვს **საკმარისი** ინფორმაცია მოსწავლის შესაძლებლობების, ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ.
- კი, ეს საკმარისი და საჭირო ინფორმაციაა. საჭიროა მიზნისა და მისი შესაბამისი სასწავლო **რესურსების**, აქტივობების, მეთოდების, შეფასების სქემების განსაზღვრა.
- ნანა, დიდი მადლობა საინტერესო ინფორმაციისთვის.

**შემაჯამებელი II**

**8. მოისმინეთ ტექსტი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:**

ჩემი სასწავლო მიზანია მოსწავლეებთან გამოვიყენო ის აქტივობები, რომლებიც მათ განუვითარებს დამოუკიდებელი **მსჯელობის** უნარს. ვფიქრობ, რამდენიმე თვის **განმავლობაში** მოსწავლეები შეძლებენ სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას. მე უკვე დავადგინე **კრიტერიუმები**, რომლებიც დამეხმარება შედეგების **შეფასებაში**.

კრიტერიუმების მიხედვით შევადგინე შეფასების **სქემა**. შეფასების სქემა საშუალებას **მიძლევს** გავააქტიურო არა მხოლოდ განმსაზღვრელი, არამედ **განმავითარებელი** შეფასებაც. მე გამოვიყენებ სხვადასხვა აქტივობას. მაგალითად, საუბარს, **გეპირ** პრეზენტაციას, დისკუსიას. მალე დავიწყებ სწავლება-სწავლის პროცესზე დაკვირვებასაც.

**ტესტი II**

**9. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:**

- ბატონო თორნიკე, როგორც ვიცი, თქვენ ხართ უფროსი მასწავლებელი თქვენს სკოლაში. ამიტომ თქვენ გეკითხებით, როგორ ფიქრობთ, რამდენად **ეფექტურია** მასწავლებელთა **პროფესიული** განვითარებისა და **კარიერული** წინსვლის სქემასთან დაკავშირებული იდეა?
- დიახ, მე უფროსი მასწავლებელი ვარ და ნამდვილად ვფიქრობ კარიერულ **წინსვლაზე**. ჩემი აზრით, კარიერული წინსვლის **სქემა** წარმატებული იდეაა, სკოლებში უნდა იყოს **პროგრესი** და კარგი შედეგი.
- ბატონო თორნიკე, თქვენ რომელ აქტივობებს გეგმავთ თქვენი კარიერული **წინსვლისთვის**?
- მე ყველაფერს ვაკეთებ ჩემი პროფესიული **განვითარებისთვის** წლის დასაწყისში **თვითშეფასების** საფუძველზე შევადგინე წლის გეგმა.

**13. მოისმინეთ დიალოგი და დაასრულეთ წინადადებები:**

- ქალბატონო თამარ, რომელ აქტივობებს იყენებთ **თქვენი პროფესიული განვითარებისთვის**?
- საჭიროებიდან გამომდინარე ვიყენებ **დაკვირვებას, თვითშეფასებას, მოსწავლეთა შედეგების ანალიზს**. მე ხშირად **ვმონაწილეობ კათედრის შეხვედრებში**.
- რომელ აქტივობის გამოყენებას გეგმავთ ხვალ?
- ხვალ მაქვს სასწავლო ჯგუფებთან შეხვედრა და უნდა ვიმსჯელოთ თემაზე – **ეფექტური სასწავლო გარემო**.
- რა მიზანი აქვს სასწავლო ჯგუფების მუშაობას?
- სასწავლო ჯგუფების შექმნის მიზანია სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების შესახებ თეორიული ცოდნისა და პროფესიული გამოცდილების შექმნა. სასწავლო ჯგუფებში მასწავლებლები **მსჯელობენ და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას**.
- რას გეგმავთ წლის ბოლოს?
- თბილისში, „მასწავლებლის სახლში“, ტარდება კონფერენცია და მე **ვმონაწილეობ ამ კონფერენციაში**.

## დანართი

### I თავი – სასწავლო პროცესი

**ლაქსიკა:**

გამგე	მიზანი
ეთიკა	დახასიათება
აღზრდა	თემა
მეთოდი	შეფასება
აქტივობა	დამოუკიდებელი
კათედრა	დეტალური
პროცესი	გადაჭრა
მოსწავლე	შესაძლებლობა
პრაქტიკოსი	სურვილი
საბუნებისმეტყველო	გამოცდილება
საზოგადოებრივი	მოტივაცია
სახალისო	სწავლება
თავისუფლად	ნაწილი
აქტიურად	შედეგი
აზროვნება	კონსტრუქტივისტული
უნარ-ჩვევები	ორიენტირებული
საფუძველი	

**ფრაზები:**

● უფროსი მასწავლებელი
● პრაქტიკოსი მასწავლებელი
● იყენებს მეთოდებს
● ითვალისწინებს ინტერესებს
● აქტიურად თანამშრომლობს
● ბევრს მეცადინეობს
● თავისუფლად მსჯელობს
● მუშაობს პროექტზე
● სასკოლო საგანი
● სასწავლო კათედრა
● ფიზიკური აღზრდა
● სასწავლო პროცესი
● ეხმარებიან ერთმანეთს
● დამოუკიდებელი აზროვნება

● შეკითხვების დასმა
● შეფასების ფორმა
● შეიძლება ითქვას
● პირველ რიგში
● საშინაო დავალების შემოწმება
● მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება
● პრობლემის გადაჭრა
● პასუხების გაცემა
● სწავლების ფორმა

**ზმნები:**

	<b>საწყისი (რა?)</b>	<b>ახლანდელი ახლა (რას შვრება?)</b>	<b>წარსული გუშინ (რას შვრებოდა?) გუშინ უკვე (რა ქნა?)</b>	<b>მომავალი ხვალ (რას იზამს?)</b>	<b>მომავალი + უნდა (რა უნდა ქნას?)</b>
1.	გამოიყენება	იყენებს <b>ის მას</b>	იყენებდა <b>ის მას</b> გამოიყენა <b>მან ის</b>	გამოიყენებს <b>ის მას</b>	უნდა გამოიყენოს <b>მან ის</b>
2.	გათვალისწინება	ითვალისწინებს <b>ის მას</b>	ითვალისწინებდა <b>ის მას</b> გათვალისწინა <b>მან ის</b>	გათვალისწინებს <b>ის მას</b>	უნდა გათვალისწინოს <b>მან ის</b>
3.	თანამშრომლობა	თანამშრომლობს <b>ის</b>	თანამშრომლობდა <b>ის</b> თანამშრომლა <b>მან</b>	თანამშრომლებს <b>ის</b>	უნდა თანამშრომლოს <b>მან</b>
4.	მსჯელობა	მსჯელობს <b>ის</b>	მსჯელობდა <b>ის</b> იმსჯელა <b>მან</b>	იმსჯელებს <b>ის</b>	უნდა იმსჯელოს <b>მან</b>
5.	მეცადინეობა	მეცადინეობს <b>ის</b>	მეცადინეობდა <b>ის</b> იმეცადინა <b>მან</b>	იმეცადინებს <b>ის</b>	უნდა იმეცადინოს <b>მან</b>
6.	დახმარება	ეხმარება <b>ის მას</b>	ეხმარებოდა <b>ის მას</b> დაეხმარა <b>ის მას</b>	დაეხმარება <b>ის მას</b>	უნდა დაეხმაროს <b>ის მას</b>
7.	განუვითარება	უვითარებს <b>ის მას მას</b>	უვითარებდა <b>ის მას მას</b> განუვითარა <b>მან მას ის</b>	განუვითარებს <b>ის მას მას</b>	უნდა განუვითაროს <b>მან მას ის</b>
8.	დაგეგმვა	გეგმავს <b>ის მას</b>	გეგმავდა <b>ის მას</b> დაგეგმა <b>მან ის</b>	დაგეგმავს <b>ის მას</b>	უნდა დაგეგმოს <b>მან ის</b>
9.	აღწერა	აღწერს <b>ის მას</b>	აღწერდა <b>ის მას</b> აღწერა <b>მან ის</b>	აღწერს <b>ის მას</b>	უნდა აღწეროს <b>მან ის</b>
10.	პასუხი	პასუხობს <b>ის მას მას</b>	პასუხობდა <b>ის მას მას</b> უპასუხა <b>მან მას ის</b>	უპასუხებს <b>ის მას მას</b>	უნდა უპასუხოს <b>მან მას ის</b>
11.	დააკავშირება	აკავშირებს <b>ის მას</b>	აკავშირებდა <b>ის მას</b> დააკავშირა <b>მან ის</b>	დააკავშირებს <b>ის მას</b>	უნდა დააკავშიროს <b>მან ის</b>
12.	დასმა	სვამს <b>ის მას</b>	სვამდა <b>ის მას</b> დასვა <b>მან ის</b>	დასვამს <b>ის მას</b>	უნდა დასვას <b>მან ის</b>
13.	აგება	აგებს <b>ის მას</b>	აგებდა <b>ის მას</b> ააგო <b>მან ის</b>	ააგებს <b>ის მას</b>	უნდა ააგოს <b>მან ის</b>

## II თავი – მოსწავლის აზროვნება, ინტელექტი და კომპიუტერი განვითარება

**ლექსიკა:**

კოგნიცია/კოგნიტური	კლასი
დაგროვება	კლასელი
ანალიზი	მასალა
კრიტიკა	საღებავი
ნიშანი	დაკვრა
ქცევა	გაგება
შემეცნება	ჩვენება
განვითარება	დაჭირვება
ცოდნა	ინტელექტუალური
შეძენა	მრავალმხრივი
გადაწყვეტილება	მრავალმხრივად
ცნობისმოყვარეობა	ნაკლებად
გავლენა	მეტად
კეთილგანწყობილი	ოპერაცია
კენკრეტული	გადამუშავება
ერთნაირი	სტადია
კრიტიკული	დახარისხება
შემოქმედებითი	ფორმალური
ერთობლიობა	თითოეული
ინტელექტი	განსხვავებული
საშუალება	გენეტიკური
ჟესტი	თანმიმდევრობით

**ფრაზები:**

● გადაწყვეტილების მიღება
● გავლენას ახდენს
● კრიტიკული აზროვნება
● ლიტერატურული კონკურსი
● გამოცდილების საშუალებით
● მრავალმხრივი ინტელექტი
● მუსიკალური ინტელექტი
● ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტი
● ფიზიკურ-კინესთეტიკური ინტელექტი
● ინტრაპერსონალური ინტელექტი

● ინტერპერსონალური ინტელექტი
● ენობრივ-ლინგვისტური ინტელექტი
● ნატურალისტური ინტელექტი
● უნდა გავითვალისწინოთ, რომ
● სენსო-მოტორული სტადია
● კონკრეტული ოპერაციების სტადია
● ფორმალური ოპერაციების სტადია

**ზმნები:**

	საწყისი (რა?)	ახლანდელი ახლა (რას შვრება?)	წარსული გუშინ (რას შვრებოდა?) გუშინ უკვე (რა ქნა?)	მომავალი ხვალ (რას იზამს?)	მომავალი + უნდა (რა უნდა ქნას?)
1.	მოხდენა	ახდენს <b>ის მას</b>	ახდენდა <b>ის მას</b> მოახდინა <b>მან ის</b>	მოახდენს <b>ის მას</b>	უნდა მოახდინოს <b>მან ის</b>
2.	გამოთქმა	გამოთქვამს <b>ის მას</b>	გამოთქვამდა <b>ის მას</b> გამოთქვა <b>მან ის</b>	გამოთქვამს <b>ის მას</b>	უნდა გამოთქვას <b>მან ის</b>
3.	დაგროვება	აგროვებს <b>ის მას</b>	აგროვებდა <b>ის მას</b> დააგროვა <b>მან ის</b>	დააგროვებს <b>ის მას</b>	უნდა დააგროვოს <b>მან</b>
4.	ჩამოყალიბება	აყალიბებს <b>ის მას</b>	აყალიბებდა <b>ის მას</b> ჩამოაყალიბა <b>მან ის</b>	ჩამოაყალიბებს <b>ის მას</b>	უნდა ჩამოაყალიბოს <b>მან ის</b>
5.	შეძენა	იძენს <b>ის მას</b>	იძენდა <b>ის მას</b> შეიძინა <b>მან ის</b>	შეიძენს <b>ის მას</b>	უნდა შეიძინოს <b>მან ის</b>
6.	დაკვრა	უკრავს <b>ის მას</b>	უკრავდა <b>ის მას</b> დაუკრა <b>მან ის</b>	დაუკრავს <b>ის მას</b>	უნდა დაუკრას <b>მან ის</b>
7.	გაგება	იგებს <b>ის მას</b> აგებს <b>ის მას</b>	იგებდა <b>ის მას</b> გაიგო <b>მან ის</b> აგებდა <b>ის მას</b> ააგო <b>მან ის</b>	გაიგებს <b>ის მას</b> აიგებს /ააგებს <b>ის მას</b>	უნდა გაიგოს <b>მან ის</b> უნდა აიგოს /ააგოს <b>მან ის</b>
8.	დაჭირდება	სჭირდება <b>მას ის</b>	სჭირდებოდა <b>მას ის</b> დასჭირდა <b>მას ის</b>	დასჭირდება <b>მას ის</b>	უნდა დასჭირდეს <b>ის მას</b>
9.	ჩვენება	აჩვენებს <b>ის მას მას</b>	აჩვენებდა <b>ის მას მას</b> აჩვენა <b>მან მას ის</b>	აჩვენებს <b>ის მას მას</b>	უნდა აჩვენოს <b>მან მას ის</b>
10.	გადაამუშავება	ამუშავებს <b>ის მას</b>	ამუშავებდა <b>ის მას</b> გადაამუშავა <b>მან ის</b>	გადაამუშავებს <b>ის მას</b>	უნდა გადაამუშაოს <b>მან ის</b>
11.	გადასვლა	გადადის <b>ის</b>	გადადიოდა <b>ის</b> გადავიდა <b>ის</b>	გადავა <b>ის</b>	უნდა გადავიდეს <b>ის</b>
12.	გამოხატვა	გამოხატავს <b>ის მას</b>	გამოხატავდა <b>ის მას</b> გამოხატა <b>მან ის</b>	გამოხატავს <b>ის მას</b>	უნდა გამოხატოს <b>მან ის</b>
13.	გაზრდა	იზრდება <b>ის</b>	იზრდებოდა <b>ის</b> გაიზარდა <b>ის</b>	გაიზრდება <b>ის</b>	უნდა გაიზარდოს <b>ის</b>
14.	შეძლება	შეუძლია <b>ის მას</b>	შეეძლო <b>ის მას</b> შეძლო <b>მან ის</b>	შეძლებს <b>ის მას</b>	უნდა შეძლოს <b>მან ის</b>

### III თავი – აზროვნება, მოსწავლის აზროვნების და განვითარების დონეები

**ლექსიკა:**

საკითხი	გახსენება
მაგალითი	საკმარისი
პრაქტიკა	წინარე
ამოცანა	დაბალი
ექსკურსია	მარტივი
გააზრება	რთული
მოსაზრება	კრიტიკულად
შესრულება	შემოქმედებითად
შენარჩუნება	შეცდომა
მიღებული	ზონა
ღრმა	თეორია
ბეჭითი	სირთულე
განსაკუთრებით	საყრდენი
მუდმივად	სურვილი
ერთდროულად	დასაწყისი
თავისუფლად	დასასრული
პრინციპი	დახმარება
სფერო	მოძებნა
სინთეზი	მრავალწლიანი
დონე	პოტენციური
ელემენტი	არსებული
ცხრილი	უახლოესი
სქემა	ნელ-ნელა
სტრუქტურა	მეტად
სტადია	ძნელად
აღწერა	რთულად
გადმოცემა	მარტივად
შედარება	თანმიმდევრულად

**ფრაზები:**

● ჩემი აზრით
● ინფორმაციის მიხედვით
● აქტივობებში მონაწილეობა
● დამოუკიდებელი მუშაობის საშუალება

● წინარე ცოდნა
● პრინციპი მარტივიდან რთულისაკენ
● ხვდება სირთულეები
● ასრულებენ დავალებებს

**ზმნები:**

	საწყისი (რა?)	ახლანდელი ახლა (რას შვრება?)	წარსული გუშინ (რას შვრებოდა?) გუშინ უკვე (რა ქნა?)	მომავალი ხვალ (რას იზამს?)	მომავალი + უნდა (რა უნდა ქნას?)
1.	გააზრება	იაზრებს <b>ის მას</b>	იაზრებდა <b>ის მას</b> გაიაზრა <b>მან ის</b>	გაიაზრებს <b>ის მას</b>	უნდა გაიაზროს <b>მან ის</b>
2.	გაზიარება	უზიარებს <b>ის მას მას</b>	უზიარებდა <b>ის მას მას</b> გაუზიარა <b>მან მას ის</b>	გაუზიარებს <b>ის მას მას</b>	უნდა გაუზიაროს <b>მან მას ის</b>
3.	გაგრძელება	აგრძელებს <b>ის მას</b>	აგრძელებდა <b>ის მას</b> გააგრძელა <b>მან ის</b>	გააგრძელებს <b>ის მას</b>	უნდა გააგრძელოს <b>მან ის</b>
4.	პოვნა	პოულობს <b>ის მას</b>	პოულობდა <b>ის მას</b> იპოვა <b>მან ის</b>	იპოვის <b>ის მას</b>	უნდა იპოვოს <b>მან ის</b>
5.	ამოხსნა	ამოხსნის <b>ის მას</b>	ხსნიდა <b>ის მას</b> ამოხსნა <b>მან ის</b>	ამოხსნის <b>ის მას</b>	უნდა ამოხსნას <b>მან ის</b>
6.	თქმა	ამბობს <b>ის მას</b>	ამბობდა <b>ის მას</b> თქვა <b>მან ის</b>	იტყვის <b>ის მას</b>	უნდა თქვას <b>მან ის</b>
7.	გახარება	უხარია <b>მას ის</b>	უხაროდა <b>მას ის</b> გაუხარდა <b>მას ის</b>	გაუხარდება <b>მას ის</b>	უნდა გაუხარდეს <b>მას ის</b>
8.	გამეორება	იმეორებს <b>ის მას</b>	იმეორებდა <b>ის მას</b> გაიმეორა <b>მან ის</b>	გაიმეორებს <b>ის მას</b>	უნდა გაიმეოროს <b>მან ის</b>
9.	გაანალიზება	აანალიზებს <b>ის მას</b>	აანალიზებდა <b>ის მას</b> გააანალიზა <b>მან ის</b>	გააანალიზებს <b>ის მას</b>	უნდა გააანალიზოს <b>მან ის</b>
10.	დაფასება	აფასებს <b>ის მას</b>	აფასებდა <b>ის მას</b> დააფასა <b>მან ის</b>	დააფასებს <b>ის მას</b>	უნდა დააფასოს <b>მან ის</b>
11.	განვითარება	ვითარდება <b>ის</b>	ვითარდებოდა <b>ის</b> განვითარდა <b>ის</b>	განვითარდება <b>ის</b>	უნდა განვითარდეს <b>ის</b>
12.	შეხვედრა	ხვდება <b>ის მას</b>	ხვდებოდა <b>ის მას</b> შეხვდა <b>ის მას</b>	შეხვდება <b>ის მას</b>	უნდა შეხვდეს <b>ის მას</b>
13.	სწავლება	ასწავლის <b>ის მას მას</b>	ასწავლიდა <b>ის მას მას</b> ასწავლა <b>მან მას ის</b>	შეასწავლის <b>ის მას მას</b>	უნდა შეასწავლოს <b>მან მას ის</b>
14.	შესრულება	ასრულებს <b>ის მას</b>	ასრულებდა <b>ის მას</b> შეასრულა <b>მან ის</b>	შეასრულებს <b>ის მას</b>	უნდა შეასრულოს <b>მან ის</b>
15.	ძებნა	ეძებს <b>ის მას</b>	ეძებდა <b>ის მას</b> მოძებნა <b>მან ის</b>	მოძებნის <b>ის მას</b>	უნდა მოძებნოს <b>მან ის</b>



## IV თავი – მოსწავლის მოტივაცია და სასკოლო გარემო

### ლექსიკა:

მზრუნველი	ეფექტური
თვისება	არაეფექტური
გარემო	ვერბალური
ფაქტორი	არავერბალური
დამოკიდებულება	წერილობითი
მოთხოვნა	სამეტყველო
მოთხოვნილებები	პირობა
განმტკიცება	ფაქტი
უკუკავშირი	დაფა
დაკმაყოფილება	გამოყენება
დამოკიდებული	პირობები
შინაგანი	თანაბარი
გარეგანი	შესანიშნავი
დაკავშირებული	ჩართული
დადებითი	უსაფრთხო
უარყოფითი	სასარგებლო
კომუნიკაცია	კომფორტული
ყურადღება	ორგანიზებული
ემოცია	ემოციურად
სიტყვა	ფიზიკურად
კომენტარი	წარმატებულად
დისკუსია	

### ფრაზები:

● მასწავლებლის თვისებები
● სასწავლო გარემო
● საკუთარი თავის მიმართ მოთხოვნა
● მოთხოვნილებების დაკმაყოფილება
● გარემო ფაქტორებზე დამოკიდებული
● მოსწავლეების დამოკიდებულება
● დამოკიდებულება სწავლის მიმართ
● განმტკიცებასთან დაკავშირებული ფაქტორები

● როგორც ვიცით
● ეფექტური კომუნიკაცია
● ყურადღებას აქცევს
● ემოციების გამოხატვა
● შეცდომას უშვებს
● თანაბარი პირობები
● სასწავლო გარემო
● უსაფრთხო გარემო
● კედელზე კიდია
● ლევანის მაგივრად

**ზმნები:**

	საწყისი (რა?)	ახლანდელი ახლა (რას შვრება?)	წარსული გუშინ (რას შვრებოდა?)  გუშინ უკვე (რა ქნა?)	მომავალი ხვალ (რას იზამს?)	მომავალი + უნდა (რა უნდა ქნას?)
1.	შეეება	აქებს <b>ის მას</b>	აქებდა <b>ის მას</b> შეაქო <b>მან ის</b>	შეაქებს <b>ის მას</b>	უნდა შეაქოს <b>მან ის</b>
2.	წახალისება	ახალისებს <b>ის მას</b>	ახალისებდა <b>ის მას</b> წახალისა <b>მან ის</b>	წახალისებს <b>ის მას</b>	უნდა წახალისოს <b>მან ის</b>
3.	განსაზღვრა	საზღვრავს <b>ის მას</b>	საზღვრავდა <b>ის მას</b> განსაზღვრა <b>მან ის</b>	განსაზღვრავს <b>ის მას</b>	უნდა განსაზღვროს <b>მან ის</b>
4.	ზრუნვა	ზრუნავს <b>ის</b>	ზრუნავდა <b>ის</b> იზრუნა <b>მან</b>	იზრუნებს <b>ის</b>	უნდა იზრუნოს <b>მან</b>
5.	მიწოდება	აწვდის <b>ის მას მას</b>	აწვდიდა <b>ის მას მას</b> მიაწოდა <b>მან მას ის</b>	მიაწვდის <b>ის მას მას</b>	უნდა მიაწოდოს <b>მან მას ის</b>
6.	მიეცევა	აქცევს <b>ის მას მას</b>	აქცევდა <b>ის მას მას</b> მიაქცია <b>მან მას ის</b>	მიაქცევს <b>ის მას მას</b>	უნდა მიაქციოს <b>მან მას ის</b>
7.	ათვისება	ითვისებს <b>ის მას</b>	ითვისებდა <b>ის მას</b> ათვისა <b>მან ის</b>	ათვისებს <b>ის მას</b>	უნდა ათვისოს <b>მან ის</b>
8.	დაშვება	უშვებს <b>ის მას</b>	უშვებდა <b>ის მას</b> დაუშვა <b>მან ის</b>	დაუშვებს <b>ის მას</b>	*უნდა დაუშვას <b>მან ის</b>
9.	წარმართვა	მართავს <b>ის მას</b>	მართავდა <b>ის მას</b> წარმართა <b>მან ის</b>	წარმართავს <b>ის მას</b>	უნდა წარმართოს <b>მან ის</b>
10.	*ნიშვნა	ნიშნავს <b>ის მას</b>	ნიშნავდა <b>ის მას</b> -----	-----	უნდა ნიშნავდეს <b>ის მას</b>
11.	დაიწყება	იწყება <b>ის</b>	იწყებოდა <b>ის</b> დაიწყო <b>ის</b>	დაიწყება <b>ის</b>	უნდა დაიწყოს <b>ის</b>
12.	დასრულება	სრულდება <b>ის</b>	სრულდებოდა <b>ის</b> დასრულდა <b>ის</b>	დასრულდება <b>ის</b>	უნდა დასრულდეს <b>ის</b>
13.	მიმდინარეობა	მიმდინარეობს <b>ის</b>	მიმდინარეობდა <b>ის</b> -----	-----	უნდა მიმდინარეობდეს <b>ის</b>
14.	გულისხმა	გულისხმობს <b>ის მას</b>	გულისხმობდა <b>ის მას</b> იგულისხმა <b>მან ის</b>	იგულისხმობს <b>ის მას</b>	უნდა იგულისხმოს <b>მან ის</b>

## V თავი – სწავლების ფორმები და კლასის მართვა

ლექსიკა:

ლექცია	სტილი
ტესტი	ურთიერთობა
ჯილდო	პატივისცემა
ახსნა	ფუნქცია
შეთანხმება	გადაცემა
კონკურენცია	მათგანი
დათვალიერება	არაფერი-ვერაფერი-ნურაფერი
დამსახურება	ქაოსური
მოსმენა	პოზიტიური
მიღწევა	დემოკრატიული
გრძობა	ავტორიტარული
დაკვირვება	შინაგანად
პასუხისმგებლობა	აშკარად
ადვილი ≠ ძნელი	წესი
პასიური ≠ აქტიური	მოდელი
თანამშრომლობითი	ნიმუში
ჯანსაღი	სასჯელი
არაჯანსაღი	ღირებულება
სოციალური	შეხედულება
კონკურენტული	შექმნა
ჯგუფური	ქცევა
გასაგები	რჩევა
სასურველი	პიროვნული
სხვადასხვა	ჰუმანისტური
სასწავლო	ბიჰევიორისტული
საგაკვეთილო	განსაკუთრებული
დასწავლა	არასასურველი
მართვა	უნიმუშო
შრომა	საშინლად
დისციპლინა	

**ფრაზები:**

● ჯანსაღი კონკურენცია
● სოციალური აზროვნება
● ხდება პასიური
● შედეგის მიღწევა
● იღებს შედეგს
● მიდის შეთანხმებამდე
● სასურველია
● დამოუკიდებელი სწავლება
● კონკურენტული სწავლება
● თანამშრომლობითი სწავლება
● გრძნობს პასუხისმგებლობას
● აქედან გამომდინარე
● ჯილდოს ვიმსახურებთ
● არა მხოლოდ, არამედ
● დემოკრატიული სტილი
● ქაოსური სტილი
● ავტორიტარული სტილი
● აკონტროლებს ქცევას
● შრომის შედეგს იღებს
● მიზნის მიღწევა
● ვერაფერი ეწინააღმდეგება
● შედეგზე გადის
● თითოეული მათგანი
● კერძოდ, რატომ?
● ჰუმანისტური მოდელი
● ბიჰევიორისტული მოდელი
● სასჯელის ფორმა
● გაკვეთილის ახსნა
● პიროვნული თვისება
● ცუდად იქცევა
● უწერს ნიშანს
● არასასურველი ქცევები

**ზმნები:**

	საწყისი (რა?)	ახლანდელი ახლა (რას შვრება?)	წარსული გუშინ (რას შვრებოდა?) გუშინ უკვე (რა ქნა?)	მომავალი ხვალ (რას იზამს?)	მომავალი + უნდა (რა უნდა ქნას?)
1.	დათვალიერება	ათვალიერებს <b>ის მას</b>	ათვალიერებდა <b>ის მას</b> დაათვალიერა <b>მან ის</b>	დაათვალიერებს <b>ის მას</b>	უნდა დაათვალიეროს <b>მან ის</b>
2.	დამსახურება	იმსახურებს <b>ის მას</b>	იმსახურებდა <b>ის მას</b> დამსახურა <b>მან ის</b>	დამსახურებს <b>ის მას</b>	უნდა დამსახუროს <b>მან ის</b>
3.	მოსმენა	უსმენს <b>ის მას</b>	უსმენდა <b>ის მას</b> მოუსმინა <b>მან მას</b>	მოუსმენს <b>ის მას</b>	უნდა მოუსმინოს <b>მან ის</b>
4.	მიღწევა	აღწევს <b>ის მას</b>	აღწევდა <b>ის მას</b> მიაღწია <b>მან მას</b>	მიაღწევს <b>ის მას</b>	უნდა მიაღწიოს <b>მან მას</b>
5.	გრძნობა	გრძნობს <b>ის მას</b>	გრძნობდა <b>ის მას</b> იგრძნო <b>მან ის</b>	იგრძნობს <b>ის მას</b>	უნდა იგრძნოს <b>მან ის</b>
6.	დაკვირვება	აკვირდება <b>ის მას</b>	აკვირდებოდა <b>ის მას</b> დააკვირდა <b>ის მას</b>	დააკვირდება <b>ის მას</b>	უნდა დააკვირდეს <b>ის მას</b>
7.	გახდომა	ხდება <b>ის</b>	ხდებოდა <b>ის</b> გახდა <b>ის</b>	გახდება <b>ის</b>	უნდა გახდეს <b>ის</b>
8.	ახსნა	ხსნის <b>ის მას</b>	ხსნიდა <b>ის მას</b> ახსნა <b>მან ის</b>	ახსნის <b>ის მას</b>	უნდა ახსნას <b>მან ის</b>
9.	მართვა	მართავს <b>ის მას</b>	მართავდა <b>ის მას</b> მართა <b>მან ის</b>	მართავს <b>ის მას</b>	უნდა მართოს <b>მან ის</b>
10.	არჩევა	ირჩევს <b>ის მას</b>	ირჩევდა <b>ის მას</b> აირჩია <b>მან ის</b>	აირჩევს <b>ის მას</b>	უნდა აირჩიოს <b>მან ის</b>
11.	კონტროლი	აკონტროლებს <b>ის მას</b>	აკონტროლებდა <b>ის მას</b> გაკონტროლა <b>მან ის</b>	გაკონტროლებს <b>ის მას</b>	უნდა გაკონტროლოს <b>მან ის</b>
12.	პატივისცემა	სცემს <b>ის მას მას</b>	სცემდა <b>ის მას მას</b> სცა <b>მან მას ის</b>	სცემს <b>ის მას მას</b>	უნდა სცეს <b>მან მას ის</b>
13.	წინააღმდეგობა	ეწინააღმდეგება <b>ის მას</b>	ეწინააღმდეგებოდა <b>ის მას</b> შეეწინააღმდეგა <b>ის მას</b>	შეეწინააღმდეგება <b>ის მას</b>	უნდა შეეწინააღმდეგოს <b>ის მას</b>
14.	შექმნა	ქმნის <b>ის მას</b>	ქმნიდა <b>ის მას</b> შექმნა <b>მან ის</b>	შექმნის <b>ის მას</b>	უნდა შექმნას <b>მან ის</b>
15.	ახსნა	უხსნის <b>ის მას მას</b>	უხსნიდა <b>ის მას მას</b> აუხსნა <b>მან მას ის</b>	აუხსნის <b>ის მას მას</b>	უნდა აუხსნას <b>მან მას ის</b>
16.	მოქცევა	იქცევა <b>ის</b>	იქცეოდა <b>ის</b> მოიქცა <b>ის</b>	მოიქცევა <b>ის</b>	უნდა მოიქცეს <b>ის</b>
17.	შეწყობა	უწყობს <b>ის მას</b>	უწყობდა <b>ის მას</b> ხელი შეუწყო <b>მან მას</b>	შეუწყობს <b>ის მას</b>	უნდა შეუწყოს <b>მან მას</b>
18.	დაწერა	უწერს <b>ის მას მას</b>	უწერდა <b>ის მას მას</b> დაუწერა <b>მან მას ის</b>	დაუწერს <b>ის მას მას</b>	უნდა დაუწეროს <b>მან მას ის</b>

## VI თავი – შეფასება, პროფესიული განვითარება, ინკლუზიური განათლება

ლექსიკა:

თვითშეფასება	შემუშავება
პროგრესი	ჩატარება
კომენტარი	გაანალიზება
რეკომენდაცია	პროფესიული
გაუმჯობესება	დამწყები
სემესტრი	კარიერული
ხარისხი	თეორიული
ცდა	პრაქტიკული
მხარე	ერთობლივად
დადგენა	განსაკუთრებულად
ცნობიერება	თანატოლი
სწორება	ინტეგრაცია
დაინტერესება	უმცირესობა
მიცემა	საზოგადოება
საკლასო	მოვალეობა
შემაჯამებელი	უფლება
ობიექტური	ფურცელი
განმავითარებელი	სახაზავი
განმსაზღვრელი	საჭიროება
მიმდინარე	შენიშვნა
სანდო	ჩართვა
გამჭვირვალე	დაცვა
წერითი	თხოვნა
ზეპირი	ჩვენება
ნასწავლი	მონაწილეობა
სარწმუნო	მქონე
მისაღწევად	ნიჭიერი
ობიექტურად	ეთნიკური
წინსვლა	სპეციალური
სქემა	ინკლუზიური
კომპეტენცია	უსახლკარო
თვითანალიზი	საჭირო
კითხვარი	გაუგებარი
სტანდარტი	შეზღუდული
დასწრება	დაწერილი
დანერგვა	საგანმანათლებლო
მოწყობა	ზოგადსაგანმანათლებლო
მიხვედრა	სპეციალურად
შემოწმება	გაუგებრად

**ფრაზები:**

● განმავითარებელი შეფასება
● განმსაზღვრელი შეფასება
● ხარისხი, ანუ რამდენად კარგად ასწავლით
● აგრეთვე, ცდილობს, გაიგოს
● ანალიზის საფუძველზე
● ძლიერი და სუსტი მხარეები
● ხუთი წლის განმავლობაში
● აძლევს რეკომენდაციებს
● აწყობს შეხვედრებს
● გამოცდილების გაზიარება
● საჭიროების მქონე
● ეთნიკური უმცირესობები
● გარემოს ნაცვლად
● ხელს უშლის
● შეხედულებების გამოხატვა
● შეზღუდული შესაძლებლობების მქონე
● დადგენილია მოსწავლის შესაძლებლობები
● გთხოვთ, მობრძანდეთ

**ზმნები:**

	საწყისი (რა?)	ახლანდელი ახლა (რას შვრება?)	წარსული გუშინ (რას შვრებოდა?) გუშინ უკვე (რა ქნა?)	მომავალი ხვალ (რას იზამს?)	მომავალი + უნდა (რა უნდა ქნას?)
1.	ცდა	ცდილობს <b>ის მას</b>	ცდილობდა <b>ის მას</b> სცადა <b>მან ის</b>	ეცდება <b>ის მას</b>	უნდა ეცადოს <b>ის მას</b>
2.	დადგენა	ადგენს <b>ის მას</b>	ადგენდა <b>ის მას</b> დაადგინა <b>მან ის</b>	დაადგენს <b>ის მას</b>	უნდა დაადგინოს <b>მან ის</b>
3.	გაცნობიერება	აცნობიერებს <b>ის მას</b>	აცნობიერებდა <b>ის მას</b> გააცნობიერა <b>მან ის</b>	გააცნობიერებს <b>ის მას</b>	უნდა გააცნობიეროს <b>მან ის</b>
4.	დაინტერესება	აინტერესებს <b>მას ის</b>	აინტერესებდა <b>ის მას</b> დააინტერესა <b>მან ის</b>	დააინტერესებს <b>მას ის</b>	უნდა დააინტერესოს <b>მან ის</b>
5.	გასწორება	ასწორებს <b>ის მას</b>	ასწორებდა <b>ის მას</b> გაასწორა <b>მან ის</b>	გაასწორებს <b>ის მას</b>	უნდა გაასწოროს <b>მან ის</b>
6.	გასწორება	სწორდება <b>ის</b>	სწორდებოდა <b>ის</b> გასწორდა <b>ის</b>	გასწორდება <b>ის</b>	უნდა გასწორდეს <b>ის</b>
7.	დაინტერესება	ინტერესდება <b>ის</b>	ინტერესდებოდა <b>ის</b> დაინტერესდა <b>ის</b>	დაინტერესდება <b>ის</b>	უნდა დაინტერესდეს <b>ის</b>
8.	მიცემა	აძლევს <b>ის მას მას</b>	აძლევდა <b>ის მას მას</b> მისცა <b>მან მას ის</b>	მისცემს <b>ის მას მას</b>	უნდა მისცეს <b>მან მას ის</b>
9.	დანერგვა	ინერგება <b>ის</b>	ინერგებოდა <b>ის</b> დაინერგა <b>ის</b>	დაინერგება <b>ის</b>	უნდა დაინერგოს <b>ის</b>
10.	მოწყობა	ეწყობა <b>ის</b>	ეწყობოდა <b>ის</b> დაიწყო <b>ის</b>	მოეწყობა <b>ის</b>	უნდა მოეწყოს <b>ის</b>
11.	მიხვედრა	ხვდება <b>ის</b>	ხვდებოდა <b>ის</b> მიხვდა <b>ის</b>	მიხვდება <b>ის</b>	უნდა მიხვდეს <b>ის</b>
12.	შემოწმება	მოწმდება <b>ის</b>	მოწმდებოდა <b>ის</b> შემოწმდა <b>ის</b>	შემოწმდება <b>ის</b>	უნდა შემოწმდეს <b>ის</b>
13.	შემუშავება	მუშავდება <b>ის</b>	მუშავდებოდა <b>ის</b> შემუშავდა <b>ის</b>	შემუშავდება <b>ის</b>	უნდა შემუშავდეს <b>ის</b>
14.	გაანალიზება	ანალიზდება <b>ის</b>	ანალიზდებოდა <b>ის</b> გაანალიზდა <b>ის</b>	გაანალიზდება <b>ის</b>	უნდა გაანალიზდეს <b>ის</b>
15.	ჩატარება	ტარდება <b>ის</b>	ტარდებოდა <b>ის</b> ჩატარდა <b>ის</b>	ჩატარდება <b>ის</b>	უნდა ჩატარდეს <b>ის</b>
16.	დაცვა	იცავს <b>ის მას</b>	იცავდა <b>ის მას</b> დაიცვა <b>მან ის</b>	დაიცავს <b>ის მას</b>	უნდა დაიცვას <b>მან ის</b>
17.	თხოვნა	ითხოვს <b>ის მას</b>	ითხოვდა <b>ის მას</b> მოითხოვა <b>მან ის</b>	მოითხოვს <b>ის მას</b>	უნდა მოითხოვოს <b>მან ის</b>
18.	ჩვენება	აჩვენებს <b>ის მას მას</b>	აჩვენებდა <b>ის მას მას</b> აჩვენა <b>მან ის</b>	აჩვენებს <b>ის მას მას</b>	უნდა აჩვენოს <b>მან მას ის</b>
19.	მონაწილეობა	მონაწილეობს <b>ის</b>	მონაწილეობდა <b>ის</b> -----	-----	-----



## გრამატიკა

### I თავი – გაკვეთილის პროცესი

#### გრამატიკა

1. მომავალი დრო
2. თანდებული: მიერ
3. კავშირი: ვინც (ის, ვინც)
4. ჩართული: რა თქმა უნდა

### II თავი – მოსწავლის აზროვნება, ინტელექტი და

#### კომუნიკური განვითარება

#### გრამატიკა

1. წარსული დრო: უწყვეტელი
2. ნართანიანი მრავლობითი: -თა
3. კავშირი: რაც (ის, რაც)
4. ნაწილაკი: მართლაც

### III თავი – აზროვნება, მოსწავლის აზროვნებისა და

#### განვითარების დონეები

#### გრამატიკა

1. წარსული დრო: წყვეტილი
2. თანდებული: მიხედვით; გარეშე
3. კავშირი: რომელიც; რომლებიც
4. ჩართული: ჩემი აზრით

### IV თავი – მოსწავლის მოტივაცია და სასკოლო გარემო

#### გრამატიკა

1. II კავშირებითი: მოქმედებითი გვარი; მომავალი დრო – ვნებითი გვარი
2. თანდებული: მაგივრად
3. დამოკიდებული წინადადება – კავშირი: სადაც
4. ჩართულის მნიშვნელობით: ესე იგი; ე.ი.
5. კონსტრუქცია: არა მარტო..., არამედ

## V თავი – სწავლების ფორმები და კლასის მართვა

### გრამატიკა

1. მომავალი დრო: **I თურმეობითი**
2. უარყოფითი ნაცვალსახელები: **არაფერი, ნურაფერი, ვერაფერი**
3. დამოკიდებული წინადადება – კავშირი: **რადგან**
4. სხვათასიტყვის ნაწილაკი: – **ო**
5. კონსტრუქცია: **ჯერ არ**

## VI თავი – შეფასება, პროფესიული განვითარება, ინკლუზიური განათლება

### გრამატიკა

1. **I თურმეობითი**
2. აქტიური და პასიური ზმნები
3. თანდებული: **ნაცვლად**
4. ნაცვალსახელის ბრუნება: **ერთი და იგივე**
5. პროცესის გამომხატველი თანდებული: **განმავლობაში**